

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

10/2020

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz und
für Verbraucherschutz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



თინათინ წებულის სახელმძღვანელოს

სახელმწიფოსა და

საგარეო ურთიერთობების

10/2020

შვედარეზიტი სარეტილი

ქარტილ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



სახელმწიფო და სარეტილი ინსტიტუტი ბათუმში

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz und
für Verbraucherschutz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



თინათინ წუტულის სახელობის
სახალაგნიფოსა და
საპარტოლის ინსტიტუტი



ჟურნალი დაფუძნებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ. 2020 წლის მე-3 ნომრიდან მის დაფინანსებას აგრძელებს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ).

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ლადო სირდაძე

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშბაია
ხატია პაპიძე
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე

ISSN 2587-5191

© თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2020

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2020

© ავტორები, 2020

გ. ქიქოძის ქ. 3, თბილისი, +995 322983245, administration@isl.ge

www.lawjournal.ge, www.isl.ge

სარჩევი

სტატიები

სასაქონლო ნიშნის დაცვის ეკონომიკური მნიშვნელობა <i>ქეთევან ბუაძე / ნიკოლოზ შეყილაძე / გიორგი ჟორჟოლიანი</i>	7
მეულღეთა ქონებრივი ურთიერთობები <i>გიორგი რუსიაშვილი</i>	10
კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების პერსპექტივები საქართველოში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაგალითზე <i>გივი ადამია</i>	22
სარჩოს გადახდა მატერიალური საჭიროების მქონე მეულღისათვის <i>გიორგი რუსიაშვილი / ნინო ქავშაია</i>	43

უცხოური სასამართლო გადაწყვეტილება

შპს-ის პარტნიორის რეფლექსიური ზიანის ანაზღაურება <i>გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება</i>	54
---	----

სასამართლო პრაქტიკა

მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება <i>(ქავშაია)</i>	60
პირობით დადებული გარიგება <i>(ოყრეშიძე)</i>	61
აშკარა წარმომადგენლობა გარიგებაში (apparent authority) <i>(ოყრეშიძე)</i>	63
სუბწარმომადგენლობა <i>(ოყრეშიძე)</i>	64
არქიტექტურული ნაწარმოების შეცვლის უფლება <i>(ოყრეშიძე)</i>	65
თვითდახმარების ფარგლები <i>(ოყრეშიძე)</i>	66
სხვის მიწის ნაკვეთზე გადასული მშენებლობის დემონტაჟი <i>(ოყრეშიძე)</i>	67
ერთობლივი საქმიანობა <i>(ოყრეშიძე)</i>	68
ავტომანქანაზე საკუთრების უფლების შექმნა <i>(ოყრეშიძე)</i>	71

კანონის უკუქცევის ძალა (ოცრეშიძე)	73
სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება (ქავშაია)	74
გათავისუფლება დასაქმებულის პირადი განცხადებით (ქავშაია)	77
საზოგადოების ქონების მითვისებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქავშაია)	78
სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა (დარასელია)	79

სასაქონლო ნიშნის დაცვის ეკონომიკური მნიშვნელობა

ქეთევან ბუაძე

ადვოკატი, იურიდიული ფირმა „ბიესეირ“-ის მმართველი პარტნიორი

ნიკოლოზ შეყილაძე

ადვოკატი, იურიდიული ფირმა „ბიესეირ“-ის მმართველი პარტნიორი

გიორგი ჟორჯოლიანი

ადვოკატი

I. შესავალი

თანამედროვე ეკონომიკურ ბაზარზე იშვიათად თუ შეგვხვდება სანარმო, რომელიც საკუთარი საქმიანობისა და პროდუქტის ინდივიდუალიზაციისთვის არ იყენებს კონკრეტულ სიმბოლოს ან სასაქონლო ნიშანს¹. სასაქონლო ნიშანი სანარმოთა ბრენდირების მთავარი ელემენტია, მის რეკლამასა და პრომოციასზე იხარჯება უდიდესი ფულადი რესურსი, საბოლოოდ კი სწორედ სასაქონლო ნიშანი განსაზღვრავს სანარმოს რეპუტაციასა და ცნობა-

დობას მომხმარებელთა შორის.² მიუხედავად ამისა, სასაქონლო ნიშნის ეკონომიკურ მნიშვნელობას მხოლოდ მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებიდან ეთმობა განსაკუთრებული ყურადღება.³

სასაქონლო ნიშნის ეკონომიკური კონოტაციის წარსული ნაკლოვანების მიუხედავად,⁴ ყოველთვის ნათელი იყო, რომ, განსხვავებით საავტორო და პატენტიდან გამომდინარე უფლებებისაგან, სასაქონლო ნიშნის უმთავრესი დანიშნულება არა ზოგადი კეთილდღეობის

¹ არასწორია ნებისმიერი სიმბოლოს, რომელიც სანარმოს მიერ არის გამოყენებული მომსახურების ან პროდუქტის ინდივიდუალიზაციისთვის, სასაქონლო ნიშნად მიჩნევა. გამომდინარე აქედან, სასაქონლო ნიშანი არის მხოლოდ ის სიმბოლოები, რომელიც დაცულია „საქპატენტში“ („სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 3 III მუხლი) ან იქნეს კანონისმიერ დაცვას, როგორც საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები („სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 3 IV). სწორედ ამიტომ, არსებული სიმბოლოები უნდა დაიყოს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებად და არარეგისტრირებულ სიმბოლოებად. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის შესაბამის უწყებებში რეგისტრირებული და არარეგისტრირებული სიმბოლოებისთვის გამოიყენება ერთიანი ტერმინი **Trademark**, თუმცა უშუალოდ მათი აღნიშვნა განსხვავებულია, რეგისტრირებულის შემთხვევაში გამოიყენება - ©, ხოლო არარეგისტრირებულისთვის - ™. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ არარეგისტრირებული ნიშნისთვის შესაბამისი დაცვა არ არსებობს. იხ. ვრცლად *M. P. McKenna, Trademark Use and the Problem of Source, University of Illinois Law Review 773, 2009, 797-799.*

² იურიდიულ ლიტერატურაშიც კი სიმბოლოების გავლენა ადამიანზე და ზოგადად ბიზნესის წარმატებაზე ხშირად დაკავშირებულია სოციალურ ნარატივთან, რომლის მიხედვით, სიმბოლო არის ნებისმიერი მოვლენის, ქმედებისა თუ ობიექტის გამარტივებული აღნიშვნა, რომელიც ყოველდღიური სოციალური ქვემდებარეობისთვის ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას. იხ. *N. S. Economides, The Economics of Trademarks, Trademark Reporter 78, 523-524.; G. B. Ramello, What's in a Sign? Trademark Law and Economic Theory, Journal of Economic Surveys Vol. 20, No. 4, 2006, 547-548.*

³ *P. Sáiz / R. Castro, Trademarks in branding: Legal issues and commercial practices, Business History, 60:8, 2018, 1106-1108.*

⁴ საგულისხმოა, რომ მე-20 საუკუნის საწყისი პერიოდის და არაერთი ნაშრომი მიეძღვნა სამართლისა და ეკონომიკური დოქტრინების მიდგომებს სასაქონლო ნიშნისადმი. ვრცლად იხ. *P. S. Morris, Trademarks and the Economic Dimensions of Trademark Law in Europe and Beyond. In: Marciano A., Ramello G. (eds) Encyclopedia of Law and Economics. Springer, New York, 2016, 2071-2072.*

შექმნა, არამედ ეკონომიკური ღირებულების გაზრდაა.⁵

ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კერძო სიკეთეს (**private good**), რომელსაც საკუთრების უფლებიდან გამომდინარე ოთხი სახის ღირებულება გააჩნია - განკარგვის, რენტაბელურობის, უფლების დაცვა/აღსრულებისა და, ბოლოს, აკრძალვის ღირებულება.⁶ სწორედ აღნიშნული ღირებულების ხარჯზე კერძო სიკეთე ეკუთვნის მხოლოდ მის მესაკუთრეს. თუმცა აღნიშნული სადავოა იმ კონკურენტული მოსაზრებით, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს საჯარო სიკეთეს (**public good**).⁷

წინამდებარე სტატია გვერდს უვლის ზემოაღნიშნულ ეკონომიკურ დოქტრინას და სასაქონლო ნიშნის ეკონომიკურ მნიშვნელობას განიხილავს სამართლებრივი თვალსაზრისით, ასევე, მიმოიხილავს იმ სამართლებრივ მექანიზმებს, რომელთა აღსრულებაც ქმნის სასაქონლო ნიშნის ეკონომიკურ ღირებულებას.

II. სასაქონლო ნიშანი და ბრენდი

იურიდიულ თუ ეკონომიკურ ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ბრენდი გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე სასაქონლო ნიშანი და ხასიათდება, როგორც კომპანიის საუკეთესო დაპირება პროდუქტზე, რომელიც მიმართულია ბაზრისკენ და მომხმარებლებისკენ⁸. ის ასევე, განსაზღვრავს კომპანიის სიძლიერესა და ზეგავლენას. ნათელია, რომ აღნიშნული ფართო დეფინიცია საჭიროებს შესაბამის რეგულირებასა და ნორმატიულ სისტემატიზაციას, რაც ისეთი სამართლებრივი სივრცეებისთვის, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის კავშირი, მა-

რტივად მიღწევადია არამხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების დამცავი ნორმებით, არამედ ასევე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმკვეთი, ანტიტრესტული და კონკურენტული რეგულირებით.⁹ თუმცა, ამის საპირისპიროდ, იმ სამართლებრივი სივრცეებისთვის, სადაც კანონმდებლობა „ახალგაზრდაა“, სანაწარმოთა ბრენდირებისთვის ფართო დაცვა შესაძლოა საერთოდ არ არსებობდეს ან ნორმატიული ბაზის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი აღსრულების პრაქტიკის არარსებობის გამო ფორმალურ ხასიათს ატარებდეს. სასაქონლო ნიშანი და მისი სამართლებრივი რეგულირება კი ნებისმიერ მართლწესრიგში უნივერსალურ საშუალებად გვევლინება სანაწარმოს ბრენდირების დასაცავად.¹⁰ გამომდინარე აქედან, მართებულია მოსაზრება, რომ სწორედ სასაქონლო ნიშანი ასრულებს არამდგრადი ეკონომიკური სივრცეებისთვის „უსაფრთხოების ფარის“ ფუნქციას და ინტელექტუალური სამართლის ფარგლებში იცავს უცხოურ ინვესტიციებს.¹¹ სანაწარმოთა ინტერესის დაცვა ბრენდის გაფართოებისთვის ხელს უწყობს კონკურენციას, რაც მთავარი სტიმულატორია ბაზარზე მრავალფეროვანი პროდუქტის არსებობისთვის.¹²

არსებობს მოსაზრება, რომ სასაქონლო ნიშანს და ბრენდინგს არანაირი კავშირი არ აქვს

⁹ იქვე, 1479-1481.

¹⁰ აღნიშნული, თავის მხრივ, განპირობებულია იმით, რომ ყოველი მართლწესრიგი აწესრიგებს სასაქონლო ნიშნების დაცვის საკითხს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია და შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) ეხება თითქმის ყველა ქვეყნის ნაციონალურ რეჟიმს სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში. ვრცლად იხ. *F. M. Abbott, Intellectual Property Rights in World Trade, Research Handbook in International Economic Law*, A. Guzman & A. Sykes, eds., Edward Elgar, 2007, 458-459.

¹¹ *K. E. Maskus, The Role of Intellectual Property Rights in Encouraging Foreign Direct Investment and Technology Transfer*, *Duke Journal of Comparative & International Law*, Vol. 9, Issue 1, 1998, 130 და მომდევნო გვერდები.

¹² *A. Chronopoulos, Legal and economic arguments for the protection of advertising value through trademark law*, *Queen Mary Journal of Intellectual Property*, Vol. 4 No. 4, 264.

⁵ *D. W. Barnes, A New Economics of Trademarks*, *Northwestern Journal of Technology and Intellectual Property*, Vol. 5, No. 1, 2006.

⁶ *W. M. Landes / R. A. Posner, The Journal of Law & Economics*, Vol. 30, No. 2, 1987, 266-268.

⁷ იხ. *Barnes, A New Economics of Trademarks*, 35.

⁸ მაგალითისთვის იხ. *D. R. Desai / S. Waller, Brands, Competition, and the Law*, *Brigham Young University Law Review*, Vol. 2010, Issue 5, 2010, 1434-1435.

გამოგონებასა და ინოვაციასთან.¹³ თუმცა, ფაქტია, რომ, აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ, კომპანიები, რომლებიც დიდ ინვესტიციას ახორციელებენ ბიზნესში, ხშირად სწორედ ინოვაციებით გამოირჩევიან. შესაბამისად, ბრენდირება ინოვაციური პროდუქტისთვის მნიშვნელოვან ელემენტად გვევლინება, რომელიც ქმნის პროდუქტზე მოთხოვნას და აჩენს გარკვეულ კავშირს მომხმარებელთან. ეს ზრდის მომხმარებლის მოტივაციას, შეიძინოს კონკრეტული პროდუქტი. მეორე მხრივ, ბრენდირებას მოაქვს სარგებელი კომპანიებისთვის ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში ჩადებული ინვესტიციებიდან. ამრიგად ბრენდინგი და თავისთავად სასაქონლო ნიშნები გვევლინება ინოვაციათა ეკოსისტემის მნიშვნელოვან ნაწილად.¹⁴

III. სასაქონლო ნიშნის დაცვის მექანიზმები

1. სპეციალური რეგულატორული კომპლექსი

დაცული სიკეთის ხელყოფა ყველა სამართლებრივ სივრცეში მართლსაწინააღმდეგოა და წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველს.¹⁵ უპირველესად, მნიშვნელოვანია სასაქონლო ნიშანზე უფლების აღსრულებისთვის სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულატორული კომპლექსის განხილვა, რომელიც, თავის მხრივ, ქართული სამართლისთვის უნდა მოიცავდეს დელიქტურ ვალდებულებასა და სპეციალურ მონესრიგებას, თუმცა, დოქტრინაში ცალსახა არ არის დელიქტური და სპეციალური მონესრიგების თანხვედრა ან რომელიმე მათგანის სუბსიდიარულობა.

¹³ თავის მხრივ, უდავოა, რომ საპატენტო და სასაქონლო ნიშნის სისტემები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ვრცლად იხ. *J. S. Miller, Hoisting Originality, Cardozo Law Review, Vol. 31, 2009, 472-473.*

¹⁴ WIPO, *World Intellectual Property Report, Brands – Reputation and Image in the Global Marketplace, WIPO Economics & Statistics Series, 2013, 17.*

¹⁵ გ. რუსიაშვილი, „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა?, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 2020, 1.

ეროვნული კანონმდებლობის სპეციალური მომწესრიგებელი აქტი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონია, რომლის 45-ე მუხლი სრულად განსაზღვრავს სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის მოთხოვნებს, რომელიც ძირითადად აკრძალვისკენ და კომპენსაციისკენ არის მიმართული, რაც უფლების მფლობელისთვის, როგორც მოსარჩელისთვის, მთავარ მექანიზმს წარმოადგენს მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრად.

სასაქონლო ნიშნის ეკონომიკურ მნიშვნელობას, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მიხედვით უმთავრესად ამკრძალავი ნორმები განსაზღვრავს.¹⁶ სწორედ ეს მონესრიგება ქმნის სასაქონლო ნიშნის ექსკლუზიურ ბუნებას და მის მესაკუთრეს აძლევს საშუალებას, მხოლოდ საკუთარი შეხედულებისა და ბრენდის შეფასებიდან გამომდინარე განსაზღვროს სასაქონლო ნიშნით აღნიშნული მომსახურებისა თუ პროდუქტის ღირებულება და ხარისხი. უფლების დარღვევით გამოყენების ამკრძალავი ნორმები ფაქტობრივად სრულ სამართლებრივ დაცვას ქმნის სასაქონლო ნიშნებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციისკენ მიმართული ნორმები¹⁷ ნაწილობრივ შეიცავს დელიქტური პასუხისმგებლობისა და ხელყოფის კონდიქციის შემადგენლობას, თუმცა, მათი გამოყენება სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში ქართული სამართლისთვის საგამონაკლისო მოვლენას წარმოადგენს. პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის მხოლოდ ბრენდირებით დაცვა ყოველგვარ

¹⁶ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 45 I მუხლი არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვასა და კონტრაფაქციული პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებას ემსახურება, არამედ იგი ასევე მიმართულია სამომავლოდ სასაქონლო ნიშნის უნებართვოდ გამოყენებისა და დამზადების საშუალების მოსპობისკენ.

¹⁷ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 45 V მუხლი სისტემურად მიჯნავს უფლების მფლობელის ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციისკენ მიმართულ ნორმებს, თუმცა 45 VI-VIII მუხლებში ზიანის ანაზღაურებისთვისა და ერთჯერადი კომპენსაციისთვის მოცემული ბუნდოვანი დიქტომია არ იძლევა საშუალებას, მკაფიოდ გაიმიჯნოს ზიანის ანაზღაურებს მოთხოვნა ერთჯერადი კომპენსაციის მოთხოვნისგან, რაც კანონისმიერი მონესრიგების გაუმართლებელ გადაწყვეტას წარმოადგენს.

აზრს დაკარგავდა სამართლებრივი უზრუნველყოფის გარეშე, რადგანაც ნებისმიერ პირს შეეძლებოდა ბრენდის ხელყოფა და მისაკუთრება.¹⁸ რასაც შედეგად მოჰყვებოდა მომხმარებლებისთვის შესაბამისი პროდუქტის ძებნაზე ხარჯების გაზრდა,¹⁹ ხოლო, კომპანიებისთვის კი აღარ იარსებებდა სტიმული განეხორციელებინათ ინვესტირება გუდვილში, როგორც ხარისხიან პროდუქტსა და მომსახურებაში.²⁰

გერმანულ სამართალში გარკვეულ შემთხვევებში მაინც რჩება ადგილი დელიქტური სამართლის ზოგადი დანაწესის, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის გამოყენებისთვის. თუმცა, ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს ნორმა სასაქონლო ნიშნების დამცავ სპეციალურ კანონებთან მიმართებით ყოველთვის სუბსიდიარულია.²¹

ერთი მოსაზრების²² თანახმად, საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვა შესაძლებელია მომავალში განსახორციელებელი და მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობის უფლების ფარგლებში, მისი ღირებულების გაუფასურებისგან დაცვის დარად. აღნიშნული შეხედულება შედარებით მოძველებულია და ის მეტწილად ეფუძნებოდა გერმანიის კანონს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, რომლის მე-16 პარაგრაფის ძველი რედაქცია სპეციალურ დაცვას არ ითვალისწინებდა და დღეს მისი გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, 1995 წლის 1 ია-

ნვრამდე²³ ჩადენილი ხელყოფის შემთხვევებითვისაა რელევანტური²⁴. იმისათვის რომ სასაქონლო ნიშანს ესარგებლა ასეთი დაცვით, საჭირო იყო ისეთი წინაპირობების დაკმაყოფილება, როგორებიცაა ცნობადობის 80 %-იანი²⁵ ხარისხი, დამოუკიდებელი სახე, გარჩევადობა, სასაქონლო ნიშნის ზოგადი ღირებულებითი შეფასება.²⁶ გაბატონებული შეხედულებით, მიუხედავად სასაქონლო ნიშნების შესახებ გერმანიის კანონის მე-2 პარაგრაფისა, რომლის მიხედვითაც, სასაქონლო ნიშნის დამცავი სხვა კანონები ძალაში რჩება და ჩვეულებრივად გამოიყენება, მოთხოვნათა სრული კონკურენციის დაშვება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ გერმანული კანონის მე-14 და მე-15 პარაგრაფებთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში, რადგანაც მეტწილად აზრს დაუკარგავდა მათ გამოყენებას და მათ შემზღვეველ ფუნქციას ყურადღების მიღმა დატოვებდა.²⁷ თუმცა ეს არ ნიშნავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების სრულ გამორიცხვას. გარკვეულ შემთხვევებში დელიქტური მოთხოვნის ზოგადი წესის მოშველიება მაინც საჭიროა და მისთვის თავის არიდება თითქმის შეუძლებელია. ასეთია შემთხვევა, როდესაც საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი გამოიყენება, მაგალითად, ექსტრემისტული პარტიის პოლიტიკურ რეკლამაში²⁸ ან როდესაც ხდება საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის დაცინვა ან მისი რეპუტაციისა და იმიჯის

¹⁸ S. L. Dogan / M. A. Lemley, The Merchandising Right: Fragile Theory or Fait Accompli?, Emory Law Journal, Vol. 54, 2005, 470-471.

¹⁹ ტრადიციული ეკონომიკური ანალიზის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი არის ხელსაწყო, რომელიც ემსახურება პროდუქტზე ინფორმაციის მიწოდებასა და მომხმარებლის ძებნის ხარჯების შემცირებას. ვრცლად იხ. K. Assaf, Brand Fetishism, Connecticut Law Review, Vol. 43, 2010, 86-87.

²⁰ Dogan / Lemley, The Merchandising Right: Fragile Theory or Fait Accompli?, 470-471.

²¹ Teichmann, in Jauernig BGB, 17. Aufl. 2018, § 823 Rn. 18; BGHZ 26, 59.

²² BGHZ 28, 320, 328= NJW 1959, 675, 676; BGH GRUR 1966, 623, 624 f.– Kupferberg; Brüggemeier, Deliktsrecht, 1986, Rn. 376.

²³ იხ. სასაქონლო ნიშნების შესახებ გერმანიის კანონის 153-ე პარაგრაფი.

²⁴ Wagner, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 823 Rn. 283.

²⁵ BGHZ 114, 105, 111= NJW 1991, 3218, 3220– Avon.

²⁶ BGH GRUR 1990, 711, 712; BGHZ 114, 105, 109= NJW 1991, 3218, 3219– Avon.

²⁷ BGHZ 138, 349, 351= NJW 1998, 3781 f. – MAC Dog = LM MarkenG § 14 Nr. 7 mit Anm. Schmieder, Hager, in Staudinger, 14. Aufl. 2010, § 823, Rn. D 66. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის, სასაქონლო ნიშნების შესახებ გერმანიის კანონის მე-14 პარაგრაფის მე-2 აბზაცის მე-3 ნომრის პარალელურად გამოყენების შესახებ იხ. Piper, GRUR 1996, 429, 437; Krings, GRUR 1996, 624.

²⁸ OLG Hamburg NJW-RR 1998, 552.

სხვაგვარად შელახვა²⁹ და ეს ხელყოფა არ ექცევა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ გერმანიის კანონის მე-15 პარაგრაფის მე-2 აბზაციით გათვალისწინებულ დაცვის სფეროში, რადგანაც ამ შემთხვევაში არ ხდება გამომსახველობითი გამოყენება³⁰ სავაჭრო ურთიერთობაში.³¹ თუმცა ამ მოსაზრებას ჰყავს მონინალმდეგეებიც. სასამართლო პრაქტიკა³² ასეთ დროს უმეტესწილად უარყოფს ზოგადი დელიქტური დანანესისა და, შესაბამისად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის გამოყენებას და უფრო მეტად იხრება „დაუშვებელი კონკურენციის შესახებ“ კანონის ნორმების გამოყენების შესაძლებლობისკენ. თუმცა ასეთ დროს საჭიროა კონკურენციის ურთიერთობის არსებობა, რაც ყოველთვის არაა სახეზე.³³ მაგალითად, როდესაც ექსტრემისტული პარტია პოლიტიკურ რეკლამაში იყენებს რომელიმე სასაქონლო ნიშანს, ასეთ დროს სუბიექტური ელემენტის (მაგალითად, სასაქონლო ნიშნისა და შესაბამისი სუბიექტის სახელისა და რეპუტაციის შელახვის) არსებობის შემომწმებად, შესაძლოა, სწორედ კონკურენციის ურთიერთობა გამოირიცხებოდეს, რა დროსაც საერთოდ შეუძლებელი იქნება დაუშვებელი კონკურენციის შესახებ გერმანიის კანონის გამოყენება. მსგავსი მდგომარეობა შეიძლება იყოს სასაქონლო ნიშნის დაცვისთვისა თუ რეპუტაციის სხვაგვარად შელახვის ზემოთ განხილულ შემთხვევებშიც. არ არის აუცილებელი, რომ პირი, რომელიც ახორციელებს რეპუტაციისა და იმიჯის შემლახველ ქმედებას, იმყოფებოდეს კონკურენტულ ურთიერთობაში იმ კომპანიასთან, რომელსაც მიადგა ზიანი მისი სასაქონლო ნიშნის წინააღმდეგ გარკვეული ცნობების გავრცელებით ანდა ამ დაცული სი-

კეთის სხვაგვარი ხელყოფით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის გამოყენების შემთხვევაში დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, რომლის ხელყოფაც ხდება, წარმოადგენს უშუალოდ სასაქონლო ნიშანი. ამიტომ, მისი დაცვა პირდაპირი წესით უნდა მოხდეს და არა შუალობითად, მიზნად დასახული ან მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობის დაცვის ფარგლებში.³⁴

2. თვითდახმარება და სახელმწიფოს როლი უფლების აღსრულებაში

სახელმწიფოს ჩარევა არა მხოლოდ სასაქონლო ნიშანზე უფლების აღსრულებაში, არამედ ზოგადად ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვაში, არასწორია ჩაითვალოს, როგორც სახელმწიფო რესურსის არამიზნობრივი განკარგვა და შესაბამისად არ არის გამართლებული აღნიშნული პროცესების სრულად სამოქალაქო სამართალწარმოებაზე მიწოდება.³⁵ ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლო დავის გარეშე უფლების აღსრულებისთვის მესამე გზას წარმოადგენს თვითდახმარება, რა დროსაც უფლების მფლობელი თავად აწარმოებს ყველა საჭირო ქმედებას საკუთარი სასაქონლო ნიშნის დასაცავად, რაც ყველაზე სწრაფი საშუალებაა ჩამოთვლილთაგან, თუმცა ნათელია, რომ მას გააჩნია ნაკლოვანება შესაბამისი სამართლებრივი დაცვის არარსებობის გამო.³⁶

მართებული იქნება მივიჩნიოთ, რომ უფლების აღსასრულებლად საუკეთესო კონსტრუქციაა, როდესაც უფლების მფლობელი თვითდა-

²⁹ BGHZ 91, 117, 120 = NJW 1984, 1956 f. – Mordoro; *Bürglen*, FS Gaedertz, 1992, 71, 80; *Hubmann*, JZ 1986, 1110; *Schmidt*, JuS 1993, 985, 992; *Moench*, NJW 1984, 2920, 2923.

³⁰ აღნიშნულ წინაპირობასთან დაკავშირებით იხ. *Wagner*, ZHR 162 1998, 701, 707.

³¹ *Wagner*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 7. Aufl. 2017, § 823 Rn. 283.

³² BGHZ 125, 91, 98, 104 = NJW 1994, 1954, 1956 – Mars.

³³ BGHZ 98, 94, 95 = NJW 1986, 2951 – BMW; OLG Frankfurt und LG Wiesbaden NJW 1982, 648 – Lusthansa.

³⁴ FS Gaedertz, 1992, 99, 106; *Hager*, in *Staudinger*, 14. Aufl. 2010, § 823, Rn. B 137; განსხვავებული შეხედულებისთვის იხ. BGHZ 91, 117, 120 = NJW 1984, 1956 f. – Mordoro; BGHZ 98, 94, 99 = NJW 1986, 2951, 2952 – BMW.

³⁵ სანინალმდეგო მოსაზრებისთვის იხ. *E. T. Biadgleng / V. M. Tellez*, *The Changing Structure and Governance of Intellectual Property Enforcement*, South Centre Research Paper 15, 2008, 12.

³⁶ *A. Adler / J. Fromer*, *Taking Intellectual Property into Their Own Hands*, *California Law Review*, Vol. 107, No. 5, 2019, 1459

ხმარებასა და სამართლებრივი მოწესრიგების ტრადიციულ გზებს ერთდროულად მიმართავს. აღნიშნული გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ფიზიკურ სამყაროში, ასევე ვირტუალურ სამყაროში³⁷ განხორციელებადი ქმედებები.

2.1 კონტრაფაქცია ფიზიკურ სამყაროში

ნებისმიერი ქვეყნისთვის მოიძებნება კონკრეტული ადგილები, სადაც სასურველი ხარისხისა და ღირებულების კონტრაფაქციული პროდუქტის ყიდვა არის შესაძლებელი.³⁸ მეტიც, მაგალითად, ჩინეთისთვის, კონტრაფაქცია არა მხოლოდ ეკონომიკური ფენომენია, არამედ კულტურული წინააღმდეგობის სიმბოლოსაც წარმოადგენს.³⁹ ნათელია, რომ კონტრაფაქციულ ბაზარს უდიდესი სოციალური და ეკონომიკური გავლენა აქვს და მის წინააღმდეგ ბრძოლას მნიშვნელოვანი რესურსი სჭირდება. შესაბამისად, სასაქონლო ნიშანზე უფლების ეფექტიანად აღსრულებისთვის საჭიროა გამოყენებული იქნეს, როგორც თვითდახმარების, ასევე სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული მექანიზმები.

ეგრეთ ნოდებული რეიდები კონტრაფაქციის წინააღმდეგ უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ბაზრის უდიდესი მოთამაშეები ყველაზე ხშირად მიმართავენ.⁴⁰ ქართული რეალობი-

სთვის რეიდების განხორციელება შესაძლებელია სასაქონლო ნიშანზე უფლების მფლობელის ინიციატივითა და შესაბამისი საგადასახადო ორგანოს საშუალებით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №994-ის 81 I მუხლის მიხედვით, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი უფლებამოსილია მიმართოს საგადასახადო ორგანოს სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის უკანონო გამოყენების გამოვლენისა და აღკვეთის მოთხოვნით. ამავე ბრძანების 81 II-III მუხლებით კი განსაზღვრულია ის ინფორმაცია და სავარაუდო უფლების დარღვევის ფაქტები, რომლებიც უფლების მფლობელმა შესაბამის საგადასახადო ორგანოს უნდა მიანოდოს. თავის მხრივ, აღნიშნული მუხლები უთითებს უფლების მფლობელის მიერ განსახორციელებელ ქმედებებზე, როგორც თვითდახმარებაზე, რომელიც წინ უნდა უძღვოდეს საგადასახადო ორგანოსთან ერთად განსახორციელებელ რეიდს. უპირველესად, უფლების მფლობელის მიერ მოძიებული უნდა იყოს სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევის ფაქტები, რომლებიც შესაძლოა ხორციელდებოდეს, როგორც უშუალოდ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქტის გაყიდვით, ასევე, სასაქონლო ნიშნის რეკლამირების სახით. ეს ემსახურება პოტენციურ კლიენტთა მოზიდვას უფლების დამრღვევის მხრიდან. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს უფლების მფლობელის მხრიდან შესაბამისი საკონტროლო შესყიდვა, რომელზე გაცემული სასაქონლო ზედნადები, საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით თანხის გადახდის დოკუმენტი უფლების დამრღვევის მთავარი მაიდენტიფიცირებელია, ხოლო, უშუალოდ შესყიდული კონტრაფაქციული პროდუქტი კი უნდა შემოწმდეს შესაბამისი სპეციალისტის მიერ და აღინიშნოს ყვე-

³⁷ ვირტუალური სამყაროსთვის ვრცლად იხ. გ. ჟორჯოლიანი, ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2019, 2019, 27-28.

³⁸ მაგალითისთვის შეერთებული შტატებისთვის ასეთი ადგილი კალან სტრიტია, იხ. *J. Barnett, Shopping for Gucci on Canal Street: Reflections on Status Consumption, Intellectual Property and the Incentive Thesis*, Virginia Law Review, Vol. 91, 2005, 1381-1382

³⁹ *K. Raustiala / C. Sprigman, Let Them Eat Fake Cake, The Luxury Economy and Intellectual Property: Critical Reflections*, Eds. H. Sun / B. Beebe / M. Sunder, 2015, 272.

⁴⁰ მაგალითისთვის ლუი ვიტონი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ბრენდია, იყენებს მის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას კონტრაფაქციის წინააღმდეგ და ყოველწლიურად რამდენიმე ათასეული რეიდის ინიციატორია. ვრცლად იხ.

<https://us.louisvuitton.com/english/magazine/articles/brand-protection#> (უკანასკნელად ნანახია 22.09.2020); დაიმღერის მიერ 2019 წელს ამოღებულ იქნა 1.5 მილიონ ერთეულზე მეტი კონტრაფაქციული პროდუქტი, ვრცლად იხ. <https://www.daimler.com/company/compliance/brand-protection.html> (უკანასკნელად ნანახია 22.09.2020).

ლა განმასხვავებელი დეტალი, მათ შორის სასაქონლო ნიშნის შესრულების ნაწილშიც, რომელიც არ ახასიათებს უფლების მფლობელის წარმოებულ პროდუქტს, რაც საბოლოოდ დასკვნის სახით უნდა წარედგინოს საგადასახადო ორგანოს, რადგან გამოირიცხოს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 7 II მუხლის რეგულირება.⁴¹

ზემოაღნიშნული მოქმედებების შემდეგ რეიდს ახორციელებს უშუალოდ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი შესაბამის სასაქონლო ნიშანზე უფლების მფლობელთან ან მის წარმომადგენელთან ერთად. რეიდის შედეგად თუ სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევა დადასტურდება, კონტრაფაქციული საქონელი ამოღებული იქნება სამოქალაქო ბრუნვიდან, ხოლო უფლების დამრღვევს კი დაეკისრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა. რიგ შემთხვევაში კონტრაფაქციული პროდუქტის რაოდენობისა და საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით შესაძლოა დადგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ უფლების მფლობელი უშუალოდ კომპენსაციას ვერ იღებს შესაბამისი ორგანოების განხორციელებული სამართლებრივი ქმედებებიდან, რეიდების განხორციელების დროს მოპოვებულია უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებები, რაც უფლების მფლობელს აძლევს სამოქალაქო სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას კომპენსაციის მოთხოვნით დამრღვევის წინააღმდეგ. უშუალოდ რეიდის შედეგად კი დამრღვევი ჯარიმდება, ხოლო კონტრაფაქციული პროდუქტის ამოღება ხდება სამოქალაქო ბრუნვიდან.

2.2 სასაქონლო ნიშნის ხელყოფა ინტერნეტ სივრცეში

ინტერნეტსივრცეში გასაყიდად განთავსებული კონტრაფაქციული პროდუქტისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს იგივე მექანიზმები, რომლებიც ფიზიკურ სამყაროში კონტრაფაქციული პროდუქტის წინააღმდეგ გამოიყენება. თუმცა, აღნიშნული მექანიზმების გამოყენება შეუძლებელია მაშინ, როდესაც სასაქონლო ნიშნის გამოყენება ხდება არა უშუალოდ პროდუქტზე, რომელიც ინტერნეტსივრცეშია განთავსებული, არამედ როდესაც სასაქონლო ნიშნის გამოყენება ხდება დომენური სახელწოდებისთვის, რაც ცნობილია როგორც კიბერსკვათინგი (Cybersquatting).⁴²

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება N 793 / 16 შპს „კავკასუს ონლაინის“ მიმართ სს „თიბისი ბანკის“ საჩივრის განხილვის თაობაზე, შესაძლოა მივიჩნიოთ კიბერსკვათინგის ადმინისტრაციული წესით გადაწყვეტის მაგალითად, რა დროსაც სს „თიბისი ბანკის“ სასაქონლო ნიშნების გამოყენება ხდება დომენური დასახელებისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით სადავო დომენებზე წვდომა შეიზღუდა, თუმცა მოცემული ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას შეუძლებელი იყო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ან კომპენსაციის დაკისრება უფლების დამრღვევისთვის. ამისთვის უფლების მფლობელმა დამატებით უნდა მიმართოს სასამართლოს და დაიწყოს დავა უფლების დამრღვევის წინააღმდეგ.

კიბერსკვათინგთან დაკავშირებით საინტერესო მიდგომას გვთავაზობს შეერთებული შტატების მომხმარებელთა დაცვის კანონი ანტი-კიბერსკვათინგის შესახებ. ნიშნის მფლობელს შეუძლია როგორც დომენის გაუქმების, ასევე დომენის მისთვის გადაცემის მოთხოვნის

⁴¹ აღნიშნული ნორმის მიხედვით განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება, აუკრძალოს მესამე პირს სასაქონლო ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილ იქნა უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე.

⁴² ვრცლად იხ. გ. ჟორჯოლიანი, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019, 71.

დაყენება სამოქალაქო დავის ფარგლებში,⁴³ ხოლო, პარალელურად ასევე შეუძლია მოითხოვოს (რეალური) ზიანის ანაზღაურება⁴⁴ ან კანონით დადგენილი ზიანის ანაზღაურება (statutory damages), რომელიც განისაზღვრება 1000–100 000 დოლარამდე თითოეული დომენისთვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თავისთავად გამორიცხულია ფაქტობრივად მიყენებული ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობა.⁴⁵ შეერთებული შტატების მოწესრიგება ყველა შესაძლო შემთხვევას ამომწურავად ითვალისწინებს. ქართულ სამართლებრივ სივრცეში სასურველია ანალოგიური მიდგომის დამკვირდება.

ალტერნატიულ მექანიზმებთან მიმართებაში საგულისხმოა, რომ საქართველოს ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენისთვის⁴⁶ 2018 წელს მიღებული იქნა WIPO–ს დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკის ვარიაცია.⁴⁷ რაც საშუალებას იძლევა დომენური დავების განსახილველად მოსარჩელემ მიმართოს WIPO–ს და დავა ერთიანი პოლიტიკის მიხედვით გადაწყდეს .GE დომენისთვის. აღნიშნულის უმთავრეს უპირატესობას წარმოადგენს დავის განხილვა კვალიფიციური სპეციალისტის მიერ, რომელსაც შესაბამისი მიმართულებით გააჩნია სპეციფიკური ცოდნა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული ადინისტრაციული საჩივრის ფარგლებში დომენების რეგისტრანტი უშუალოდ საჩივრის მხარე ვერ იქნებოდა. WIPO–ს შემთხვევაში კი რეგისტრანტი საჩივრის უშუალო მოპასუხედ გვევლინება, რაც კვალიფიციური არგუმენტაციისა და პასუხის/შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა UDRP-ს შემთხვევაშიც ზიანის მოთხოვნა ზემოხსენებული

შეერთებული შტატების მომხმარებელთა დაცვის კანონისგან განსხვავებით შეუძლებელია.⁴⁸

აღსანიშნავია, რომ WIPO–ს მიერ განხილულ იქნა დავა⁴⁹ .GE დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკის მიხედვით საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირის წინააღმდეგ, რომელმაც ცნობილი საკურიერო კომპანიის Glovo-ს სასაქონლო ნიშნის შემცველი დასახელებით დაარეგისტრირა ორი დომენი glovoapp.ge და glovo.ge, რომლების მიყიდვასაც იგი მოსარჩელე კომპანია Glovo–სთვის 10 000 ევროდ ცდილობდა. ნათელია, რომ აღნიშნული შეიცავდა არაკეთილსინდისიერი განზრახვის ელემენტს. ამან მოპასუხის არგუმენტი, რომ დომენები საოჯახო ბიზნესისთვის უნდა გამოეყენებინა და მან Glovo–ს შესახებ საერთოდ არ იცოდა, გადანონა. დავა მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულდა და მას ორივე დომენი გადაეცა.

IV. შეჯამება

სასაქონლო ნიშნის ეკონომიკური მნიშვნელობა არ განისაზღვრება მხოლოდ მასზე დახარჯული ფინანსური რესურსით, სარეკლამო კამპანიებითა თუ ბრენდირების სტრატეგიებით. სასაქონლო ნიშნის სამართლებრივი დაცვის არარსებობის პირობებში, საწარმოს განეული ყოველი ხარჯი იქნებოდა ფუჭი, ნებისმიერი პირი შეძლებდა სასაქონლო ნიშნის მისაკუთრებასა და საკუთარი ეკონომიკური ინტერესის შესაბამისად გამოეყენებას. გამომდინარე აქედან, ხშირ შემთხვევაში სწორედ სასაქონლო ნიშნის სამართლებრივი დაცვის წარმატება განსაზღვრავს საწარმოს ეკონომიკურ წარმატებასა და მასთან დაკავშირებული პროდუქტისა თუ მომსახურების ღირებულებას. ამრიგად, სასაქონლო ნიშანი, როგორც მომხმარებლისთვის კონკრეტული პროდუქტისა და მომსახურების უმთავრესი მაიდენტიფიცირებელი საშუალება

⁴³ Anticybersquatting Consumer Protection Act, (15 U.S.C. § 1125(d)). Section 2(a)(d)(1)(D))

⁴⁴ იქვე, Section 3(a)(2).

⁴⁵ იქვე, Section 3(b)(d).

⁴⁶ ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენი, იგივე country code top-level domain (ccTLD). საქართველოსთვის ასეთ აღმნიშვნელად გამოიყენება .GE.

⁴⁷ .GE დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკა იხ. ბმულზე https://nic.ge/_cdn/f/11/21/TqdWtM568E6syHk5mIF05g/G_E_Domain_Name_Dispute_Resolution_Policy_GEO.pdf (უკანასკნელად ნანახია: 07.07.2019)

⁴⁸ Singh H., Domain Name Disputes and Their Resolution under UDRP Route: A Review, Archives of Business Research, Vol.6, No.12, 2018, 154.

⁴⁹ Glovoapp23, S.L. v. Ketevan Vadachkoria, WIPO, No. DGE2018-0001 (Nov. 8, 2018)

ღირებულებას მხოლოდ სამართლებრივი დაცვის მექანიზმების აღსრულების შედეგად იძენს, იქნება ეს ფიზიკურ თუ ვირტუალურ სამყაროში განხორციელებული ქმედებები.

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

I. მეუღლეთა თანასაკუთრება

სკ-ის 1158-ე და მომდევნო მუხლები იძლევიან კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმის, კერძოდ, „საერთო საკუთრების რეჟიმის“ დეფინიციას, აწესრიგებენ მის წარმოშობას, განსხვავებულ ქონებრივ მასებს, რომლებიც წარმოიშობა მის ფარგლებში და ზოგადად აფორმებენ მის სამართლებრივ კონცეფციას.

საქორწინო ხელშეკრულებით სპეციალური ქონებრივი რეჟიმის შეთანხმების გარეშე, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება ხდება მათი საერთო ქონება, თუ ის არ განეკუთვნება გამოცალკევებულ ქონებას (სკ-ის 1161, 1162 მუხლები). ქორწინების განმავლობაში მოპოვებულის წყარო, ზოგადად, არანაირ როლს არ თამაშობს (გამონაკლისი: სკ-ის 1161 ბ) მუხლი). საერთო ქონების ნაყოფი და ასევე გამოცალკევებული ქონების ნაყოფი განეკუთვნება საერთო ქონებას. გარდა ამისა, საერთო ქონებასვე განეკუთვნება სახელფასო მოთხოვნა (რამდენადაც ყადაღაუნარიანია – შეიძლება მიეცეს იძულებითი აღსრულება), მოთხოვნები დელიქტიდან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან და რეალაქტით მოპოვებული, მაგალითად, გადაამუშავების შედეგად.

საერთო ქონებისადმი მიკუთვნება ხდება კანონის ძალით, გარიგებისმიერი აქტის გარეშე, რის გამოც შეუძლებელია კეთილსინდისიერი მოპოვება. ქორწინებაში შექმნილის და ამგვარად, საერთო ქონების მხოლოდ ერთი მეუღლის სახელზე რეგისტრაციის შემთხვევაში, რეესტრის ჩანაწერი ხდება არასწორი და უნდა ჩასწორდეს. ჩასწორების მოთხოვნა გამომდინარეობს თავად სკ-ის 1158-ე მუხლიდან და მე-

უღლეს ავალდებულებს თანაქმედებას ამ ჩასწორების პროცესში.

1. სამართლებრივი კონსტრუქცია

საერთო საკუთრებად ქცევის სამართლებრივი კონსტრუქცია საკამათოა.¹ დოგმატურად ყველაზე გამართულია გამჭოლი მოპოვება², ანუ საკუთრების ჯერ ერთი მეუღლის საკუთრებად ქცევა და მხოლოდ ამის შემდეგ მისი გადაქცევა საერთო საკუთრებად. თუმცა პრაქტიკული მოსაზრებები ამართლებენ პირდაპირ საერთო საკუთრებად ქცევის გადაწყვეტას. მაგალითად, მიწის ნაკვეთზე (საერთო) საკუთრების შექმნისას ზედმეტია ჯერ ერთ-ერთი მეუღლის სახელზე რეგისტრაცია და შემდეგ საერთო საკუთრებად გადარეგისტრირება. შესაბამისად, დასაშვებია პირდაპირ საერთო საკუთრებად რეგისტრაცია.³

2. სანივთოსამართლებრივი კონცეფცია

ისევე როგორც სხვა თანაზიარი საკუთრების რეჟიმის დროს, აქაც, მეუღლეებს არ აქვთ გამოცალკევებადი წილი საკუთრებაში, რომლის დამოუკიდებლად განკარგვაც მათ ხელეწიფებათ. მეუღლეებს არ აქვთ არც ცალკეული კვოტა საერთო საკუთრებიდან გამომდინარე მოთხოვნასთან დაკავშირებით და კრედიტორს არ ძალუძს მათ წინაშე ამ წილის მიმართ გაქვითვა. ასევე არ არის გასხვისებადი ქონების გაყოფამდე საერთო ქონებაში მონაწილეობა

¹ Hofmann, Zum Erwerb einzelner Gegenstände durch einen Ehegatten für das Gesamtgut der Gütergemeinschaft, FamRZ 1972, 117; BGHZ 82, 348.

² Gernhuber/Coester-Waltjen, Familienrecht, 6. Aufl., München 2010, § 38 Rn. 26 f.

³ BGHZ 82, 350.

(აბსტრაქტული წილი). ვალდებულება ამ ნაწილის გასხვისებასთან დაკავშირებით ბათილია, თუმცა შეიძლება განიმარტოს, როგორც საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის დათმობის ვალდებულება (შდრ. სკ-ის 1170 I მუხლი).

II. თანასაკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა

ქორწინებაში შექმნილის საერთო საკუთრებად გადაქცევა სკ-ის 1158 I მუხლის მიხედვით წარმოშობს სამ საკითხს: ამ ქონების მართვის, პასუხისმგებლობისა და გაუქმების საკითხს, რაც შესაბამისად არის მოწესრიგებული სკ-ის 1159-1160-ე, 1170-ე და 1164-1169-ე მუხლებში. საერთო ქონების მართვა (ფლობა, სარგებლობა და განკარგვა), სკ-ის 1159-ე მუხლის მიხედვით, ხდება მეუღლეთა შორის ურთიერთშეთანხმებით. მეუღლეთა მიერ საერთო ქონების ერთობლივად მართვის ცნება მოიცავს მათ ფლობას, განკარგვას, სარგებლობასა და მასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაში მონაწილეობას. ამ ცნებით მოცულია საერთო ქონებასთან დაკავშირებული ისეთი მოქმედებები, როგორცაა ხმის უფლების გამოყენება საზოგადოებაში, ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება ამ ქონების სარჩოდ გამოყენებას.⁴

ვალდებულებითი გარიგებები, პირველ რიგში, ავალდებულებენ უშუალოდ მოქმედ მეუღლეს, ხოლო საერთო ქონებაზე ვრცელდება მხოლოდ მეორე მეუღლის მხრიდან თანხმობის გაცხადების შემდეგ. საერთო ქონებისათვის რაიმე ნივთის შემატება არ მოითხოვს მეორე მეუღლის თანხმობას. გამონაკლისი ნების მიღების კომპეტენცია აქვს თითოეულ მეუღლეს დამოუკიდებლად. გამონაკლისს არ წარმოადგენს არც მოშლა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ერთ მეუღლეს მიუვიდეს და არც ოფერტით ბოჭვა.⁵ მოთხოვნების წაყენება შეუძლია ორივე მეუღლეს ერთობლივად.

მეუღლეთა მიერ საერთო ქონების ფლობა უნდა მოხდეს ერთობლივად, ანუ უნდა იყოს თანამფლობელობა. თუმცა ის წარმოიშობა

არა *ipso iure*, არამედ მხოლოდ ერთი (მფლობელი) მეუღლის მხრიდან მისი მინიჭების შემდეგ, რისი ვალდებულებაც მფლობელ მეუღლეს გააჩნია. მფლობელობის დაცვაზე უფლებამოსილია თითოეული მეუღლე. ეს დაცვა შესაძლებელია ასევე მეორე მეუღლის მიმართაც განხორციელდეს.⁶

საკუთრებიდან წარმოშობილი მოთხოვნების სასამართლო წესით წაყენების უფლებამოსილება მეუღლეებს აქვთ მხოლოდ ერთობლივად. აუცილებელია ორივე მეუღლის მონაწილეობა სასამართლო პროცესში.⁷ იგივე წესი მოქმედებს ამ ქონების წინააღმდეგ წარმოებული დავის შემთხვევაშიც.

თანაქმედების ვალდებულება წარმოადგენს მნიშვნელოვან დანამატსა და შემავსებელს საერთო ქონების ერთობლივი მართვის პრინციპისა. თუ მეუღლე არ იღებს მონაწილეობას ამ მართვაში, რისი ვალდებულებაც მას აწევს, ის პასუხს აგებს მეორე მეუღლის წინაშე.⁸ თუმცა ეს თანაქმედების ვალდებულება სასამართლო წესით გამოძალვადი არ არის.⁹

1. ურთიერთშეთანხმებით მართვა

ურთიერთშეთანხმებით მართვის პირობებში საერთო ქონება შეიძლება განიკარგოს მხოლოდ ერთობლივად. სასამართლო დავა, რომელიც ეხება ამ საერთო ქონებას, წარმოებული უნდა იქნეს ასევე ერთობლივად; მეუღლეებს აქვთ ერთობლივი თანამფლობელობა ამ ქონებაზე. გამომდინარე იმ სირთულეებიდან, რასაც ამგვარი ერთობლივი მართვა წარმოშობს, თითოეული მეუღლე ვალდებულია, მიიღოს თანამონაწილეობა შესაბამის მოქმედებებში. გამონაკლისის სახით ეს თანაქმედების ვალდებულება შეიძლება ჩანაცვლდეს სასამართლოს მიერ.

⁶ *Gaul/Althammer*, in: Soergel, BGB, 13. Aufl., § 1450 Rn. 11.

⁷ *Baur*, Zivilprozessuale Fragen zum Gleichberechtigungsgesetz und zum Familienrechtsänderungsgesetz 1961, FamRZ 1962, 510.

⁸ *Baur*, Zivilprozessuale Fragen zum Gleichberechtigungsgesetz und zum Familienrechtsänderungsgesetz 1961, FamRZ 1962, 42

⁹ *Gaul/Althammer*, in: Soergel, BGB, 13. Aufl., § 1451 Rn. 5.

⁴ BGHZ 111, 255.

⁵ *Gaul/Althammer*, in: Soergel, BGB, 13. Aufl., § 1450 Rn. 14

2. პასუხისგება

საერთო ქონების პასუხისგების ნაწილში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს კანონის ძალით წარმოშობილი ვალდებულებები და გარიგებისმიერი ვალდებულებები. კანონის ძალით წარმოშობილი ვალდებულებებისათვის, მაგალითად, დელიქტიდან ან უსაფუძვლო გამდიდრებიდან, საერთო ქონება პასუხს აგებს. უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში იმ გარიგებიდან, რომელიც მეორე მეუღლის თანხმობას საჭიროებდა, ამ თანხმობის არარსებობის პირობებში – მხოლოდ მაშინ – თუ ეს საერთო ქონება უსაფუძვლოდ გაიზარდა (სკ-ის 1170 III მუხლი).

გარიგებების საფუძველზე, საერთო ქონების რეჟიმის არსებობის პირობებში, საერთო ქონება პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გარიგება დადებულია მეუღლეების მიერ ერთობლივად ან ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის თანხმობის არსებობის პირობებში. ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც, გამონაკლისის სახით მეუღლეს ჰქონდა დამოუკიდებლად მოქმედების უფლება.

ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა ინდივიდუალურ ქონებასთან დაკავშირებული უფლებებიდან ან მისი ფლობიდან, ვერ იქნება საერთო ქონების პასუხისმგებლობის საფუძველი.

საერთო ქონების პასუხისმგებლობის პირობებში, საერთო მართვიდან გამომდინარე, მეუღლეები ასევე პირადად და სოლიდარულად აგებენ პასუხს. სოლიდარული მოვალეების რეგრესის დროს (სკ-ის 473 მუხლი) გარე ურთიერთობაში შესრულებული ვალი შუაზე იყოფა და შემსრულებელ მეუღლეს უფლება აქვს, მოითხოვოს მეორისაგან სანახევრო შესრულება (1169-ე მუხლის ანალოგიით).

III. ერთი მეუღლის მიერ განხორციელებული განკარგვა

სკ-ის 1160 II მუხლის მიხედვით, ერთი მეუღლის მიერ განხორციელებული საერთო ქონების ნაწილის განკარგვა ვერ იქნება ბათილი მხოლოდ იმის გამო, რომ მეორე მეუღლემ არ

იცოდა გარიგების შესახებ და არ ეთანხმებოდა მას. დანაწესი შეიცავს მხოლოდ ჩამონათვალს იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს განკარგვა ძალში რჩება მიუხედავად მეორე მეუღლის პროტესტისა. შემთხვევას, როდესაც განკარგვა ბათილია ამ პროტესტის საფუძველზე, ნორმის ინტენციიდან და საერთო საკუთრების ინსტიტუტის სისტემური განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ეს განკარგვა მაინც შეიძლება გაბათილდეს რაიმე სხვა გარემოების საფუძველზე, რომელიც, მართალია, თავად ნორმაში ნახსენები არ არის, თუმცა იგულისხმება.

გერმანიაში მოცემული პრობლემა მოწესრიგებულია **Schlüsselgewalt**-ის ინსტიტუტის ფარგლებში¹⁰ (გსკ-ის 1357-ე პარაგრაფი), რისი გადმოტანაც მორგებული ფორმით საქართველოში აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში სკ-ის 1160 II მუხლი, საბოლოო ჯამში, თითოეულ მეუღლეს საშუალებას მისცემდა შეუზღუდავად განეკარგა საერთო ქონება, მიუხედავად მეორე მეუღლის პროტესტისა. ამ რეცეფციის ფარგლებში, ზემოთ ხსენებული არგუმენტებიდან გამომდინარე, ტელეოლოგიური განმარტების გზით, სკ-ის 1160 II მუხლით გათვალისწინებული განკარგვის წინაპირობა უნდა იყოს ის, რომ ეს განკარგვა ხდებოდეს და აუცილებელი იყოს ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის (*zur angemessenen Deckung des Lebensbedarfs der Familie*).

1. განკარგვის გარიგება

სკ-ის 1160 II მუხლი ეხება მხოლოდ განკარგვის გარიგებებს¹¹, რომელიც ხორცილდება ერთი მეუღლის მიერ საერთო ქონებასთან დაკავშირებით. დოგმატურად ეს დანაწესი შეი-

¹⁰ თუმცა გერმანიაში **Schlüsselgewalt** ეხება მხოლოდ მავალდებულებელ გარიგებებს, რომლითაც იბოჭება ასევე მეორე მეუღლეც.

¹¹ ის. განკარგვის გარიგებებთან დაკავშირებით *მაისურაძე*, განკარგვით ხელყოფის კონდიქცია ქართულ და გერმანულ სამართალში, *შედარებითი სამართლის ჟურნალი 8/2020*, 12-ე და მომდევნო გვერდები; *რუსიაშვილი*, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, *შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019*, 20-ე და მომდევნო გვერდები; *რუსიაშვილი*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2015, 257-ე და მომდევნო გვერდები.

ძლება გაგებულ იქნეს, როგორც წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭება განკარგვითი გარიგების დადებისას: მეუღლე, რომელიც დებს ამ გარიგებას ამავდროულად წარმომადგენს მეორე მეუღლეს და გარიგება იდება ორივეს სახელით, თუმცა ეს გადაწყვეტა საკმაოდ შორს დგას ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან და გარდა ამისა, თუ ამ შემთხვევაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაა მინიჭებული, ის გამომხდობადიც უნდა იყოს, რასაც ნორმა არ ითვალისწინებს, ამიტომაც რეგულაცია უნდა გავიგოთ, როგორც განკარგვის უფლებამოსილების მინიჭება მხოლოდ საკუთარი სახელით, ოჯახის საჭიროებების დასაფარად.

2. „ოჯახის საჭიროებების დასაფარად“

საგნის განკარგვა საერთო ქონებიდან უნდა ხდებოდეს ოჯახის საჭიროებების დასაფარად. ეს ცნება კავშირშია სარჩოს მინიჭების მოთხოვნის მასშტაბთან სკ-ის 1182, 1885-ე მუხლების მიხედვით.¹² ამიტომაც, საჭიროებებს განეკუთვნება მხოლოდ ოჯახის წევრებისათვის საკვების შესაძენად თანხის მოპოვება, ისევე, როგორც ტანსაცმლის, საოჯახო მეურნეობისათვის აუცილებელი ნივთების, სათამაშოებისა და სასწავლო მასალის მოპოვება. გარდა ამისა, ამ კატეგორიაში ექცევა, მაგალითად, ოჯახის დასასვენებლად წაყვანისათვის თანხის გამოსათავისუფლებლად ან ელექტრომომმარაგებელთან¹³ თუ ტელესაკომუნიკაციო კომპანია-სთან¹⁴ გარიგების დადებისათვის ნივთის განკარგვა. ასევე: ადვოკატის დაქირავება იმ დავაზე, რომლის შედეგებიც მთლიანი ოჯახისათვის დგება¹⁵, საოჯახო მანქანის გარემონტება¹⁶ და ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების დადება. ამავე კატეგორიაში უნდა გაერთიანდეს სამომხმარებლო

გარიგებები, თუ ისინი ოჯახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება.¹⁷

დიდი მოცულობის გარიგებები (სახლის შეძენა), რომელთა შეჩერებაც და უკუქცევაც უპრობლემოდ არის შესაძლებელი, სკ-ის 1160 II მუხლის ქვეშ არ ერთიანდება. მეუღლეს არ აქვს უფლება, ოჯახური ერთობის გვერდზე გადადებით, ამგვარ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოს და განკარგოს მის მოსაპოვებლად ოჯახის საერთო საკუთრება. თუ რა ჩაითვლება „დიდ მოცულობად“ უნდა გადაწყდეს ოჯახის მატერიალური მდგომარეობიდან და კოოპერაციის ხარისხიდან გამომდინარე.¹⁸ ამიტომაც, ჩვეულებრივ, განკარგვა ბათილია, თუ ის ხდება მოგზაურობის თანხების აკუმულირებისათვის, თუ მოგზაურობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მანამდე ყოველთვის საერთო კონსენსუსის საფუძველზე მიიღებოდა.¹⁹ იგივე ითქმის მშენებლობაში ფულის დაბანდებასთან დაკავშირებით.²⁰ სახლის შესაძენად დაქირავებული მაკლერისათვის პროვიზიით გადახდა ასევე აღარ წარმოადგენს ოჯახის საჭიროებას, თუ ამ სახლის შეძენა მანამდე მეუღლეებს შორის შეთანხმებული არ ყოფილა²¹. ასევე: ბინის ქირავნობის ხელშეკრულების დადება, სატელეფონო კომუნიკაცია სხვა ქვეყანაში განსაკუთრებით მაღალ ფასად, რომელიც აღემატება ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობებს.²²

ზემოთ აღწერილი წინაპირობების საფუძველზე განხორციელებული დასაშვები განკარგვის სამართლებრივი შედეგია მისი სანივთოსამართლებრივი ნამდვილობა, როგორც მეუღლის, ასევე მესამე პირების წინაშე.

¹² BGHZ 94, 1.

¹³ BGH NJW-RR 2013, 897; *Luther*, Vom Ende der Schlüsselgewalt, FamRZ 2016, 271.

¹⁴ BGH NJW 2004, 1593

¹⁵ OLG Düsseldorf FamRZ 2011, 35

¹⁶ LG Freiburg FamRZ 1988, 1052

¹⁷ *Löhnig*, Verbrauchergeschäfte mit Ehegatten - zum Verhältnis von Verbraucherschutz und Schlüsselgewalt, FamRZ 2001, 135.

¹⁸ BGHZ 94, 1

¹⁹ OLG Köln FamRZ 1991, 434,

²⁰ BGH FamRZ 1989, 35,

²¹ OLG Oldenburg FamRZ 2011, 37.

²² BGH NJW 2004, 1593.

IV. მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება

მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება რჩება საერთო ქონების მიღმა. სკ-ის 1161-ე მუხლის მიხედვით, მას განეკუთვნება ქონება, რომელიც მეუღლეს ეკუთვნოდა ქორწინებამდე და ქორწინების ფარგლებში ჩუქებითა და მემკვიდრეობით მიღებული ქონება.

საერთო ქონებისაგან გამოსაცალკევებელია არაგადაცემადი სიკეთეები. სიკეთეები, რომელთა სხვისთვის გადაცემაც გარიგების ფარგლებში შეუძლებელია, ასევე ვერ იქცევა მეუღლეთა საერთო საკუთრებად სკ-ის 1158 I მუხლის მიხედვით. ამგვარი სიკეთეებია: უზუფრუქტი, არაგასხვისებადი წილი საზოგადოებაში, ხელფასის ის ნაწილი, რომელზეც არ შეიძლება მიექცეს იძულებითი აღსრულება, პიროვნული უფლება, მოთხოვნა, რომელიც დათმობაუუნაროა (მათ შორის გარიგებისმიერი აკრძალვის გამო).

ინდივიდუალური საკუთრება რჩება მეუღლეთა ერთპიროვნულ და შეუზღუდავ მმართველობაში. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთ ხსენებული არაგადაცემადი სიკეთეები მხოლოდ მათი ამ ხასიათის გამო არ ხდება საერთო საკუთრება, მათი სუროგატები და მათგან მიღებული ნაყოფი საერთო საკუთრებად იქცევა (თუ, რა თქმა უნდა, ისინი, თავის მხრივ, გადაცემადი არიან).

მეუღლეთა შორის ჩუქება (*ehebedingte zuwendung*) (გამონაკლისის სახით, ასევე მეორე მეუღლის ნათესავის მიერ განხორციელებული ჩუქება(ც) ექვემდებარება სპეციალურ ქონებრივ რეჟიმს და არ წარმოადგენს სკ-ის 1161 ბ) მუხლის გაგებით ჩუქებას.²³ ამ გადაწყვეტის უკან დგას ის მოსაზრება, რომ ამ ტიპის ურთიერთობის ფარგლებში ქონებრივი სიკეთეების მინიჭება ემსახურება არა მეორე მხარის უსასყიდლოდ გამდიდრებას, არამედ იმ მიზანს, რომ ჩუქება ხელს შეუწყობს საოჯახო ერთობის მონყობას, შენარჩუნებასა და უზრუნველყოფას. ის ხორცილდება იმ განცდით და მოლოდინით, რომ ეს საოჯახო ერთობა იქნება მყარი, სულ მცირე გასტანს გარკვეული, მნი-

შენელოვანი პერიოდის განმავლობაში და თავად მჩუქებელ მეუღლესაც ექნება ამ ჩუქების საგნით სარგებლობის შესაძლებლობა. სწორედ ეს წარმოადგენს განაპირობებს ამ ჩუქების საფუძველს.

მეუღლეთა შორის ჩუქების მიზანი განპირობებულია ოჯახური ერთიანობის გამყარების სურვილით. თუ, ამის საწინააღმდეგოდ, რაიმე ქონებრივი სიკეთის გადაცემა ხდება მეორე მეუღლის უსასყიდლოდ დაჯილდოების მიზნით, დამოუკიდებლად ზემოთ ხსენებული კონტექსტისა, მაშინ სახეზეა ჩვეულებრივი ჩუქება.²⁴

მეუღლეთა შორის ჩუქება შემოსაზღვრულია მხოლოდ კონკრეტული საგნების გადაცემით, თუ ამის საპირისპიროდ ერთ-ერთ მეუღლე წლების განმავლობაში მეორე მეუღლის ფულით, ნივთობრივი და შრომითი შესრულებებით აგროვებს საოჯახო ქონების შესაძენ კაპიტალს, აქ სახეზე აღარ არის მეუღლეთა შორის ნაჩუქრობა.

როგორც აღინიშნა, მეუღლეთა შორის ჩუქება არ წარმოადგენს ნაჩუქრობას სკ-ის 521-ე მუხლის გაგებით, არამედ მიძღვნას ოჯახური ერთობის საფუძველზე, რომელიც ოჯახის ჩაშლის შემთხვევაში შეიძლება უკუიქცეს სკ-ის 398-ე მუხლის მიხედვით,²⁵ რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ოჯახური ერთიანობის გაგრძელება წარმოადგენს მის განმაპირობებელ საფუძველს ამ დანაწესის გაგებით. თუმცა 398-ე და მომდევნო მუხლებით უკუიქცევა გამორიცხულია, თუ გამცემ მეუღლეს შეუძლია გადაცემული ასევე საერთო ქონების გაყოფის ფარგლებში უკან მოითხოვოს სკ-ის 1164, 1168 I მუხლების მიხედვით, რის გამოც უკუიქცევის ეს მოდუსი მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც გადაცემული მეორე მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება ხდება, რომლის შემთხვევაშიც ხსენებული გაყოფის მოთხოვნა არ გამოიყენება.

²³ BGHZ 116, 167; BGH, NJW-RR 90, 386, 387.

²⁴ BGHZ 116, 167

²⁵ იხ. ამასთან დაკავშირებით, რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2015, 70-ე და მომდევნო გვერდი.

V. ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი

სკ-ის 1170-ე მუხლი შეიცავს მეუღლეთა ინდივიდუალური ვალების დაფარვის წესს. ამ დანაწესის პირველი ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში. ეს ფორმულირება საკმაოდ ბუნდოვანია და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ გადახდევინება ხდება მეუღლის წილიდან საერთო ქონებაში, რომელიც რეალურად არ არსებობს, გამომდინარე იქიდან, რომ მეუღლეთა საერთო ქონება წარმოადგენს თანაზიარ და არა წილობრივ თანასაკუთრებას, სადაც თითოეულ მეუღლეს გაყოფამდე (თუნდაც აბსტრაქტულად) გამოცალკევებადი ნახევარი წილიც კი არ ეკუთვნის, საიდანაც მოხდებოდა გადახდევინება. გარდა ამისა, ეს დანაწესი მისი პირდაპირი გაგებისას წინააღმდეგობაში მოდის მეორე ნაწილთან, სადაც საუბარია იმაზე, რომ პირდაპირი გადახდევინება შეიძლება მოხდეს მხოლოდ აღებული ვალის ოჯახის ინტერესებისათვის გამოყენების შემთხვევაში.

ამიტომაც სკ-ის 1170 I მუხლი უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ მეუღლის პირადი ვალისათვის გადახდევინება ხდება არა აბსტრაქტული წილიდან საერთო საკუთრებაში, არამედ მოთხოვნიდან საერთო საკუთრების გაყოფასთან (სკ-ის 1164-ე მუხლი) და კონკრეტული წილის მიღებასთან დაკავშირებით. ანუ კრედიტორს, თუ მოვალე მეუღლის პირადი ქონება ვალის დასაფარად საკმარისი არ არის, შეუძლია „მინვდეს“ სკ-ის 1164-ე მუხლიდან გამომდინარე გაყოფის მოთხოვნას, დააყადლოს ის იძულებითი აღსრულების ფარგლებში და შემდეგ მოითხოვოს ამ გაყოფილი წილიდან დაკმაყოფილება.

ვალის ოჯახის ინტერესებისთვის გამოყენების შემთხვევაში პასუხს აგებს საერთო ქონება (სკ-ის 1170 II მუხლი). დანაშაულით მოპოვებული ქონების შემთხვევაში პასუხს აგებს კონკრეტული საერთო საკუთრებაში მყოფი ნივთი

თუ ნივთები, რომელთა შეძენაც მოხდა დანაშაულის საფუძველზე.

მეუღლეები ყოველთვის აგებენ პასუხს თავთავიანთი პირადი ქონებით (ინდივიდუალური ნივთები, ქორწინებამდე არსებული ქონება, რომელიც არ გახდა საერთო საკუთრება) პირადი ვალებისათვის, გარდა ამისა, ასევე მეორე მეუღლის ვალდებულებისათვის, თუ საქმე ეხება სოლიდარულ ვალდებულებას.

ზემოთ განმარტებული პრინციპების მიხედვით პასუხისმგებლობა არ არის დისპოზიციური და არ შეიძლება შეიცვალოს საქორწინო შეთანხმებით. თუმცა კონკრეტული გარიგებების ფარგლებში მეუღლეებს შეუძლიათ შეზღუდონ მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა მხოლოდ საერთო ქონებიდან ან მხოლოდ ინდივიდუალური ქონებიდან პასუხისმგებლობით.²⁶

საერთო ქონებაზე იძულებითი აღსრულების მისაქცევად კრედიტორი საჭიროებს სააღსრულებო ფურცელს ორივე მეუღლის წინააღმდეგ. მაგრამ, ამის მიუხედავად, მას შეუძლია უჩივლოს მხოლოდ ერთ მეუღლეს საერთო ქონებიდან წარმომდგარი ვალდებულებისათვის და პასუხი აგებინოს მისი ინდივიდუალური ქონებით.²⁷

VI. საქორწინო ხელშეკრულება

სკ-ის 1172-1181-ე მუხლები აწესრიგებენ საქორწინო ხელშეკრულების მეშვეობით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეგლამინტირებას. საქორწინო ხელშეკრულების მეშვეობით მეუღლეებს ხელწინფებათ კანონიერი ქონებრივი რეჟიმისაგან (სკ-ის 1158-ე და მომდევნო მუხლები) განსხვავებული ქონებრივი რეჟიმის დადგენა.

საქორწინო ხელშეკრულების შემთხვევაშიც, ისევე, როგორც ყველა სხვა ხელშეკრულების დროს, მოქმედებს კერძო ავტონომიის პრინციპი, რომელიც იზღუდება ზოგადი წესების გარდა, ასევე სკ-ის 1172-ე და მომდევნო მუხლებში მოცემული რეგულაციით.

²⁶ Tiedtke FamRZ 1975, 538

²⁷ Tiedtke FamRZ 1975, 538.

საქორწინო ხელშეკრულების მოქმედების არეალი შეიძლება გადაიკვეთოს მეუღლეთა შორის დადებულ სხვა გარიგებებთან. საქორწინო ხელშეკრულებით ქონებრივი რეჟიმის მონესრიგება არ გამოორიცხავს მხარეებს შორის იმავე საგანთან დაკავშირებით სხვა გარიგებების დადებას. ამ ტიპის ხელშეკრულებების კონკურენცია საქორწინო ხელშეკრულების რეგლამენტაციასთან შემდეგ საკითხს წარმოშობს: უთანაბრდება თუ არა მათი რეგულაცია, ფუნქციურად და მხარეთა განზრახვის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულებას – ამ შემთხვევაში აუცილებელია სკ-ის 1174-ე მუხლში განერილი ფორმის დაცვა. თუ მეუღლეები ცხოვრობენ კანონისმიერ (სკ-ის 1158-ე და მომდევნო) ქონებრივ რეჟიმში, საერთო საკუთრებად ქცეული ქონების ცალკე გამოყოფა და ერთი მეუღლისათვის მიკუთვნება დასაშვებია მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულებით.²⁸

1. ქონებრივი რეჟიმის მონყობა საქორწინო ხელშეკრულებით

ქართველი კანონმდებელი მეუღლეებს ორ არჩევანს სთავაზობს: არ დადონ საქორწინო ხელშეკრულება და მაშინ მათ შორის წარმოიშობა საერთო ქონების კანონისმიერი რეჟიმი (სკ-ის 1158-ე და მომდევნო მუხლები), რომლის დროსაც ქორწინების განმავლობაში მოპოვებული (ცალკეული გამონაკლისების გარდა) იქცევა მეუღლეთა საერთო ქონებად, ან დადონ საქორწინო ხელშეკრულება და, სკ-ის 1176-ე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში, თავად შეიმუშაონ მათთვის ხელსაყრელი ქონებრივი რეჟიმი.

2. ხელშეკრულების დადება და მისი ნამდვილობა

საქორწინო ხელშეკრულების დადება და მისი ნამდვილობა წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის მიხედვით, თუმცა გასათვალისწინებელია სკ-ის 1174-ე მუხლში დაფიქსირებული ფორმა და შეზღუდული ქმედუ-

ნარიანის მიერ ამ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული სპეციალური რეგულაცია (1175); ამასთანავე, შინაარსობრივი მოთხოვნები – სკ-ის 1176, 1179-ე მუხლები. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება საცილო გახდეს ასევე ზოგადი წესების მიხედვით. მაგალითად, იძულების გამო, თუ ერთმა მომავალმა მეუღლემ თავის მოკვლის მუქარით აიძულა მეორე მხარე, დაედო ეს გარიგება.²⁹

არასრულწლოვანს საქორწინო ხელშეკრულების დადება შეუძლია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანი ვერ შევა ქორწინებაში და ეს წესი უგამონაკლისოდ მოქმედებს, კანონი მას მაინც ანიჭებს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით საქორწინო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას. ამგვარი ასინქრონულობა დიდი ალბათობით კანონმდებლის გამორჩენითაა განპირობებული, რომელსაც დაავიწყდა საოჯახო სამართლის რეფორმის ფარგლებში ამ დანაწესის ამოშლა ან გადაკეთება: ალოგიკურია, რომ სამართალი „არ ანდობდეს“ არასრულწლოვანსა და მის წარმომადგენელს ქორწინებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობასა და კომპეტენციას, თუმცა ამავდროულად ანიჭებდეს მათ საქორწინო ხელშეკრულების დადების უფლებას, რითიც შეიძლება მეტწილად განპირობებული იყოს მომავალი თანაცხოვრების განმავლობაში პიროვნული და ქონებრივი უფლებები.

მაგალითად, გერმანიაში იმავე სარეფორმო პაკეტის ფარგლებში („ბავშვთა დაცვა ნაადრევი ქორწინებისაგან“) უკვალოდ ამოიშალა ასევე არასრულწლოვნის მიერ კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით საქორწინო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა.³⁰

სკ-ის 1173 I მუხლის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე ასევე მის შემდეგ. ხელშეკრულება მთავრდება ქორწინების გაუქმებასთან ერთად ან მისი გამაუქმებელი ხელშეკრულების დადებით. ამ გამაუქმებელი ხელშეკრულების დადება მეუღლეებს შეუძლი-

²⁸ BGHZ 65, 79.

²⁹ BGH NJW-RR 1996, 1282.

³⁰ შდრ. გსკ-ის 1411-ე პარაგრაფი.

ათ დროის ნებისმიერ მომენტში (სკ-ის 1180-ე მუხლი). გარდა ამისა, საქორწინო ხელშეკრულების დადება შეუძლიათ მხოლოდ მეუღლეებს ან დანიშნულებს, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის მხოლოდ დაქორწინების შემდეგ იძენს ძალას (სკ-ის 1173 II მუხლი).

ქორწინებამდე დადებული ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ დაქორწინების შემდეგ და უქმდება მისი ჩაშლის შემთხვევაში, ამასთან ჩაშლა სახეზეა, თუ მომავალმა მეუღლეებმა გაურკვეველი ვადით გადადეს ქორწინება, სხვა პირზე იქორწინეს და ა. შ., მაშინაც კი, როდესაც ეს ქორწინება საბოლოოდ მაინც შედგა, თუმცა მეუღლეების საერთო ნებიდან აღარ იკითხება კავშირი მანამდე დადებულ საქორწინო ხელშეკრულებასა და საბოლოოდ მაინც შემდგარ ქორწინებას შორის.

საქორწინო ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია, რომ პირები, სულ მცირე, დანიშნული მაინც იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებს სკ-ის 56 I მუხლი, დამოუკიდებლად შემდგომში ამ პირებს შორის ქორწინების შედგომა-არშედეგობისა.³¹

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობით და დადასტურდეს სანოტარო წესით. სკ-ის 1174-ე მუხლში განერილი ამ ფორმასავალდებულოებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მხარეთა გაფრთხილება (დაცვა ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისაგან), სიცხადე, მტკიცების გამარტივება და ნოტარიუსის მიერ მხარეთათვის რჩევა-დარიგების მიცემა. ფორმასავალდებულოება ვრცელდება ასევე წინარე საქორწინო ხელშეკრულებაზე³² და გაუქმების ხელშეკრულებაზე³³. ფორმის დაცვისათვის აუცილებელი ნოტარიული დადასტურება უნდა მოხდეს ორივე მხარის ერთდროული თანამყოფობის პირობებში. მხოლოდ ერთი მხარის მიერ წერილობით შედგენილი დოკუმენტის ნოტარიუსთან წაღება და დადასტურება საკმარისი არ არის. თუმცა დასაშვებია გარიგების დადასტურების პროცესში წარმომადგენლობა. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება არ არის ფორმა-

სავალდებულო (სკ-ის 107 II მუხლი). ფორმის ნაკლი იწვევს საქორწინო ხელშეკრულების ბათილობას 59 I, ვარ. 1 მუხლის მიხედვით.

3. მოქმედება მესამე პირთა მიმართ

ქორწინება და ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმი განაპირობებენ ასევე მესამე პირებთან ხელშეკრულების დადების უფლებამოსილებას (სკ-ის 1160 II მუხლი). თუ მეუღლეები ათანხმებენ ცვლილებას ამ ქონებრივ რეჟიმში ან უკუაქცევენ მათ მიერ შეთანხმებულ კანონისმიერი პარადიგმიდან გადახვევას, გათვალისწინებული უნდა იქნეს მესამე პირთა ინტერესები – ჰქონდეთ ზუსტი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ რისი უფლებები აქვს და რისი უფლებები არ აქვს მეუღლეს, რომელთანაც ის შედის ურთიერთობაში. სამწუხაროდ, ქართული სამართალი გერმანულისაგან განსხვავებით არ ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების გასაჯაროების შესაძლებლობას, მისი რეგისტრაციის გზით. ამ მოცემულობაში კი, პუბლიკაციის მომენტის გარეშე, მეუღლეთა შორის შეთანხმებას ვერ ექნება ძალა მესამე პირთა წინაშე და ამ პირთა მიმართ ისევ კანონისმიერი პარადიგმა უნდა დარჩეს ძალაში (მაგალითად, სკ-ის 1160 II მუხლი).

VII. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი

სკ-ის 1176-ე მუხლი აწესრიგებს ქორწინების ხელშეკრულებით მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმის კერძო ავტონომიის პრინციპის საფუძველზე რეგლამენტაციას. მასში განერილია, თუ რა შინაარსის უნდა იყოს საქორწინო ხელშეკრულება.

1. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი: ქონებრივი რეჟიმები

1176-ე მუხლის მიხედვით, ცალსახად დასაშვებია 1158-ე და მომდევნო მუხლებში მოცემული „საერთო ქონებრივი რეჟიმისაგან“ გადახვევა, როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით – მთლიანი ქონების (არა მხოლოდ ქორწინ-

³¹ BayObLGZ 1957, 51.

³² BGH FamRZ 1966, 492.

³³ OLG Frankfurt a. M. FamRZ 2001, 1524.

ნების განმავლობაში შექცენილის) გაერთიანებულ ქონებად ქცევა (სკ-ის 1176 III, ვარ. 1 მუხლი) ან, პირიქით, სრული ქონებრივი სეპარაციის რეჟიმის შერჩევა (სკ-ის 1176 III, ვარ. 2 მუხლი). ასევე დასაშვებია ამ ორი მოცემულობის კომბინირება: ცალკეული ტიპის საგნების გაერთიანებულ ქონებად ქცევა და დანარჩენის ისევე მეულღეთა ინდივიდუალურ საკუთრებაში დატოვება. ხელშეკრულებაში დასაშვებია ასევე საოჯახო ხარჯების განევის წესის რეგლამენტაციაც (სკ-ის 1177-ე მუხლი).

საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს მთლიანი ქონებრივი რეჟიმის გარდა ასევე კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმის ფარგლებში საერთო ქონების მართვის განსხვავებული წესი (სკ-ის 1176 II მუხლი).

რაც იკრძალება, არის ე. წ. „ფანტაზიის ნაყოფი-ქონებრივი რეჟიმები“³⁴, რომელიც წარმოადგენს არა კანონით აღიარებული ქონებრივი რეჟიმების კომბინაციას, არამედ სრულებით სხვა, მეულღეთა მიერ მოფიქრებულ ქონებრივ წესრიგს (მაგალითად, მთლიანი ქონება პირველი ხუთი წლის განმავლობაში ერთი მეუღლის საკუთრება ხოლო მომდევნო ათი წლის განმავლობაში – მეორე მეუღლის). ამ ტიპის ქონებრივი რეჟიმის მოუხელთებლობისა და მათი მომწესრიგებელი კანონისმიერი პარადიგმის არარსებობიდან გამომდინარე, ამასთან, ქონებრივი რეგლამენტაციის სიცხადის აუცილებლობის გათვალისწინებით, ამგვარი ფანტასმაგორული რეჟიმის შეთანხმება დაუშვებელია. კერძო ავტონომიის ამგვარი შეზღუდვიდან გამომდინარე საუბრობენ საქორწინო ხელშეკრულებით ქონებრივი რეჟიმის რეგულირების „ტიპოლოგიურ განერილობაზე“.³⁵

2. კერძო ავტონომიის ზღვარი საქორწინო ხელშეკრულებისას

საქორწინო ხელშეკრულების შემთხვევაში კერძო ავტონომია, პირველ რიგში, ზღვარდადებულია ქონებრივი კუთვნილების შემცვლელი შეთანხმების მოქმედების ნაწილში, რადგან

ეს მოქმედება სამოქალაქო ბრუნვის ინტერსებიდან გამომდინარე უნდა დაექვემდებაროს სანივთოსამართლებრივი მონყობის ჩარჩოებს. კერძო ავტონომია არ ვრცელდება ქონებრივი რეჟიმის იმ ტიპის რეგლამენტაციებზე, რომლებიც იმპერატიულად იცავენ ერთ-ერთ მეულღეთაგანს ან მესამე პირებს: საერთო ქონების პასუხისმგებლობა ვალეებისათვის არ შეიძლება შეიზღუდოს კრედიტორის მიმართ ეფექტით.

მეულღეებს შეუძლიათ თავისუფლად შეცვალონ კანონისმიერი დანაწესები, ქონების საერთო საკუთრებად გადაქცევის, ამ საერთო ქონების გაყოფის, ქორწინების შემდგომი სარჩოს გადახდის წესთან დაკავშირებით. შეუძლიათ მთლინად შეცვალონ გაყრის შემდგომი მავალდებულებელი მოთხოვნების პროგრამა.³⁶

3. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსის კონტროლი 1179 I, II მუხლის საფუძველზე

1179-ე მუხლი იმპერატიულად აწესებს იმას, თუ რისი შეცვლა არ შეიძლება საქორწინო ხელშეკრულებით. ეს არის: 1. მეულღეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა; 2. მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ; 3. საალიმენტო მოვალეობანი და – დავის შემთხვევაში – სასამართლოში მიმართვის უფლება (სკ-ის 1179 I მუხლი)

სკ-ის 1179 II მუხლი ითვალისწინებს ასევე ღია დათქმას, რომელიც სამართლის შემფარდებელს საშუალებას აძლევს, პირველი ნაწილით გაუთვალისწინებელ შემთხვევებშიც კი არანამდვილად გამოაცხადოს საქორწინო ხელშეკრულება, თუ მიიჩნევს, რომ მისი პირობები მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეულღეს.

განქორწინების შემდგომ წარმოშობილი მოთხოვნების არაიმპერატიულობამ არ უნდა გამოიწვიოს ამ განქორწინების სამართლებრივი შედეგების დაცვის მიზნის ჩაშლა. სკ-ის 1179 I, II მუხლის მიხედვით, კერძო ავტონომიის ზღვარს ამ შემთხვევაში წარმოადგენს სამართლებრივი შედეგების იმგვარი მონყობა, რომელიც

³⁴ *Kanzleiter*, in Münchener Kommentar BGB, 6. Auflage 2013, § 1408 Rn. 13.
³⁵ OLG Schleswig NJW-RR 1996, 134.

³⁶ BGH NJW 2004, 933; BGH NJW 2013, 457; FamRZ 2017, 887.

მხოლოდ ცალმხრივად ანაწილებს ვალდებულებათა ტვირთს და ვერ იქნება გამართლებული ოჯახური ურთიერთობის თავისებურებით. ის წარმოადგენს დავალდებულებული მეუღლისათვის ტვირთს, რომლის ზიდვა მას არ შეიძლება მოეთხოვოს. გადამწყვეტი დროითი მომენტი არის საქორწინო ხელშეკრულების დადების მომენტი.

ამგვარი ცალმხრივად დატვირთვის დასაადგენად აუცილებელია ინდივიდუალური შემთხვევის მთლიანობაში შეფასება; განსაკუთრებით, შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის, დაგეგმილი თუ უკვე განხორციელებული ცხოვრების დონისა და ამ შეთანხმების გავლენისა მეუღლესა თუ შვილებზე. სუბიექტური თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ხელშეკრულებით დასახული მიზანი და სხვა მამოძრავებელი მოტივები.

ა) „დაცული ბირთვული სფეროს“ შესახებ მოძღვრება

განქორწინებისას მეუღლისათვის მინიჭებულ პოზიციებზე უარი საქორწინო ხელშეკრულებაში უნდა შეფასდეს განქორწინების სამართლებრივი თანმდევი შედეგების კანონისმიერი სისტემატიკის ფარგლებში. ამგვარ შეფასებაში ყველაზე მეტს იწონის სარჩოს გადახდის მოთხოვნა ბავშვზე მზრუნველი მეუღლისათვის ან ქონების გაყოფის იმგვარი წესის შეთანხმება, რომლის შედეგებიც არასრულწლოვან შვილებზეც აისახება (სკ-ის 1179 I, ვარ 1, 2 მუხლი): გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვის ინტერესებს ეხება საქმე, კანონისმიერი რეგულაციები ამ ნაწილში ყველაზე ნაკლებ დისპოზიციურია (სკ-ის 1168-ე მუხლი) თუმცა მოდიფიკაციები სარჩოს სიდიდესა და ხანგრძლივობასთან (ასევე მთლიანი გამორიცხვა) არ არის სრულებით შეუძლებელი, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლეებს არ აქვთ ბავშვის ყოლის სურვილი.

გარდა ამისა, განქორწინების სამართლებრივი შედეგების ამ „ბირთვულ სფეროს“ განეკუთვნება სარჩოს გადახდის მოთხოვნა ასაკისა და დაავადებიდან გამომდინარე: ის ასევე მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება მხარეთა დი-

სპოზიციას. თუმცა, აქაც, მათზე უარის თქმა არ არის სრულებით გამორიცხული, თუ ქორწინება უკვე ხანშიშესულ ასაკში შედგა ან უფლებამეკვეცილ მეუღლეს თავადაც შესწევს უნარი ირჩინოს თავი ცხოვრების ბოლომდე.

შემდგომ საფეხურებზე მოთავსებული სამართლებრივი პოზიციები ყველა მეტად ექვემდებარება დისპოზიციას. მათი გადახდის წესის შეცვლა თითქმის თავისუფლად არის შესაძლებელი საქორწინო ხელშეკრულებით. ამის მაგალითია: სარჩო შემოსავლის არქონის გამო (სკ-ის 1183-ე მუხლი). სკ-ის 1183-ე მუხლი წარმოადგენს დისპოზიციურ დანაწესს, თუ საქორწინო ხელშეკრულების დადების მომენტში მეორე მეუღლის მატერიალური სიდუხჭირე არ იყო სავარაუდო.

„ბირთვულ სფეროს“ არ განეკუთვნება ქორწინების განმავლობაში შექმნილი საერთო ქონების გაყოფასთან დაკავშირებული წესები და ამ გაგებით ყველაზე მეტად ექვემდებარება სახელშეკრულებო დისპოზიციას.

სკ-ის 1179 I მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა ჩვეულებრივ სახეზეა, როდესაც რეგულაცია ბირთვული სფეროდან მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხულია მეუღლისათვის საკომპენსაციოდ დამატებითი სარგებლის (მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადება, საიდანაც მეუღლეს აქვს მოთხოვნის უფლება, მეუღლის საპენსიო ფონდში შენატანების განხორციელება და ა. შ.) მინიჭების გარეშე ან ზოგადად რაიმე გამართლების გარეშე.

ბ) დამატებითი გარემოებები

სკ-ის 1179 II მუხლით მოწესრიგებული შემადგენლობის დაშვებისათვის მხოლოდ ხელშეკრულების ობიექტური შინაარსი საკმარისი არ არის. აუცილებელია დამატებითი გარემოებების არსებობა. ეს შეიძლება ემყარებოდეს დარღვეულ პარიტეტს ქორწინების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისას, როდესაც ერთი მეუღლეა დომინანტი, მაგალითად, მეორე მეუღლის მძიმე მდგომარეობის გამოყენება, მისი სოციალური ან ეკონომიკური

დამოკიდებულება მეორე მეუღლეზე, ინტელექტუალური უპირატესობა.

მძიმე მდგომარეობის გამოყენება განსაკუთრებით ხშირია განქორწინების სამართლებრივი შედეგების მომწესრიგებელი საქორწინო ხელშეკრულებების შემთხვევაში, ქორწინებამდე ან მეუღლის ორსულობის მომენტიდან. თუმცა ორსულობა არის მხოლოდ ერთი მითითება მეუღლის დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე და ხელშეკრულებაში მეორე მეუღლის ინტერესების ცალმხრივად გათვალისწინებისათვის ფართო ასპარეზზე. ქონებრივად არაპარიტეტული მდგომარეობის კომპენსაციას შეიძლება წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ მეორე მეუღლე ფლობს პროფესიულ კვალიფიკაციას და ქორწინების განმავლობაში მას ექნება საკუთარი შემოსავალი, რომელიც მხოლოდ მას რჩება. მძიმე მდგომარეობა სახეზეა ასევე მაშინაც, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს მისი წარმომავლობის გამო ემუქრება უცხოეთში ექსტრადიცია ან სხვა რაიმე მსგავსი საფრთხის შემცველი ღონისძიება. იგივე შეიძლება ითქვას ხელშეკრულების მხოლოდ ქორწინების დღეს გამორჩენისა და მასზე ხელის არმონერის შემთხვევაში ქორწინების ჩაშლის მუქარის შემთხვევაში.

სკ-ის 1179 II მუხლის შემთხვევის არსებობა შეიძლება განპირობებული იყოს ასევე მესამე პირთა ინტერესების ხელყოფაში. მაგალითად, რჩენაზე უარის თქმა, თუ ეს ტვირთად დაანვება სახელმწიფოს (სოციალური დახმარება). ასევე ბავშვის ინტერესების ხელყოფა მეუღლის რჩენაზე უარის თქმით. ამორალურია, ასევე, მატერიალური საჭიროების მქონე მეუღლის, რომელიც უცხოელია და მხოლოდ ქორწინების წყალობით მიიღო საქართველოში ბინადრობის უფლება, დახმარების გარეშე დატოვება.

ამის საპირისპიროდ, ამორალურობა არ არის სახეზე, თუ მეუღლეები უარს ამბობენ ქორწინებაში შექმნილის საერთო ქონებად ქცევაზე და შემდგომში მის გაყოფაზე, თუ ნათელია, რომ ერთ-ერთი მეუღლე რეალურად ბევრს ვერაფერს შემატებს ამ საერთო ქონებას.

საქორწინო ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი შედეგია იმ პარადიგმის აღდგე-

ნა, რომელიც მეუღლეთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებს ყველაზე მეტად შეესატყვისება.³⁷

საქორწინო ხელშეკრულებაზე დასაშვებია გარიგების საფუძვლის მოშლის ინსტიტუტის გამოყენება (სკ-ის 398-ე მუხლი).

გ) ცალკეული პირობის ბათილობა, სკ-ის 62-ე მუხლი

აქცევს თუ არა რომელიმე კონკრეტული პირობის ბათილობა მთლიან ხელშეკრულებას ბათილად, უნდა გადაწყდეს სკ-ის 62-ე მუხლის საფუძველზე. მთლიანი ხელშეკრულება ბათილი, თუ საქორწინო ხელშეკრულების ერთიანობაში შეფასებისას ის ცალსახად არახელსაყრელია ერთ-ერთი მხარისათვის და ეს შინაარსი ვერ იქნება გამართლებული მეორე მხარის ინტერესებით. მაგალითად, მთლიანად ბათილია ისეთი საქორწინო ხელშეკრულება, რომელშიც მეუღლე უარს ამბობს თავის ყველა მოთხოვნაზე მეორე მეუღლის მიმართ.³⁸

საქორწინო და მემკვიდრეობითი ხელშეკრულებების ერთმანეთთან გადაბმისას სკ-ის 62-ე მუხლი არ მოქმედებს.³⁹

დ) უფლების განხორციელების კონტროლი, სკ-ის 8 III მუხლი

მაშინაც კი, როცა საქორწინო ხელშეკრულების რაიმე პირობა ნამდვილია, მასზე მითითება შეიძლება წარმოადგენდეს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის ხელყოფას (სკ-ის 8 III მუხლი). მაგალითად, როდესაც განქორწინების სამართლებრივი შედეგების გამორიცხვა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ ერთი მხარის ინტერესების ხელმყოფ სურათს გვაძლევს.⁴⁰ ამ შეფასებისათვის გადამწყვეტი მომენტი არის ოჯახის ჩაშლის მომენტი.⁴¹ გადამწყვეტია ის გარემოება, რომ თავდაპირველად მეუღლეთა მიერ ერთსულოვნად დაგეგმი-

³⁷ BGH NJW 2013, 383; NJW 2015, 54.
³⁸ BGH FamRZ 2017, 884.
³⁹ BGHZ 29, 131.
⁴⁰ BGH NJW 2015, 53.
⁴¹ BGH NJW 2005, 139; BGH NJW 2005, 2390.

ლი ტვირთის განაწილება რეალურად აცდენილია იმას, რაც ამ მომენტში სახეზეა.⁴² მაგალითად, რჩენის მოთხოვნა ხელშეკრულებაში გამორიცხული იყო, რადგან მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მეორე მეუღლეს უნდა ყოფილიყო შემოსავლის მომტანი

საქმიანობით დაკავებული, თუმცა ქორწინების მიმდინარეობისას მან ამაზე უარი თქვა და ბავშვების აღზრდით დაკავდა.⁴³ გარდა ამისა, ეს ცვლილება სახეზეა ერთ-ერთი მეუღლის მძიმე დაავადებისას.⁴⁴

⁴² BGH NJW 2005, 139.

⁴³ BGH NJW 2013, 461.

⁴⁴ BGH NJW 2008, 1080.

კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების პერსპექტივები საქართველოში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაგალითზე

გივი ადამია

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

განვითარებული ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის კანონმდებლობის არსებობის საწყის ეტაპზე, მისი აღსრულება, ჩვეულებრივ შემთხვევაში, საჯაროსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით ხდება. კონკურენციის კანონმდებლობასთან ერთად იქმნება შესაბამისი აღმასრულებელი უწყება, რომელიც უფლებამოსილია სხვადასხვა სახის საჯაროსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით აღასრულოს აღნიშნული კანონმდებლობა. თუმცა, დროთა განმავლობაში, კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სამართალდარღვევის დადგენის შემდეგ, დღის წესრიგში მსგავსი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების საკითხიც დგება.

ამასთან, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სახის სპეციალურ და დეტალურ ნორმათა ერთობლიობას კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის რეალიზებისათვის აუცილებელ პროცედურულ წესებთან დაკავშირებით. ამ კუთხით „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში - „კანონი“) შეიცავს მხოლოდ ერთადერთ ზოგადი შინაარსის ნორმას, რომელიც გარანტირებულს ხდის პირის უფლებას, კანონის დარღვევის შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო პირდაპირ სასამართლოს და მოითხოვოს შესაბამისი ზიანის ანაზღაურება. კერძოდ, კანონის 33²-ე მუხლი აღიარებს ეკონომიკური

აგენტის ან სხვა დაინტერესებული პირის უფლებას, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინებაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომლის ამკრძალავ ნორმას კანონის მე-6 მუხლი წარმოადგენს. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად შესაძლებელია, ერთი მხრივ, ზიანი მიადგეს საკუთრივ ამ დომინანტი ეკონომიკური აგენტის კონკურენტ სუბიექტს ან მეორე მხრივ, იგი შესაძლოა არსებითი ზიანის მომტანი იყოს საბოლოო მომხმარებლისთვის. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს დამდგარი ზიანის სრულფასოვანი ანაზღაურება, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ის სამართლებრივი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც იქნება შესაძლებელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულმა სუბიექტმა სამართალდამრღვევისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.

კონკურენციის კანონმდებლობიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურება სხვადასხვა დასავლურ მართლწესრიგში კონკურენციის კანონმდებლობის კერძო აღსრულების მექანიზმად მიიჩნევა, რომელმაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში - „ევროპული სასამართლო“) პრაქტიკა მოიცავს არაერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასა და

განმარტებას, რომელიც არსებითი მნიშვნელობის მატარებელია ამ კუთხით დარგის განვითარებისა და შესაბამისი თეორიული საფუძვლის შექმნისათვის.

I. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მნიშვნელობა კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში

როგორც წესი, ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის კანონმდებლობის ამკრძალავი ნორმების დარღვევა საჯაროსამართლებრივი სანქციების დაკისრებას იწვევს. თუმცა, იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელიც ახორციელებს კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედებებს, არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ სახის სანქციით. კონკურენციის კანონმდებლობის დამრღვევ პირს დაზარალებული პირის სამოქალაქოსამართლებრივი მოთხოვნის შედეგად ასევე შესაძლოა დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ქმნის დამატებითი ზენოლის მექანიზმს იმ ეკონომიკური აგენტებისთვის, რომლებიც კონკურენციის შემზღუდველი სხვადასხვა სახის ქმედებების საშუალებით საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის ზრდას ისახავენ მიზნად. აქედან გამომდინარე, დაზარალებული სუბიექტების სამოქალაქოსამართლებრივი მოთხოვნები კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების მექანიზმად („*private enforcement of competition law*“) მიიჩნევა, რომელიც დასავლურ განვითარებულ სახელმწიფოებში სულ უფრო მეტად იმკვიდრებს ადგილს.

სხვადასხვა მართლწესრიგში აქტიურად მიმდინარეობს კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა ან უკვე არსებული მოდელების ინტენსიური დახვეწა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეკონომიკური აგენტების მხრიდან კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა მნიშვნელოვანი და მასშტაბური ზიანის მომტანია, როგორც მომხმარებლების, ასევე კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისათვის,

ადვილად სავარაუდოა, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევების რაოდენობა ქართულ რეალობაშიც ეტაპობრივად გაიზრდება.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თანმდევ დელიქტურ პასუხისმგებლობას შესაძლოა ჰქონდეს არა მარტო დაზარალებულის დარღვეული უფლებების აღდგენის ფუნქცია, არამედ მან შესაძლოა ასევე დამატებითი მექანიზმის როლი შეასრულოს კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების პროცესში. ამ კუთხით, ეკონომიკური აგენტების მხრიდან მსგავსი პასუხისმგებლობის მოლოდინი ქმნის კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დამატებით შემაკავებელ და პრევენციულ ეფექტს. ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის გამო სამართალდამრღვევის მიმართ კერძო ინდივიდების მიერ დანყებული სასამართლო დავები აძლიერებს კონკურენციის ნორმების ფუნქციონირებას და ეკონომიკურ აგენტებში ამცირებს კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების განხორციელების სურვილსა და მოტივაციას.¹ აქედან გამომდინარე, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის საფუძველზე წარმოშობილ დელიქტურ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შენარჩუნების პროცესში.

კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულებას დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ 1623 წელს, ინგლისში მიღებული მონოპოლიების შესახებ აქტი ითვალისწინებდა სპეციალურ ნორმებს ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ აქტის მიხედვით, ნებისმიერ პირს ჰქონდა უფლება ედავა სასამართლოში იმ საფუძვლით, რომ კონკურენციის საწინააღმდეგოდ ვაჭრობის შეზღუდვის შედეგად მას ადგებოდა ზიანი.² მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული კონკუ-

¹ ECLI:EU:C:2001:465 “*Courage and Crehan*” Case C-453/99 §§ 26-27.

² *Roach/Trebikock*, Private enforcement of competition laws, 464.

რენციის მარეგულირებელი შერმანის აქტიცი ითვალისწინებდა კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სასამართლოს ერთ-ერთ ადრეულ გადაწყვეტილებაში მოცემული განმარტების მიხედვით კი, კონკურენციის სამართლის მიზნების მიღწევის ყველაზე ეფექტიან საშუალებას ინდივიდის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით დაწყებული სასამართლო დავა წარმოადგენს, რომელიც კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედებების შესაკავებლად ყველაზე ეფექტიან მექანიზმს ქმნის.³

ანგლოამერიკული სამართლისაგან განსხვავებით, კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულებას შედარებით უმნიშვნელო როლი ჰქონდა ევროპის კავშირის რეალობაში.⁴ აღნიშნული შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო პროცედურული წესებით, რომლებიც ამ მოთხოვნის რეალიზებისათვის დამატებით ბარიერებს ქმნიდა. ევროპის კავშირის მასშტაბით, კონკურენციის სამართლის აღსრულება უმეტესწილად ხორციელდება საჯაროსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით. თუმცა, ბოლო პერიოდში კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულება კონტინენტურ ევროპაშიც აქტუალური გახდა.

ევროპის კავშირში კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების რეალური მექანიზმების ჩამოყალიბების საწყის ეტაპად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ევროპული სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება გარანტირებული უნდა იყოს ნებისმიერი ინდივიდისთვის.⁵ 2006 წელს მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, კი კომპენსაციის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელსაც ზიანი ადგება კონკურენციის შეზღუდვების ამკრძალავი ნორმების

საწინააღმდეგო ქმედებების შედეგად.⁶ უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ ევროპის კავშირმა მიიღო სპეციალური დირექტივა,⁷ რომლის უმთავრესი მიზანი კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების ხელშეწყობასა და განვითარებაში მდგომარეობს.⁸

კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების ეფექტიანობისა და მასშტაბურობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს კონკრეტულ მართლწესრიგში კონკურენციის კანონმდებლობის არსებობის ხანგრძლივობა და დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება წარმოადგენს. საქართველოში კონკურენციის კანონმდებლობა ახლად ჩამოყალიბებული დარგია და აქედან გამომდინარე, მოულოდნელობას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კონკურენციის სამართლის აღსრულების კომპეტენცია, ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, მხოლოდ შესაბამისი აღმასრულებელი უწყების ხელშია თავმოყრილი, რომელიც ამ მიზნით კონკრეტული საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი. ამაზე ასევე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ დადგენილ დარღვევებს პრაქტიკულად არ მოჰყოლია სასამართლო დავები შესაბამისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ამდენად, კონტინენტურ ევროპული და ანგლოამერიკული გამოცდილებისგან განსხვავებით, საქართველოში კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების მექანიზმები პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი.

თუმცა, მიუხედავად ამისა, აუცილებელია კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულება ქართულ რეალობაშიც მიჩნეულ იქნეს აღსრულების საჯაროსამართლებრივი მექანიზმების დამატებით და შემავსებელ ეფექტიან საშუალებად. კერძო აღსრულების მექანიზმები არ უნდა იყოს იზოლირებული და უნდა გახდეს ქა-

³ *Perma life Mufflers Inc v international parts corp*, (1968) 392 US 134, 139.

⁴ *Damien*, Collective Redress for Antitrust Damages 1079.

⁵ ECLI:EU:C:2001:465 "*Courage and Crehan*" Case C-453/99 § 26.

⁶ ECLI:EU:C:2006:461 "*Manfredi*" Joined cases C-295/04 to C-298/04 § 61.

⁷ Directive 2004/104/EU of the European Parliament and of the Council of 26 November 2004 on certain rules governing actions for damages under national law for infringements of the competition law provisions of the Member States and of the European Union.

⁸ *Damien*, Collective Redress for Antitrust Damages 1082.

რთული კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის აღსრულების განუყოფელი ნაწილი.

კერძო აღსრულებაზე აქცენტის გაკეთებამ შესაძლოა წარმოშვას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ გზით შემცირდება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს როლი კონკურენციის სამართლის აღსრულების პროცესში. თუმცა, ეს მოსაზრება ვერ იქნება გამართლებული იმდენად, რამდენადაც აღსრულების კერძო და საჯაროსამართლებრივ მექანიზმებს სხვადასხვა ფუნქცია და დატვირთვა გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის სამართლის აღსრულების პროცესში შესაძლებელია ორივე მექანიზმის ერთდროულად გამოყენება,⁹ ამკარაა, რომ მათი ძირითადი მიზნები განსხვავებულია. ამასთან, სამართალდარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას ვერ ექნება კონკურენტული გარემოს შენარჩუნებისა და განვითარებისათვის იგივე ეფექტი, რაც გააჩნია ტრადიციულ, საჯაროსამართლებრივ მექანიზმებს.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობის უმთავრესი მიზანია დარღვეული უფლების აღდგენა. კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია კი წარმოადგენს მის მხოლოდ დამატებით ეფექტს, რომელიც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შენარჩუნებისა და განვითარების პროცესში. ამის საწინააღმდეგოდ, აღსრულების საჯაროსამართლებრივი მექანიზმების უმთავრესი მიზანია მხოლოდ ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კონკურენციის შემზღვეველი ქმედებების შედეგად დაზარალებულ კერძო სუბიექტებს, ქმედებასთან პირდაპირი და უშუალო შემხებლობის გამო, გააჩნიათ უფრო დიდი მოტივაცია მიაღწიონ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას,¹⁰ რაც, პარალელურად

კონკურენციის სამართლის უფრო ეფექტიანად აღსრულებასაც ემსახურება.

II. სსკ-ის 992-ე მუხლი, როგორც კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი

როდესაც საქმე კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ეხება, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ამ მოთხოვნის რეალიზების ორი ალტერნატიული გზა. დაზარალებულ პირს შესაძლებლობა აქვს ან კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყების მიერ სამართალდარღვევის დადგენის შემდეგ, ან მისგან დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს. ამ კუთხით ერთმანეთისაგან განასხვავებენ ზიანის ანაზღაურების თანმდევი ("follow-on") და განკერძოებულ ("stand-alone") მოთხოვნებს.

კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისგან მომდინარე ზიანის ანაზღაურების თანმდევი მოთხოვნის შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დაზარალებული პირი სასამართლოში აღძრავს სარჩელს კანონდამრღვევის მიმართ, მას შემდეგ, რაც კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყება დაადგენს შესაბამის დარღვევას. ხოლო, განკერძოებული მოთხოვნის შემთხვევაში, დაზარალებული პირი კომპეტენტური უწყების კონკრეტული დასკვნის გარეშე პირდაპირ მიმართავს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით. ზიანის ანაზღაურების ეს უკანასკნელი შემთხვევა („განკერძოებული მოთხოვნა“) შედარებით უფრო კომპლექსური ხასიათით გამოირჩევა იმდენად, რამდენადაც ასეთ დროს დაზარალებულ პირს სასამართლოში დამოუკიდებლად უწევს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის არსებობის მტკიცება. აღნიშნულისგან განსხვავებით, თანმდევი მოთხოვნის შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა შესაბამისი უწყების მიერ უკვე დადგენილია და დაზარალებული პირი ატარებს მხოლოდ ზიანის არსებობისა და ქმე-

⁹ Moodaliyar/Reardon/Theurerkauf, The relationship between public and private enforcement, 154.

¹⁰ Roach/Trebikock, Private enforcement of competition laws, 480.

დებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის მტკიცების ტვირთს. ამდენად, დამდგარი ზიანის კომპენსირების ალბათობა ზიანის ანაზღაურების თანმდები მოთხოვნის შემთხვევისგან განსხვავებით, განკერძოებული მოთხოვნის შემთხვევაში შედარებით დაბალია. ფაქტობრივად შეუძლებელია კონკრეტულმა ინდივიდმა დამოუკიდებლად ამტკიცოს ისეთი ფაქტი, რომელიც შესაბამისი საჯაროსამართლებრივი მექანიზმებით აღჭურვილი სახელმწიფო უწყების მიერ გრძელვადიან მოკვლევასა და მთელი რიგი პროცედურების დაცვით კონკრეტული მტკიცებულებების მოპოვებას საჭიროებს. აღნიშნულის რესურსი კი დაზარალებულ პირს, როგორც წესი, არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ კონკურენციის სამართლის ამკრძალავი ნორმის დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებისა და კონკურენციის კანონმდებლობის კერძო აღსრულების ყველაზე ეფექტიან და რეალურ მექანიზმს თანმდები მოთხოვნის საფუძველზე სასამართლო დავის წარმოება წარმოადგენს.

მოთხოვნის რეალიზაციის ამ ორი საშუალების არსებობას აღიარებს ქართული კონკურენციის კანონმდებლობაც. კერძოდ, კანონის 32¹ მუხლში აღნიშნულია, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება პირდაპირ სასამართლოში მიმართვის გზით მოითხოვოს კონკურენციის კანონმდებლობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, კანონმდებელმა კანონის დასახელებული ნორმით კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების განკერძოებული მოთხოვნის შესაძლებლობის გარანტირება მოახდინა.

თუმცა, კანონის 32¹-ე მუხლი არ უნდა იქნეს მიჩნეული კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად. აღნიშნული ნორმა შედარებით უფრო პროცესუალური ხასიათის ნორმაა, ვიდრე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, როგორც მატერიალური უფლების დამდგენი ნორმა. დასახელებული ნორმის ტელეოლოგიური საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ იგი გარანტირებულს ხდის პირის უფლებას, კონკურენ-

ციის სამართლის აღმასრულებელი უწყების გვერდის ავლით, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

შესაბამისად, საკუთრივ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, გადის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მოქმედების სივრციდან და იგი სამოქალაქო სამართალში ინაცვლებს, სადაც დელიქტური პასუხისმგებლობისა და შესაბამისად, განსახილველი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სსკ-ის 992-ე მუხლი ქმნის.¹¹

III. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება სსკ-ის 992-ე მუხლის გაგებით

1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს უზენაესი სასამართლო სსკ-ის 992-ე მუხლს აკვალიფიცირებს გენერალურ დელიქტურ დათქმად, რომლის უმთავრეს წინაპირობადაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მიიჩნევს.¹² სამოქალაქო სამართლის პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციების მიხედვით, სსკ-ის 992-ე მუხლის გაგებით ქმედების მართლსაწინააღმდეგობის ქვეშ იგულისხმება სხვისი აბსოლუტური სუბიექტური უფლებების დარღვევა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს კანონდარღვევასაც, ვინაიდან მსგავსი ქმედებების განხორციელება აკრძალულია კანონით.¹³ სასამართლოს ეს მიდგომა ძალზე ბუნდოვანია, ვინაიდან იგი ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, იყენებს აბსოლუტური სუბიექტური უფლების ცნებას და მეორე მხრივ, მსგავსი უფლების დარღვევას ნებისმიერ შემთხვევაში ათანაბრებს კანონდარღვევასთან. მოცემულ შემთხვევაში ნათლად არ ჩანს, თუ რას გულისხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლო აბსოლუტური სუბიექტური უფლების ქვეშ, რატომ ათანა-

¹¹ სუსგ ას-809-776-2016 04/04/2017; სუსგ ას-330-2019 19/11/2019.

¹² სუსგ ას-638-605-2014 22/04/2016 § 24-25.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 25/07/2007 76. 78.

ბრებს იგი ამ უფლების ხელყოფას კანონდარღვევასთან და სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე რამდენად დგება დელიქტური პასუხისმგებლობა, თუ სახეზეა ისეთი კანონდარღვევა, რომლის დროსაც ადგილი არ აქვს „აბსოლუტური სუბიექტური უფლების“ ხელყოფას.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შედარებით უფრო ნათელ და მკაფიო წარმოდგენებს ქმნის, უზენაესი სასამართლოს შემდგომი პრაქტიკა, რომელიც სსკ-ის 992-ე მუხლის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან განასხვავებს შედეგისა და ქმედების მართლწინააღმდეგობას. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, შედეგის მართლწინააღმდეგობა გულისხმობს აბსოლუტური უფლების უშუალო დარღვევას, ხოლო ქმედების მართლწინააღმდეგობისათვის განმსაზღვრელია ზიანის მიმყენებლის ვალდებულების ფარგლები - სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებების გათვალისწინებით, შეესრულებინა ან თავი შეეკავებინა გარკვეული მოქმედებისაგან, რათა თავიდან აეცილებინა ზიანი.¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნული მიდგომიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ცდილობს აბსოლუტური სუბიექტური უფლების დარღვევიდან მომდინარე მართლწინააღმდეგობა გამიჯნოს ისეთი მართლწინააღმდეგობისაგან, რომელიც კონკრეტული ვალდებულების დარღვევაში ვლინდება.

მოცემულ შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსგავსი მიდგომა წარმოადგენს გერმანული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიდგომების გაზიარების მცდელობას,¹⁵ რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს აბსოლუტური უფლებებისა და დამცავი კანონის (*„Schutzgesetz“*) დარღვევიდან მომდინარე მართლწინააღმდეგობას. შესაბამისად, აღნიშნული ცნებების შინაარსისა და მათი მახასიათებლების იდენტიფიცირებისათვის შესაძლებელია გაზიარებულ იქნეს გერმანული მიდგომები.

გერმანული სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, დელიქტური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - „გსკ“) 823-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის ელემენტი დაკავშირებულია ისეთი აბსოლუტური უფლებების ხელყოფასთან, როგორცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება ან სხვა უფლება. დასახელებული აბსოლუტური უფლებების დარღვევა, როგორც წესი, პირდაპირ მიუთითებს მართლწინააღმდეგობაზე თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი ისეთი გარემოებები, როგორცაა აუცილებელი მოგერიება და უკიდურესი აუცილებლობა.¹⁶

თუმცა, მხოლოდ აბსოლუტური სუბიექტური უფლებების დარღვევის მიჩნევა მართლწინააღმდეგო ქმედებად, მნიშვნელოვნად შეამცირებს დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებს. ამასთან, საკითხის მსგავსი გადაწყვეტა, ბუნებრივია არ შეესაბამება ასევე კანონმდებლის ნებას, ვინაიდან სსკ-ის 992-ე მუხლი მოცემულია გენერალური დელიქტური დათქმის სახით,¹⁷ რომელსაც მოქმედების მაქსიმალურად ფართო არეალი უნდა გააჩნდეს. სწორედ ამიტომ საუბრობს საქართველოს უზენაესი სასამართლო ზიანის მიმყენებლის ვალდებულების ფარგლებზე - „სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებების გათვალისწინებით, შეასრულოს ან თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედებისაგან, რათა თავიდან აიცილოს ზიანი.“¹⁸ დასახელებულ ვალდებულებებთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის მიღმა არსებობს სამართლის სხვადასხვა დარგები, რომლებიც გარკვეული აკრძალვებისა თუ მოთხოვნების დაწესებით მთლიანობაში ქმნიან ქცევის გარკვეულ სავალდებულო სტანდარტს, რომელთა დარღვევამაც შესა-

¹⁴ სუსგ ას-638-605-2014 22/04/2016 § 25.

¹⁵ შეად. ბათლიძე, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, 25.

¹⁶ Brox/Wolker, *SchldR BT* § 40. Rn. 47.

¹⁷ რუსიაშვილი გიორგი, „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა? შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2019, 4.

¹⁸ სუსგ ას-638-605-2014 22/04/2016 § 25.

ძლოა დელიქტური პასუხისმგებლობა გამოიწვიოს.¹⁹ ამ კუთხით სსკ-ის 992-ე მუხლი სამოქალაქო სამართლებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით დასახელებული სპეციალური კანონების დარღვევის დამატებითი სანქციონების და დაზარალებული სუბიექტების უფლებების აღდგენის მექანიზმსა და მყარ სამართლებრივ საფუძველს ქმნის.

კონკრეტული ნორმის დარღვევის შედეგად გამოწვეულ მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირ მითითებას შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. კერძოდ, გსკ-ის 823-ე მუხლის მეორე ნაწილით შემოთავაზებულია იმავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული აბსოლუტური უფლებების დარღვევით დამდგარი მართლწინააღმდეგობის ალტერნატიული შემადგენლობა. აღნიშნული ნორმის მიხედვით, დელიქტური პასუხისმგებლობის მიზნებისათვის, ქმედება მიიჩნევა მართლწინააღმდეგოდ იმ შემთხვევაში თუ იგი არღვევს სპეციალურ დამცავ კანონს (*“Schutzgesetz”*). დამცავი კანონის ქვეშ კი მოიაზრება სამართლის ნებისმიერი ნორმა, რომელიც მიზნად სხვა ინდივიდების ინტერესების დაცვას ისახავს.²⁰ გერმანიის ფედერალური სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული მიზანი სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო ან საერთო საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასთან ერთად სპეციალური ნორმა იცავს კონკრეტული სუბიექტების უფლებებს, სამართლებრივ სიკეთეებს ან სამართლით დაცულ სხვა ინტერესებს.²¹ ამასთან, ნორმა უნდა აწესებდეს სპეციალურ მოთხოვნას ან აკრძალვას.²² აღნიშნული გაგებით დამცავი კანონის ქვეშ შესაძლოა გაერთიანდეს საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, სამეცნარმეო, შრომის ან სამართლის სხვა დარგებში არსებული სპეციალური ნორმები.²³

შესაბამისად, ნათელია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოთ მოცემულ განმარტებაში, ვალდებულების დარღვევის ქვეშ

სწორედ გერმანულ სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული დამცავი კანონის კონცეფცია უნდა ვიგულისხმოთ. სსკ-ის 992-ე მუხლის გაგებით, აბსოლუტური სუბიექტური უფლების დარღვევასთან ერთად, მართლწინააღმდეგობას ქმნის ასევე სპეციალური დამცავი კანონის დარღვევა, რომელიც სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ პირი არღვევს სამართლის კონკრეტულ ნორმას, რომელიც მიზნად სხვა ინდივიდების ინტერესების დაცვას ისახავს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო დელიქტურ პასუხისმგებლობაზე მსჯელობისას ასევე ახსენებს გულისხმიერების ვალდებულების დარღვევასაც. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, „მართლწინააღმდეგო მოქმედება არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლზომიერი ქმედება კი არა მარტო სამართლის ნორმათა მოთხოვნების დაცვას გულისხმობს, არამედ ზოგად მოვალეობას, რომ პირმა თავისი ქმედება/ურთიერთობა ადამიანებისა და საგნების მიმართ ისე წარმართოს, რომ არავინ და არაფერი დააზიანოს. ამდენად, გულისხმიერების სტანდარტის დარღვევისა და სავალდებულო ქცევის წესიდან გადახვევის საფუძველზე ქმედება შესაძლოა მართლწინააღმდეგოდ მივიჩნიოთ.“²⁴ სასამართლოს მოცემული განმარტება ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ მართლწინააღმდეგო ქმედების ქვეშ შესაძლოა გაერთიანდეს არა მარტო დამცავი კანონით დაწესებული აკრძალვები, არამედ მან შეიძლება ისეთი ქმედებებიც მოიცვას, რომელიც სცილდება სამართლებრივ დათქმებს. კერძოდ, აღნიშნული მიდგომით ქმედება შესაძლოა იყოს მართლწინააღმდეგო თუ იგი არღვევს გულისხმიერების ზოგად სტანდარტსა და სავალდებულო ქცევის წესებს, რაც არ არის გამართლებული და მიზანშეწონილი.

სსკ-ის 992-ე მუხლში მოცემული გენერალური დელიქტური დათქმა არ უნდა იქნეს გაგებული ისე თითქოს, სამოქალაქო სამართლის სუბიექტების მიერ განხორციელებული ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც არღვევს ე.წ. გულისხმიერების ზოგად სტანდარტს ან ქცევის სავალდებულო წესს წარმოადგენს მა-

¹⁹ *Wagner*, in *MüKo*, § 823, Rn. 317.

²⁰ *Brox/Wolker*, *SchIdR BT* § 40. Rn. 66.

²¹ BGHZ 12 146; BGHZ 116 13; BGH NJW 2004 356 357.

²² BGH NJW 1965 2007; BGH NJW 1977 1147.

²³ *Brox/Wolker*, *SchIdR BT* § 40. Rn. 69.

²⁴ სუსგ ას-638-605-2014 22/04/2016 § 25.

რთლწინააღმდეგობას. მართლწინააღმდეგობა თავისი არსით გულისხმობს პირის მიერ გარკვეული ვალდებულების დარღვევას. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვროს, თუ რამდენად ჰქონდა შესაბამისი სუბიექტს სხვაგვარი მოქმედების ვალდებულება.

მართლწინააღმდეგობა დელიქტური სამართლის მიზნებისათვის გულისხმობს „სამართლებრივად დადგენილი მოვალეობის შეუსრულებლობით გამოწვეული უფლების დარღვევას.“²⁵ ამაზე მეტყველებს თავად უზენაესი სასამართლოს შემდგომი განმარტებაც, სადაც სასამართლო აღნიშნავს, რომ „მართლწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს.“²⁶ აქედან გამომდინარე, მართლწინააღმდეგობის მიზნებისათვის, ქცევის სავალდებულო წესის ქვეშ მოაზრებულ უნდა იქნეს შესაბამისი სამართლებრივი აქტით ზიანის მიმყენებლისათვის დაკისრებული ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელოს გარკვეული ქმედება, რაც მოიცავს როგორც აქტიურ მოქმედებას, ასევე უმოქმედობას. ამდენად, გულისხმიერებისა თუ ქცევის ვალდებულება ამ გაგებით ასევე დაკავშირებული უნდა იყოს სამართლებრივ მოთხოვნებთან თუ სამართლებრივად დაცულ ინტერესებთან.²⁷ სხვაგვარად, რომ ითქვას, პირს გულისხმიერი ქცევის ვალდებულებას სწორედ კანონმდებლობა უნდა აკისრებდეს.

შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, საბოლოოდ მივდივართ ისევ სამართლის სპეციალურ ნორმამდე, რომელიც პირს გარკვეულ ვალდებულებას ან მოთხოვნებს უწესებს. კანონმდებლობით გათვალისწინებული აღნიშნული ვალდებულებები თუ მოთხოვნები კი, ბუნებრივია, მიზნად ისახავს გარკვეული სამართლებრივი სი-

კეთების დაცვას, რასაც კიდევ ერთხელ მივყავართ დამცავ კანონამდე. თუმცა, აღნიშნული საკითხის სიღრმისეული კვლევა წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს, ვინაიდან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ ქმედებას, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ამკრძალავი ხასიათის ნორმას.

შეიძლება ითქვას, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობის მიზნებისათვის და სსკ-ის 992-ე მუხლის გაგებით, დამცავი კანონის ქვეშ უნდა მოვიაზროთ ისეთი ნორმები, რომელთა მიზანია ინდივიდების დაცვა კონკრეტული სამართლებრივი სიკეთისთვის ზიანის მიყენებისაგან. ამასთან, მსგავსი ნორმა უნდა ატარებდეს ამკრძალავ ხასიათს, უნდა აწესებდეს გარკვეულ აუცილებელ მოთხოვნებს ან ადგენდეს ქცევის ვალდებულებას კონკრეტული ინდივიდებისათვის.

ამდენად, სსკ-ის 992-ე მუხლის ტელეოლოგიური საფუძვლების, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისა და გერმანული საკანონმდებლო თუ სასამართლო მიდგომების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დელიქტური პასუხისმგებლობის მიზნებისათვის მართლწინააღმდეგოდ ქმედება შეიძლება გამოიხატებოდეს აბსოლუტური უფლებისათვის ზიანის მიყენების ან დამცავი კანონის დარღვევაში. სხვაგვარად რომ ითქვას, სსკ-ის 992-ე მუხლში მოცემული გენერალური დელიქტის ფარგლებში უნდა გაერთიანდეს აბსოლუტური უფლებისათვის ზიანის მიყენებიდან და დამცავი კანონის დარღვევიდან მომდინარე მართლწინააღმდეგოდ ქმედებები. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის, აუცილებელია იმის გარკვევა თუ მართლწინააღმდეგობის ზემოთ მოცემულ რომელ ალტერნატივას აქვს ადგილი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებენ აღნიშნულ გარემოებებს და სწორედ ისინი მიუთითებენ მა-

²⁵ ბიჭია მიხეილ, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, 277.

²⁶ სუსგ ას-155-145-2017 26/10/2018 § 77.

²⁷ რუსიაშვილი გიორგი, „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა? შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2019, 9.

თზე.²⁸ შესაბამისად, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სახით მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობის მტკიცების ტვირთის მატარებელი არის მოსარჩელე, რომელიც სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. ამასთან, ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ ამ კუთხით მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობისათვის აუცილებელია შესაბამისი აღმასრულებელი უწყების მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დაფიქსირება. თუმცა, აღნიშნული მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული. აღმასრულებელი უწყების მიერ დომინირებული მდგომარეობის დარღვევის ფაქტის დადგენა არ უნდა იქნეს მიჩნეული კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ მტკიცებულებად, ვინაიდან, კანონმდებელი კანონის 32¹-ე მუხლით თავადვე აღიარებს პირის უფლებას კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყების გვერდის ავლით პირდაპირ მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული დანაწესით კანონმდებელი უშვებს პირის შესაძლებლობას სასამართლოში თვითონ დაასაბუთოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი და ამ ფორმით გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა.

2. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, როგორც აბსოლუტური უფლების დარღვევა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, დელიქტური პასუხისმგებლობა მიმართულია აბსოლუტური სამართალურითობის დაცვისაკენ, სადაც განსაზღვრულია მხოლოდ ერთი მხარე, რომელიც არის სუბიექტური უფლების მატარებელი, მაგალითად ნი-

ვთის მესაკუთრე.²⁹ შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოცემული განმარტებიდან შეიძლება აბსოლუტური უფლების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებლის განსაზღვრა. კერძოდ, აბსოლუტური უფლება არის ისეთი უფლება, რომელიც აყალიბებს აბსოლუტურ სამართალურთიერთობას კერძო სამართლის ყველა სუბიექტთან და ამ უფლების მატარებელია კონკრეტული ინდივიდი. ასეთი უფლების მაგალითად კი სასამართლო ასახელებს საკუთრების უფლებას. აღნიშნული გადმოსახედიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სსკ-ის 992-ე მუხლის მიზნებისათვის აბსოლუტურ უფლებებში იგულისხმება ისეთი სამოქალაქო უფლებები, რომელიც ინდივიდის ექსკლუზიური გამგებლობის სფეროს განეკუთვნებიან და რომელიც მას აღჭურავს უფლებამოსილებით გამორიცხოს ამ უფლებებში სხვა პირების ჩარევა.³⁰ მსგავსი აბსოლუტური უფლება შეიძლება იყოს, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება, პირადი არაქონებრივი უფლებები და ა.შ.

აბსოლუტური უფლების დარღვევის ქრილში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კანონის მე-6 მუხლი მოიცავს შესაბამისი საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტებისთვის აკრძალულ ქმედებათა ფართო სპექტრს. აღნიშნული ქმედებები მათი შინაარსისა და განხორციელების ფორმების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუმცა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების არცერთი კონკრეტული ქმედების სამართლებრივი ბუნება არ იძლევა ცალსახად იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ამ გზით პირის აბსოლუტური სუბიექტური უფლებებისთვის ზიანის მიყენება ხდება. აღნიშნული მსჯელობის მართებულობაზე მეტყველებს ასევე ის ფაქტი, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიჩნეული ქმედებები დასაშვებია ისეთი ეკონომიკური აგენტებისთვის, რომლებიც არ ფლობენ მო-

²⁸ სუსგ ას-155-145-2017 26/10/2018 § 79.

²⁹ სუსგ ას-155-145-2017 26/10/2018 § 72

³⁰ ბათლიძე გიორგი, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, 23.

მეტებულ და მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას. თუ დავუშვებთ, რომ მსგავსი ქმედებებით შესაძლებელია პირთა აბსოლუტური უფლებების დარღვევა, მაშინ კანონმდებელი არ დაუშვებდა მსგავსი ქმედებების მართლზომიერებას არადომინანტი სუბიექტებისთვის. შესაბამისად, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში სსკ-ის 992-ე მუხლის გაგებით მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობის დასაბუთება აბსოლუტური სუბიექტური უფლების დარღვევის მოტივით ნაკლებად სავარაუდოა.

3. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, როგორც დამცავი კანონის დარღვევა

როგორც ზემოთ აღინიშნა, სსკ-ის 992-ე მუხლის მიზნებისათვის დამცავი კანონი გულისხმობს ისეთ ნორმას, რომლის მიზანია ინდივიდების დაცვა კონკრეტული სამართლებრივი სიკეთისთვის ზიანის მიყენებისაგან. ამასთან, მსგავსი ნორმა უნდა ატარებდეს ამკრძალავ ხასიათს, უნდა აწესებდეს გარკვეულ აუცილებელ მოთხოვნებს ან კონკრეტული ინდივიდებისათვის უნდა ადგენდეს ქცევის ვალდებულებას.

შესაბამისად, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხის შეფასების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი სიკეთეების დაცვას ემსახურება საკუთრივ მსგავსი ქმედების ამკრძალავი ნორმა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, მთლიანად კონკურენციის კანონმდებლობით და მეორე მხრივ, ამ კანონმდებლობის სპეციალური ამკრძალავი ნორმით (ამ შემთხვევაში კანონის მე-6 მუხლი), დაცული სამართლებრივი სიკეთეები.

იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, კონკურენციის კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, იცავს საკუთრივ ჯანსაღი კონკურენციის პროცესს. სხვაგვარად, რომ ითქვას, კონკურენციის კანონ-

მდებლობით დაცული სამართლებრივი სიკეთეა კონკურენცია, როგორც დინამიური პროცესი. კანონში მოცემული სპეციალური ნორმები, მათ შორის კანონის მე-6 მუხლი კი, ბუნებრივია, ემსახურება კონკურენციის კანონმდებლობის დასახელებული ზოგადი მიზნების მიღწევას. თუმცა, აღნიშნული გარემოება ვერ იქნება კანონის მე-6 მუხლის დამცავი კანონად მიჩნევის საფუძველი, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არის გამოკვეთილი კონკრეტული ინდივიდებისა და მათი სამართლებრივი სიკეთეებისა თუ ინტერესების დაცვის მიზანი.

დასახელებული ნორმის განმარტებისა და შესაბამისი სპეციალური სამართლებრივი სიკეთეების იდენტიფიცირების პროცესში მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მენარმეობის თავისუფლებასა და კონკურენციასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მნიშვნელოვან პრაქტიკაზე. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მენარმეობის თავისუფლება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების მნიშვნელოვან გამოვლინებას, ეკონომიკური მართლწესრიგის, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ურთიერთობების საფუძველს. აღნიშნული ვალდებულებით სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს, რომელშიც არა მარტო მენარმეობის ასპარეზია თავისუფალი ნებისმიერი ქმედუნარიანი სუბიექტისათვის, არამედ თავად მენარმეობაა თავისუფალი. მხოლოდ თავისუფალი მენარმეობის დროსაა შესაძლებელი, მენარმე სუბიექტი გახდეს კომერციული ურთიერთობების სრულფასოვანი თანამონაწილე და შეძლოს თავისი საქმიანი უნარჩვევების სრულყოფილი გამოვლინება.“³¹ თავისუფალი მენარმეობის დაცვა და კონკურენციის განვითარება უზრუნველყოფს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური აგენტების საქმიანობას, რაც თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების არსებითი წინაპირობაა. აღნიშნულის მისაღწევად სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სათანადო საკანონმდებლო მოწესრი-

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/11/747 გადაწყვეტილება, 6.

გება.³² საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ მენარმეობისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა არ გულისხმობს მხოლოდ ინსტიტუციურად ამ საქმიანობის თავისუფლების ნორმატიულ აღიარებას. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს.³³

საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს საქართველოს კონკურენციის სააგენტოც, რომ სახელმწიფოს სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულება წარმოადგენს კანონის ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) მიზანს.³⁴ კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლობიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია (კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი). მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, ეკონომიკური აგენტების ბაზარზე დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა და ა. შ.

ჯანსაღი და თავისუფალი კონკურენციის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების მიერ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამენარმეო საქმიანობის კონკურენტულ გარემოში თავისუფლად და დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა. სამენარმეო საქმიანობის თავისუფლებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ერთ-ერთ ელემენტსა და გამოხატულებას კი ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი წვდომისა და დაშვების შესაძლებლობა წარმოადგენს. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად კი მენარმე სუბიექტებს ეზღუდებათ სწორედ ნე-

დლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი წვდომისა და დაშვებისა და ჯანსაღი კონკურენტულ გარემოში სამენარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.

აღნიშნულის, უფრო ნათლად წარმოსაჩენად შესაძლებელია განხილულ იქნეს კანონის მე-6 მუხლით აკრძალული ზოგიერთი ქმედება. ამასთან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შესაძლოა განხორციელდეს როგორც აქტიური მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. კერძოდ, აქტიური მოქმედებით დომინირებული მდგომარეობა შეიძლება გამოიხატებოდეს, მაგალითად, სავაჭრო პარტნიორებისათვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესებაში. ხოლო უმოქმედობის კლასიკური მაგალითია ე.წ. მინოდებაზე უარის (*“refusal to supply”/ “Lieferverweigerung”*) შემთხვევები.

როგორც მინოდებაზე უარი, ასევე იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება სხვა მენარმე სუბიექტებისთვის ქმნის მნიშვნელოვან შეზღუდვებსა და ბარიერებს სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. ამ კუთხით მათი ინტერესების დაკმაყოფილება დამოკიდებულია ბაზარზე მნიშვნელოვანი და მომეტებული საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკურ აგენტთან გონივრული პირობებით სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებაზე. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი მათთან არ დაამყარებს სახელშეკრულებო ურთიერთობას, ან დაამყარებს, მაგრამ დაუნესებს დისკრიმინაციულ პირობებს, მენარმე სუბიექტების ინტერესები არსებითად შეილახება და მათ მიადგებათ მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი. მსგავსი ქმედებების აკრძალვით კანონმდებელი მიზნად ისახავს სწორედ სხვა მენარმე სუბიექტების ინტერესებისა და მათი სამართლებრივი სიკეთეების დაცვას. აქედან გამომდინარე, სხვა ეკონომიკური აგენტების მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე მოთხო-

³² იქვე.

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, § 2-3.

³⁴ სააგენტოს თავმჯდომარის 7 აგვისტოს N04/216 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ საჩივრის საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე, 27-28.

ვნის შემთხვევაში, კანონის მე-6 მუხლი უნდა ჩაითვალოს დამცავ კანონად, მისი დარღვევა კი - მართლსაწინააღმდეგო ქმედებად.

თუმცა, მხოლოდ სხვა ეკონომიკური აგენტების დაცვა არ წარმოადგენს კანონის მე-6 მუხლის მიზანს. იგი იცავს ასევე საბოლოო მომხმარებლებს. ამ კუთხით საინტერესოა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმებით დაცულ სიკეთეებთან მიმართებით ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ ასპექტს. სასამართლოს განმარტებით, დომინირებული მდგომარეობის ამკრძალავი ნორმა იცავს როგორც სავაჭრო პარტნიორებს, ასევე მომხმარებლებს.³⁵ ევროპული სასამართლოს განმარტებით, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმების მიზანს წარმოადგენს ისეთი ქმედებების პრევენცია, რომელიც ზღუდავს კონკურენციას და ამ გზით ზიანს აყენებს საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს, კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებსა და მომხმარებლებს.³⁶

აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებთან ერთად, საბოლოო მომხმარებლებსაც აქვთ შესაძლებლობა სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვონ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მომხმარებლებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მათთვის ზიანის მომტან ქმედებებს შესაძლოა სხვადასხვა ფორმით ჰქონდეს ადგილი. კერძოდ, მომხმარებლებისთვის პირდაპირი ზიანის მომტანი შესაძლოა იყოს არასამართლიანი ფასების დადგენა, ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დანესება, რომელიც მომხმარებელს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან და ა.შ.

ეკონომიკური აგენტებისა და მომხმარებლების ინტერესების დაცვასთან ერთად კანონის

მე-6 მუხლი ასევე ატარებს დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტისათვის ქცევის სპეციალური სტანდარტის დამდგენი ნორმის ხასიათს. დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტისთვის დადგენილი აღნიშნული ქცევის სტანდარტი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმ სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფისგან თავის შეკავებას, რომელიც დაცულია, როგორც მთლიანად კონკურენციის კანონმდებლობით, ასევე კონკრეტულად კანონის მე-6 მუხლით.

ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს აქვს სპეციალური პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა ქმედებებმა არ მოახდინოს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ხელყოფა.³⁷ გარდა ამისა, ევროპული სასამართლოს განმარტებით, დომინირებული მდგომარეობის ამკრძალავი ნორმები ეხება ისეთ ქმედებებს, რომლებსაც შესწევს უნარი გავლენა მოახდინოს ბაზრის სტრუქტურაზე, სადაც კონკურენციის დონე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის არსებობის გამო ისედაც შემცირებულია და რომელიც ჯანსაღ კონკურენციასთან შეუსაბამო მეთოდების გამოყენებით ბაზარზე კონკურენციის არსებული ხარისხის შენარჩუნების ან ზრდის პრევენციას ახდენს.³⁸ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კანონის მე-6 მუხლი დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტებისთვის წარმოადგენს ქცევის კონკრეტული სტანდარტის დამდგენ ნორმას.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმა გსკ-ის 823-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით დამცავ კანონად მიიჩნე-

³⁵ ECLI:EU:C:1996:436 "Tetra Pak" Case C-333/94 P § 42; ECLI:EU:C:2011:83 „TeliaSonera“ Case C-52/09 § 24.

³⁶ ECLI:EU:C:2011:83 „TeliaSonera“ Case C-52/09 § 22.

³⁷ ECLI:EU:C:2011:83 „TeliaSonera“ Case C-52/09 § 24; ECLI:EU:C:2009:214 "France Télécom" Case 202.07 § 105; ECLI:EU:C:1973:22 "Continental Can" Case 6/72 § 26; ECLI:EU:C:1983:313 "Michelin I" Case 322/81 § 57.

³⁸ ECLI:EU:C:1979:36 „Hoffman-La Roche“ Case 85/76 § 91; ECLI:EU:C:2009:214 „France Télécom“ Case 202.07 § 104; ECLI:EU:C:1983:313 "Michelin I" Case 322/81 § 70.

ვა გერმანულ სასამართლო პრაქტიკაშიც.³⁹ შესაბამისად, გერმანიაში, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობა დგება გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის საფუძველზე და მართლწინააღმდეგობა საბუთდება იმ გარემოებით, რომ კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისი ნორმა წარმოადგენს დამცავ კანონს და მისი დარღვევა ამ საფუძველით მართლწინააღმდეგო ქმედებად კვალიფიცირდება.

IV. ზიანი და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირები

სსკ-ის 992-ე მუხლის დისპოზიციის მიხედვით, ზიანიც დელიქტური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს.⁴⁰ ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არსებობისთვის აუცილებელია სახეზე იყოს პირი, რომელსაც აღნიშნული ქმედებით ადგება ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამოქალაქო სამართალში ზიანის ქვეშ იგულისხმება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი.⁴¹ ამასთან, ქონებრივი ზიანის დადგენა ხდება ქონებრივი მდგომარეობის შეფასებით. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს განმარტების მიხედვით, ზიანის მოცულობა განისაზღვრება მართლწინააღმდეგო ქმედების განხორციელებამდე და ამ ქმედების განხორციელების შემდეგ არსებული პირის ქონებრივი მდგომარეობის სხვაობით.⁴² შესაბამისად, სსკ-ის 992-ე მუხლის გაგებით ზიანი შესაძლოა იყოს ნებისმიერი მატერიალური თუ არამატერიალური დანა-

კლისი/დანაკარგი, რომელიც განიცადა კონკრეტულმა სუბიექტმა მართლწინააღმდეგო ქმედების შედეგად. თუმცა, იმისათვის რომ ზუსტად განისაზღვროს აღნიშნული ზიანის ფორმები, მოცულობა და დაზარალებული სუბიექტების ზუსტი წრე, აუცილებელია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული შემთხვევების ანალიზი. სხვაგვარად რომ ითქვას, უნდა მოხდეს იმ კონკრეტული ქმედებების იდენტიფიცირება და განხილვა, რომელთა განხორციელებაც აკრძალულია კანონის მე-6 მუხლით.

კანონის მე-6 მუხლი, ისევე როგორც ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 102-ე მუხლი, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სხვადასხვა კონსტელაციებს ითვალისწინებს, რომელთა უპირველეს შედეგსაც კონკურენციის შეზღუდვა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის ზიანის მიყენება წარმოადგენს. თუმცა, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობის დასადგენად აუცილებელია სახეზე იყოს არა მხოლოდ ჯანსაღი კონკურენციის შეზღუდვა, არამედ კონკრეტული ინდივიდებისთვის მიყენებული ზიანი. ზოგადი კლასიფიკაციით, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა შესაძლოა გამოიხატოს ფასისმიერ და არაფასისმიერ ქმედებებში.

ფასისმიერი ქმედების კლასიკური მაგალითია საქონელსა და მომსახურებაზე არასამართლიანი ფასების დაწესება, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მოცემულ შემთხვევაში, მომხმარებლებისთვის მიყენებულ ზიანს შესაძლოა წარმოადგენდეს სხვაობა მის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად გადახდილ ფასსა და იმ ფასს შორის, რომელსაც მომხმარებელი გადაიხდიდა იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა არასამართლიანი ფასების დაწესების გზით ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის ზიანის მიყენება.

არაფასისმიერი ქმედება კი შესაძლოა გამოიხატოს ბაზრის შეზღუდვაში, სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტიურ ტრანზაქციებზე

³⁹ Busche, in KöllKom, Band 3. § 102 Rn. 217; Wagner, in MüKo, § 823, Rn. 332; BGH NJW 1993 1580 1581.

⁴⁰ სუსგ ას-155-145-2017 26/10/2018 § 75.

⁴¹ იქვე § 75.

⁴² იქვე § 76.

დისკრიმინაციული პირობების დანესებაში და ა. შ. ასეთ შემთხვევაშიც ზიანის გამოთვლა უნდა მოხდეს იმავე პრინციპით, როგორც ეს აღნიშნა არასამართლიანი ფასების დანესებასთან მიმართებით. თუმცა, დასახელებული ქმედებების შედეგად დაზარალებულ სუბიექტებს, როგორც წესი, წარმოადგენენ არა საბოლოო მომხმარებლები, არამედ ეკონომიკური აგენტები.

ამდენად, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული სახეების გათვალისწინებით, იგი შესაძლოა ზიანის მომტანი იყოს როგორც მისი კონკურენტი თუ სხვა ეკონომიკური აგენტების, ასევე საბოლოო მომხმარებლებისთვისაც. აქედან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლო დავის წარმოების ინიცირება შესაძლებელია მოხდეს მომხმარებლების, კონკურენტი თუ სხვა ეკონომიკური აგენტების მიერ.

კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლო დავის წარმოება, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული. ამ კუთხით არსებული სირთულეები შედარებით ნაკლებად პრობლემურია კონკურენტი თუ სხვა ეკონომიკური აგენტებისთვის, ვინაიდან მათ, როგორც წესი, გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება და შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი საკუთარი ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დასაცავად. სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა მომხმარებლებთან მიმართებით. ეკონომიკური აგენტებისაგან განსხვავებით, საბოლოო მომხმარებლებს, არც საკმარისი გამოცდილება და არც სათანადო რესურსები გააჩნიათ განცდილი ზიანის სრული კომპენსაციის მოთხოვნით დამოუკიდებლად აწარმოონ სასამართლო დავა.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველზე მომხმარებლების მიერ სასამართლო დავის ინიცირებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულ პირთა ზუსტი წრის განსაზღვრა. აღნიშნული სირთულის განმარტებულ უმთავრეს ფაქტორს წარმოა-

დგენს ის ფაქტი, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებულ სუბიექტთა რაოდენობა ძალზე დიდია, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ქმედება ფართო მოხმარების საქონელსა და მომსახურებას უკავშირდება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცალკე აღებული ერთი რომელიმე პირის მიერ განცდილი ზიანი შესაძლოა საკმაოდ მცირე იყოს. თუმცა, მსგავსი ქმედებების მასშტაბურობის გათვალისწინებით, მთლიანობაში დამდგარი ზიანი შესაძლებელია საკმაოდ სოლიდურ მოცულობასაც აღწევდეს.

კონკრეტული ინდივიდის მიერ განცდილი ზიანის სიმცირე სირთულეს ქმნის იმ კუთხით, რომ აღნიშნული სუბიექტისთვის კონკურენციის შემზღუდველი ქმედებით მიყენებული ზიანი შესაძლოა არ იყოს იმ მასშტაბის, რომელიც მას აღუძრავს სურვილსა და მოტივაციას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული კი, ბუნებრივია, საფრთხის ქვეშ აყენებს კონკურენციის კანონმდებლობის კერძო აღსრულების ეფექტიანობას, ვინაიდან იგი დამოკიდებულია კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების შედეგად დაზარალებულ სუბიექტთა სურვილსა და შესაძლებლობაზე სასამართლოში დააყენონ სამართალდამრღვევის დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხი.

ამ პრობლემის აღმოფხვრისა და ევროპის კავშირის მასშტაბით ერთიანი ჰარმონიზებული მექანიზმების შესაქმნელად, ევროპის კავშირის დონეზე მიღებულ იქნა სპეციალური დირექტივა,⁴³ რომელიც ერთდროულად ემსახურება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის სრულ კომპენსაციასა და კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების ხელშეწყობას. დასახელებული მიზნიდან გამომდინარე, აღნიშნული დირექტი-

⁴³ Directive 2014/104/EU of the European Parliament and of the Council of 26 November 2014 on certain rules governing actions for damages under national law for infringements of the competition law provisions of the Member States and of the European Union Text with EEA relevance <http://data.europa.eu/eli/dir/2014/104/oj> (20.12.2019)

ვა წარმოადგენს ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოძახილს, სადაც სასამართლო აღნიშნავს, რომ კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების შესაქმნელად მნიშვნელოვანია კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გარანტირებული იყოს ნებისმიერი ინდივიდისთვის.⁴⁴

კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის სრული კომპენსაციისა და კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების ხელშეწყობის ერთ-ერთ საშუალებად ევროკომისიის მოსაზრებით შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ზიანის ანაზღაურების კოლექტიური მოთხოვნა.⁴⁵ აღნიშნული გულისხმობს, დაზარალებული მომხმარებლების სახელით მომხმარებელთა ასოციაციების მიერ საერთო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოში ერთიანი დავის წარმოებას, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სწორედ აღნიშნული ასოციაცია იქნება უფლებამოსილი უზრუნველყოს თითოეული მომხმარებელი სათანადო კომპენსაციით.

ზიანის ანაზღაურების კოლექტიური მოთხოვნა მიჩნეულ უნდა იქნეს ამ კუთხით ყველაზე პროდუქტიულ საშუალებად, ერთი მხრივ, დაზარალებული სუბიექტების მიერ განცდილი ზიანის კომპენსირებისა და მეორე მხრივ, ეფექტიანი კერძო აღსრულების ჩამოყალიბებისა და განვითარების კუთხით.⁴⁶ ამ საკითხთან მიმართებით ევროპის კავშირის დონეზე დაგროვილია საკმარისი გამოცდილება იმისათვის, რომ სრულყოფილი წარმოდგენა შეიქმნას თუ რის საფუძველზე და რა ფორმით არის შესაძლებელი ზიანის ანაზღაურების კოლექტიური მოთხოვნის პრაქტიკაში რეალიზება. ევროკომისიის მიერ მიღებული რეკომენდაციები⁴⁷ ერთმანეთისაგან განასხვავებს შეკავებისა და კომპენსაციის მოთხოვნებს. დასახელებული

რეკომენდაციის მე-3 მუხლის მიხედვით, შემაკავებელი კოლექტიური მოთხოვნა გულისხმობს კანონსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით ორი ან მეტი ფიზიკური/იურიდიული პირის ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტის მიერ ერთიანი სამართლებრივი პროცედურების ინიცირებას. კომპენსაციის კოლექტიური მოთხოვნის გზით ორი ან მეტი ფიზიკური/იურიდიული პირის ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტის მიერ ხდება დამდგარი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

კოლექტიური დავის წარმოების შემთხვევაში შესაძლებელია დიდი რაოდენობის პატარა მოთხოვნების გაერთიანება და ერთი სასამართლო დავის ფარგლებში შესაბამისი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების იმ სუბიექტისთვის დაკისრება, რომელმაც ბოროტად გამოიყენა მის ხელთ არსებული საბაზრო ძალაუფლება. აღნიშნულ მექანიზმს ასევე აქვს შესაძლებლობა შექმნას დიდი სტიმული კერძო ინდივიდებისა და ადვოკატებისათვის, რომ მოახდინონ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სასამართლოში ინიცირება. იგი იძლევა შესაძლებლობას, რომ კერძო სუბიექტები გახდნენ კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებლები.⁴⁸ აღნიშნული მიდგომა ასევე მოსახერხებელია მოპასუხე მხარისთვისაც, ვინაიდან იგი თავიდან აიცილებს ასობით მოთხოვნის საფუძველზე დაწყებულ სხვადასხვა დავას, რაც მას დროისა და რესურსების დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს.⁴⁹

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან, მათ შორის, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სრულფასოვანი რეალიზებისა და კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიანი კერძო აღსრულებისათვის აუცილებელია ქართულ რეალობაშიც დაიწყოს ფიქრი ზიანის ანაზღაურების კოლექტიური მოთხო-

⁴⁴ ECLI:EU:C:2006:461 “Manfredi” Joined cases C-295/04 to C-298/04 § 61.

⁴⁵ Commission staff working paper § 49.

⁴⁶ Moodaliyar/Reardon/Theurerkauf, The relationship between public and private enforcement, 152.

⁴⁷ Commission Recommendation.

⁴⁸ Damien, Collective Redress for Antitrust Damages, 1079.

⁴⁹ იქვე.

ვნის მექანიზმების შექმნაზე. აღნიშნული მნიშვნელოვან სტიმულსა და მოტივაციას მისცემს ინდივიდებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოში მოახდინონ დავის წარმოების ინიცირება, რაც ეკონომიკური აგენტებისთვის შექმნის დამატებით წნეხს და ხელს შეუწყობს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების პრევენციას.

V. განსჯადი სასამართლო

როგორც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებიდან, ასევე კონკურენციის კანონმდებლობის სხვა სახის დარღვევიდან მომდინარე დელიქტურ პასუხისმგებლობაზე საუბრისას, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა წარმოადგენს. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოზე, როგორც „ამ კანონის დარღვევის თაობაზე დავის“ განმხილველ სასამართლოზე. ამ კუთხით პრობლემურია იმის განსაზღვრა თუ რა სახის დავას ეხება აღნიშნული ჩანაწერი. კერძოდ, ეხება იგი მხოლოდ კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევებს, თუ იგი მოიცავს ასევე კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის თანმდევ ზიანის ანაზღაურების სამოქალაქოსამართლებრივი მოთხოვნის შემთხვევებსაც.

დომინირებული მდგომარეობის თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობის შემთხვევაში დავის საგანია არა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა, არამედ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 992-ე მუხლის გაგებით. კანონის 28-ე მუხლში კი კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებულ დავაზე. შესაბამისად, კანონის 28-ე მუხლის ჩანაწერი ეხება დავას მხოლოდ კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელ უწყებასა და შესაბამის სუბიექტს შორის. აღნიშნული დავა კი თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება იმდენად, რა-

მდენადაც კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დადგენა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემით ხდება. ხოლო, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოშობს ჩვეულებრივ სამოქალაქოსამართლებრივ დავას დაზარალებულ სუბიექტსა და სამართალდამრღვევს შორის. აქედან გამომდინარე, ამ სახის დავებზე უნდა გავრცელდეს არა კანონის 28-ე მუხლის დანაწესი, არამედ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლით განსაზღვრული განსჯადობის საერთო წესები.

VI. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა

განსჯად სასამართლოსთან ერთად, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობის განხილვისას ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრა. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ განსახილველი მოთხოვნის რეალიზების უზრუნველყოფა და ზიანის კომპენსირების რეალური და ეფექტიანი მექანიზმების შექმნა უმეტესწილად სწორედ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გონივრულობაზეა დამოკიდებული.

ხანდაზმულობის დროითი ჩარჩოების გონივრულობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის თანმდევი დელიქტური მოთხოვნისა და ამ მოთხოვნის რეალიზებისათვის აუცილებელი კონკრეტული საშუალებების სპეციფიკა. ამ კუთხით აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს დასახელებული მოთხოვნის რეალიზების გზებზე, რომლებიც წინამდებარე ნაშრომის მეორე თავში იქნა განხილული, სადაც ერთმანეთისგან გაიმიჯნა ზიანის ანაზღაურების თანმდევი და განკერძოებული მოთხოვნები. ასევე აღინიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების განკერძოებული მოთხოვნა

უფრო კომპლექსური ხასიათით გამოიჩინა და ამ შემთხვევაში დაზარალებულ პირს სასამართლოში დამოუკიდებლად უწევს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის არსებობის მტკიცება. ხოლო, თანმდევი მოთხოვნის შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა შესაბამისი უწყების მიერ უკვე დადგენილია და დაზარალებული პირი მხოლოდ ზიანისა და მიზეზობრივი კავშირის მტკიცების ტვირთს ატარებს. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ თანმდევი მოთხოვნა მიზნის მიღწევის უფრო ხელსაყრელ და პერსპექტიულ გზას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც დამდგარი ზიანის ანაზღაურების აღბათობა უფრო მაღალია.

თუმცა, ხანდაზმულობის შემჭიდროებულმა ვადებმა შესაძლოა თანმდევი მოთხოვნის რეალიზების გადაულახავი ბარიერი შექმნას. ამაზე მეტყველებს ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი განმარტებაც, რომლის მიხედვითაც, ნევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოკლე ხანდაზმულობის ვადა და ამ ვადის შეჩერების შეუძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხავს კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალული ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის კომპენსირების შესაძლებლობას.⁵⁰ აღნიშნულ სირთულეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ შესაბამისი აღმასრულებელი უწყების მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დადგენა და შემდეგ ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელიც ძალზე დიდ დროს საჭიროებს.

კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასახელებული სირთულეებისა და ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის გათვალისწინებით, დირექტივა ითვალისწინებს ხანდაზმულობის სავალდებულო მინიმალურ ვადას და განსაზღვრავს ამ ვადის შეჩერების კონკრეტულ შემთხვევებს.

დირექტივის მე-10 მუხლის მიხედვით, მნიშვნელოვანია კონკურენციის კანონმდებლობის

დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იყოს სულ მცირე ხუთი წელი. იგი ადგენს კონკრეტულ შემთხვევებში ამ ვადის დენის შეჩერების აუცილებლობასაც. კერძოდ, დირექტივის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა შეჩერდეს იმ შემთხვევაში, თუ კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყება ახორციელებს მოკვლევას კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის იმ სავარაუდო ფაქტზე, რომელსაც უკავშირდება კონკრეტული პირისათვის ზიანის მიყენება. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ დირექტივის მოთხოვნები ემსახურება კონკურენციის შემზღვეველი ქმედებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადეკვატური და შესაფერისი ხანდაზმულობის ვადის დადგენას. მსგავსი მიდგომა ევროპის კავშირის მასშტაბით უზრუნველყოფს კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების ხელშეწყობასა და დაზარალებული სუბიექტების უფლებების აღდგენის რეალური მექანიზმების შექმნას. ხანდაზმულობის მსგავსი ვადა და მისი შეჩერების შესაძლებლობა დაზარალებული პირისთვის ქმნის სრულყოფილ შესაძლებლობას ჯერ კონკრეტული სუბიექტის მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა აღმასრულებელი უწყების საშუალებით დაადგინოს (რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება) და შესაბამისი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით დავა აწარმოოს სასამართლოში.

ქართულ რეალობაში ხანდაზმულობის საკითხის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმას კანონის 27-ე მუხლი წარმოადგენს, რომლის მიხედვით, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე დავების ხანდაზმულობის ვადად განსაზღვრულია სამი წელი. დელიქტური პასუხისმგებლობისთვის იგივე ხანდაზმულობის ვადას ადგენს სსკ-ის 1008-ე მუხლიც.⁵¹

მოცემულ შემთხვევაში რთულია ზუსტად განისაზღვროს კანონმდებლობის რომელი და-

⁵⁰ ECLI:EU:C:2006:461 „Vincenzo Manfredi“ Joined cases C-295/04 to C-298/04 § 78.

⁵¹ სუსგ ას-1322-2018, 04.04,2019, 180.

ნანესი წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის დამდგენ სპეციალურ ნორმას. პრობლემურია იმის დადგენა, კანონის 27-ე მუხლი ეხება მხოლოდ კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების საჯაროსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას, თუ შესაძლებელია იგი ასევე გავრცელდეს აღნიშნული კანონმდებლობის დარღვევის თანმდევი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე. თუმცა, ორივე ნორმა ხანდაზმულობის ერთსა და იმავე ვადას ითვალისწინებს და შესაბამისად, ნათელია, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან, მათ შორის დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებიდან, მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს.

იმისათვის, რომ ზუსტად შეფასდეს თუ რამდენად გონივრულია სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა კონკურენციის შემზღვეველი ქმედებების შედეგად წარმოშობილი დელიქტური მოთხოვნებისთვის, აუცილებელია მოხდეს ქართული კანონმდებლობის მიხედვით, შესაბამისი დარგის მარეგულირებელი ნორმების ანალიზი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ კანონით გათვალისწინებული საჩივრის დასაშვებობის შესწავლისა და მოკვლევის ვადები მთლიანობაში შესაძლებელია ერთ წელს გასცდეს. ამის შემდეგ, მხარეებს შესაძლებლობა აქვთ კონკურენციის სააგენტოს მიერ მოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრონ სასამართლოში, სადაც საქმის განხილვა ასევე დიდ დროს მოითხოვს. მთლიანობაში, შესაბამისი აღმასრულებელი უწყების მიერ გადაწყვეტილების მიღებასა და ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას შესაძლოა სამ წელზე მეტიც დასჭირდეს, რაც გამორიცხავს ამ კუთხით თანმდევი დელიქტური მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობას. ასევე, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აქტიურად განიხილება საქმის მოკვლევის კანონით გათვალისწინებული ვადების გაზრდა, ნათელი ხდება, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მო-

მდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ამ მოთხოვნის რეალიზებისათვის ძალზე მცირე დროა. იგი ნაკლებად შეესაბამება კონკურენციის შემზღვეველი ქმედებების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თავისებურებებს და არა მარტო მნიშვნელოვნად ზღუდავს, არამედ ფაქტობრივად გამორიცხავს კიდევ ამ მოთხოვნის პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და ამ ვადის დენის შეჩერების შეუძლებლობა მნიშვნელოვნად არის აცდენილი ევროპის კავშირის თანამედროვე მიდგომებს და აფერხებს კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების ჩამოყალიბებას და მის შემდგომ განვითარებას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალური ვადის დადგენა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ამ მოთხოვნის მრავალმხრივ ფუნქციასთან და ადეკვატურად უპასუხებს მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

გარდა ამისა, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის თანმდევი დელიქტური მოთხოვნის რეალიზებისათვის მნიშვნელოვანია ზუსტად იყოს განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისიც. კანონის 27-ე მუხლი ამ კუთხით რაიმე სახის სპეციალურ მითითებას არ შეიცავს. თუმცა, სსკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „მითითებული მუხლი განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც დაზარალებულს ზიანის მიმყენებლისაგან სასამართლო წესით ან მის გარეშე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია და არ აქვს მნიშვნელობა, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებაზეა საუბარი, თუ ერთჯერადად გადასახდელ თანხაზე.“⁵²

⁵² სუსგ ას-247-237-2013, 01/07/2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ასევე ძალზე საინტერესო და ორიგინალურ განმარტებას აკეთებს სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის საწყის მომენტთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი დამოკიდებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წესზე. ამ შემთხვევაში, სასამართლოს პოზიციით, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საკითხი განსხვავებულად წყდება იმის მიხედვით თუ რა საპროცესოსამართლებრივ გზას აირჩევს მოსარჩელე - ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესით განხილვის შემთხვევაში იმ მომენტიდან, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.⁵³ მოცემულ შემთხვევაში გაუგებარია თუ რა სამართლებრივ საფუძველს ემყარება უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განმარტება, ვინაიდან მატერიალური კანონი პირდაპირ განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის საწყის ეტაპს, რომელიც ვერ იქნება იმაზე დამოკიდებული თუ რა საპროცესოსამართლებრივ მექანიზმს გამოიყენებს მოსარჩელე. ხანდაზმულობის ვადა და მისი საწყისი მომენტი ობიექტური კატეგორიაა და არ არის დამოკიდებული ამ მოთხოვნის რეალიზების საპროცესოსამართლებრივ მექანიზმზე. სსკ-ის 1008-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს ვადის დენის საწყის მომენტს, რომელიც დაკავშირებულია იმ მომენტთან, როდესაც დაზარალებულმა სუბიექტმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ამ კუთხით არანაირი საგამონაკლისო საკანონმდებლო დათქმა არ არსებობს, რომლის სა-

ფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სასარჩელო წარმოების სხვადასხვა სახესთან მიმართებით ხანდაზმულობის ვადის დენის საწყისი მომენტის განსხვავებულად დადგენისათვის.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განმარტება და მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრება ხელს უწყობს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებულ სუბიექტებს არ გაუშვან ხანდაზმულობის ვადები და მოახდინონ დარღვეული უფლებების აღდგენის უზრუნველყოფა. აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადგენა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ ხდება ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, თუ დაზარალებული პირი სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობის საკითხს სასამართლოში დააყენებს გამარტივებული წარმოების გზით, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება არა იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა სუბიექტმა შეიტყო შესაბამისი გარემოებების არსებობა, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც აღნიშნული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი შევა ძალაში.

მიუხედავად საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განმარტებისა, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების და სხვა მსგავსი სამართალდარღვევების თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობაში მყარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლობა ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომლის ფარგლებშიც დაზარალებულმა სუბიექტმა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა დააყენოს სამი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც მან შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. თუმცა, კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყების მიერ კანონდარღვევის

⁵³ სუსგ ას-1322-2018, 04.04.2019, 182.

დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შესაძლებელია ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან სამი წლის განმავლობაში ვერ მოხსნოს, რაც განსახილველი მოთხოვნის რეალიზების დამატებით გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს. ხანდაზმულობის საწყისი მომენტის ამ ფორმით განსაზღვრა ფაქტობრივად პერსპექტივას აცლის დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თანმდევ დელიქტურ მოთხოვნებს.

საკითხის მსგავსი გადაწყვეტა დამატებით პრობლემას ქმნის ისეთ შემთხვევაში, როდესაც კანონსაწინააღმდეგო ქმედება არაერთჯერად და განგრძობად ხასიათს ატარებს. ასეთ დროს, თუ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება დაზარალებული სუბიექტის მიერ რელევანტური გარემოებების შეტყობის მომენტიდან, შესაძლებელია ხანდაზმულობის ვადა გავიდეს მანამ, სანამ დასრულდება კანონდარღვევა, რაც ევროპული სასამართლოს განმარტებით, გამორიცხავს ამ ქმედების შედეგად დაზარალებული პირის შესაძლებლობას, დააყენოს კანონდამრღვევი სუბიექტის თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხი.⁵⁴

მსგავსი პრობლემების პრევენციისა და ევროპის კავშირის მასშტაბით კონკურენციის სამართლის ერთგვაროვანი და ეფექტიანი კერძო აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით დირექტივა ევროპის კავშირის ნევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედებების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადის დენა არ უნდა დაიწყოს კონკურენციის შემზღვეველი ქმედების დასრულებამდე, რაც განგრძობადი ან არაერთჯერადი ქმედების შედეგად წარმოშობილი ზიანის კომპენსაციის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

ხანდაზმულობის ვადის დენის საწყისი მომენტის განსაზღვრასთან ერთად, როგორც ზემოთ აღინიშნა, დირექტივა ევროპის კავშირის

ნევრ სახელმწიფოებს ასევე ავალდებულებს გაითვალისწინონ ამ ვადის დენის შეჩერების შესაძლებლობაც. დირექტივის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, აუცილებელია ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდეს იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი აღმასრულებელი უწყება ახორციელებს მოკვლევას კონკურენციის კანონმდებლობის იმ სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, რომელსაც კონკრეტულ შემთხვევაში ეფუძნება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. დირექტივის მოთხოვნის თანახმად, ასეთ შემთხვევაში ვადის დენა განახლდება შესაბამისი უწყების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუადრეს ერთი წლისა. ხანდაზმულობის ვადის დენის მსგავსი მექანიზმი უზრუნველყოფს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის სახით მართლწინააღმდეგობის დადასტურების შემდეგ პირის სრულფასოვან შესაძლებლობას ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით თანმდევი მოთხოვნის საფუძველზე დავა აწარმოოს სასამართლოში.

დირექტივის განხილული მიდგომებიდან ნათლად ჩანს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის მაქსიმალური ფარგლების დადგენით იგი საფუძვლიანად იცავს დაზარალებული პირის ინტერესებს. გარდა ამისა, დირექტივით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის საწყისი მომენტი და ვადის დენის შეჩერების მექანიზმი სრულფასოვნად უზრუნველყოფს დაზარალებული პირის შესაძლებლობას მიიღოს კონკურენციის შემზღვეველი ქმედების შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის სრული კომპენსაცია. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით დირექტივაში მოცემული მიდგომები ევროპის კავშირის მასშტაბით უზრუნველყოფენ კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების შექმნას.

ზემოთ მოცემული ევროპული მიდგომების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული კანონმდებლობა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თანმდევი დელიქტური პასუხისმგებლობისა და ზოგადად, კონკურენ-

⁵⁴ ECLI:EU:C:2006:461 „Vincenzo Manfredi” Joined cases C-295/04 to C-298/04 § 79.

ნციის კანონმდებლობის კერძო აღსრულების კუთხით მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს. ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით კი აუცილებელია ქართული კანონმდებლობითაც მოხდეს კონკურენციის სამართლის ამკრძალავი ნორმების დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სპეციალური ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება და მისი დენის დაწყებისა თუ შეჩერების შემთხვევების მარეგულირებელი სპეციალური ნორმების შემოღება, რაც რეალურად ხელმისაწვდომს გახდის კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში მოცემული მსჯელობის შედეგად გამოვლინდა, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად დამგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის სპეციალურ შემთხვევას, რომელიც ექცევა სსკ-ის 992-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში. ამასთან, დასავლური განვითარებული სახელმწიფოების და ევროპის კავშირის პრაქტიკაზე დაყრდნობით გამოიკვეთა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად დამგარი ზიანის ანაზღაურების მნიშვნელობა კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სსკ-ის 992-ე მუხლთან მიმართებაში. გერმანულ მიდგომებზე დაყრდნობით კი გამოიკვეთა დელიქტური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობის, მართლწინააღმდეგობის ელემენტები და მისი განსაზღვრის ფორმები. ასევე გამოვლინდა, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად ნაკლებად სავარაუდოა აბსოლუტური სუბიექტური უფლებისთვის ზიანის მიყენება.

თუმცა, გერმანულ პრაქტიკაზე დაყრდნობით აღინიშნა, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ხდება დამცავი კანონის დარღვევა და სწორედ ამ საფუძვლით უნდა იქნეს მიჩნეული აღნიშნული ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად დამგარ ზიანსა და ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მქონე სუბიექტებზე მსჯელობისას გამოიკვეთა ქართულ რეალობაში ზიანის ანაზღაურების კოლექტიური მოთხოვნის მექანიზმების შექმნის აუცილებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სრულფასოვან რეალიზებასა და კონკურენციის სამართლის ეფექტიან კერძო აღსრულებას.

არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოშობს ჩვეულებრივ სამოქალაქო სამართლებრივ დავას სამართალდამრღვევსა და დაზარალებულ სუბიექტს შორის. აქედან გამომდინარე, კანონის 28-ე მუხლის ჩანაწერის მიუხედავად, მასზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი განსჯადობის საერთო წესები.

ასევე გამოვლინდა, რომ დელიქტური პასუხისმგებლობისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები პრაქტიკულად გამორიცხავს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თანმდევ დელიქტურ პასუხისმგებლობას. აქედან გამომდინარე, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებთან მიმართებით სპეციალური ხანდაზმულობის ვადების, ამ ვადების საწყისი მომენტისა და მისი შეჩერების შემთხვევების სპეციალური ნორმებით რეგულირების მნიშვნელობაზე.

სარჩოს გადახდა მატერიალური საჭიროების მქონე მეუღლისათვის

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ნინო ქავჭავაძე

I. სარჩოს მოთხოვნის უფლება სკ-ის 1182 2 ა) მუხლი მიხედვით

სკ-ის 1182 1 მუხლში გამყარებულია მეუღლეთა მატერიალური ურთიერთდახმარების ვალდებულება. ნებაყოფლობით დახმარებაზე უარის თქმის შემთხვევაში დახმარების საკითხს წყვეტს სასამართლო. სკ-ის 1182 2 ა) მუხლის მიხედვით, როგორც ქორწინების, ისე განქორწინების შემდეგ (სკ-ის 1183-ე მუხლი) შემოსავლის მქონე მეუღლე ვალდებულია არჩინოს მეორე მეუღლე, რომელიც ამ მატერიალურ დახმარებას საჭიროებს. მართალია, დანაწესი საუბრობს შრომისუუნარობაზე, თუმცა ეს ცნება ფართოდ უნდა განიმარტოს და მოიცვას არა მხოლოდ უნარის არარსებობით, არამედ ასევე სხვა გარეშე ფაქტორებით გამოწვეული უმუშევრობის შემთხვევებიც. სარჩოს მოთხოვნის უფლება სკ-ის 1182 2 ა) მუხლის მიხედვით უკან იხევს ამავე ნაწილის მეორე ქვეპუნქტის მიხედვით სარჩოს მოთხოვნის წინაშე. ამიტომაც, თუ მეუღლეს ენიჭება სარჩოს მოთხოვნის უფლება სკ-ის 1182 2 ბ) მუხლით, სკ-ის 1182 2 ა) მუხლის შესაბამისად სარჩოს მოთხოვნა გამოიცილებულია. თუმცა ეს ორივე მოთხოვნა კომბინირებადია იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლს მხოლოდ იმგვარი სამუშაოს პოვნა შეუძლია, რომელიც მის მატერიალურ მოთხოვნილებებს მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს.

1. წინაპირობები

სკ-ის 1182 2 ა) მუხლის მიხედვით, სარჩოს გადახდის წინაპირობაა ერთ-ერთი მეუღლის შრომისუუნარობა, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, უნდა განიმარტოს ფართოდ, კერძოდ კი, იმგვარად, რომ მოიცვას ასევე ზოგადად სამუ-

შაოს ვერპოვნით გამოწვეული დაუსაქმებლობა, რადგან დანაწესის მიზანია არა მხოლოდ უნარშეზღუდული მეუღლის დახმარება, არამედ ზოგადად მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულების დანესება მაშინ, როდესაც ერთ მეუღლეს აქვს შემოსავალი, ხოლო მეორე მეუღლე, გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს თავის რჩენას. ამგვარად, მოცემული ნორმის გამოყენების პირველი წინაპირობაა ის გარემოება, რომ სარჩენი მეუღლე ვერ პოულობდეს სამსახურს და არ შეეძლოს საკუთარი შემოსავლით თავის რჩენა. ლოგიკურად და დანაწესის მიზნიდან გამომდინარე, ეს გულისხმობს იმას, რომ მას ამგვარი სამუშაო ჰქონდა ქორწინებამდე ან სამუშაოს შოვნა მისთვის ზოგადად შეუძლებელია უნარშეზღუდულობის გამო. ამასთან, მეორე ხარისხის შუამდობა კი არ შეიძლება იქნეს მიჩნეული აპრიორი მატერიალური დახმარების საჭიროების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებად.¹

2. სამუშაოს ვერპოვნა

როგორც აღინიშნა, მოცემული დანაწესით მოცულია ასევე შემთხვევა, როდესაც მეუღლე ვერ პოულობს სამუშაოს. სამუშაოს „ვერპოვნა“ არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ მეუღლე (თუ ყოფილი მეუღლე) პასიურად ელოდება შესაბამისი შესაძლებლობის გამოჩენას, არამედ აქტიურად ეძებს მას. მან უნდა ილონოს ყველაფერი, რასაც გააკეთებდა პირი, რომელსაც არ აქვს სარჩოს მოთხოვნის უფლება, რათა გამოვიდეს დუხჭირი მდგომარეობიდან. არასაკმარისია მხოლოდ შესაბამისი ვაკანსიების გადათვალიერება ან დასაქმებასთან დაკავშირებით განცხადების გაზეთში დაბეჭდვა. მან უნდა ია-

¹ შდრ. სუსგ № ას-1076-1328-05, 2006 წლის 9 მარტი.

ქტიუროს, რაც მოიცავს დროებით არაანაზღაურებად (სტაჟიორის) შტატზე თანხმობასაც. თუ მისი მხრიდან სახეზე არ არის ამგვარი ანგარიშგასანევი აქტივობა, სარჩოს მოთხოვნის უფლება გამორიცხულია. ეს სახეზეა მაშინ, როდესაც ის საერთოდ პასიური რჩება ან შეგნებულად მოქმედებს პოტენციური დამსაქმებლისათვის ცუდი შთაბეჭდილების შესაქმნელად (არასრული დოკუმენტაცია, გასაუბრებაზე არგამოცხადება, არაგონივრული ხელფასის მოთხოვნა), რათა ამით თავიდან აირიდოს დასაქმება. მტკიცების ტვირთს ამ შემთხვევაში ატარებს სარჩოს მომთხოვნის,² რაც მოიცავს ასევე დროებითი და მინისამსახურების პოვნის შეუძლებლობის მტკიცებასაც.³ ამგვარად, სარჩოს მომთხოვნმა უნდა დააკონკრეტოს და დაამტკიცოს, თუ რა ზომები მიიღო იმისათვის, რათა ეშოვნა სამუშაო. განსხვავებული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ზოგადად შრომითი ბაზრის ზედაპირული ანალიზიდანაც ნათელია, რომ მეუღლე მისი კვალიფიკაციით შესაბამის სამუშაოს ვერ იშოვნოდა.⁴ თუმცა, პირიქით, ზეკვალიფიციურობის არგუმენტი, რის გამოც მეუღლე უკუაგდებას გარკვეული ტიპის სამუშაოს შემოთავაზებას, არ გაითვალისწინება. თუ მეუღლე ვერ შოულობს სრულგანაკვეთიან სამუშაოს, მან არ უნდა ითაკილოს ნაწილობრივზე დათანხმება.⁵

რჩენის ვალდებულება არსებობს სამუშაოს ძიების მთლიანი პერიოდის განმავლობაში. ის არ არის კონკრეტული დროის მონაკვეთით შემოსაზღვრული. თუ მეუღლე პოულობს ისეთ სამუშაოს, რომლითაც სრულად არ ძალუძს თავის რჩენა, სკ-ის 1182 2 ა) მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა გარდაიქმნება არასრული, დამატებითი სარჩოს მიცემის მოთხოვნად შემოსავლის იმ ზღვრამდე შესავსებად, რაც საკმარისია საარსებოდ.

II. მატერიალური დახმარების საჭიროება

პირადი პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე მეუღლემ, ქორწინებაში თუ მის შემდეგ, პირველ რიგში, თავის რჩენისათვის საკუთარი შემოსავალი და ქონება უნდა გამოიყენოს და მხოლოდ ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მიმართოს მეორე მეუღლეს დასახმარებლად. ამიტომაც არ არსებობს სარჩოს გადახდის მოთხოვნა სკ-ის 1182 2 ა) და ბ) მუხლების მიხედვით, მანამ, სანამ ზემოთ ხსენებული შემოსავალი და ქონება საკმარისია თავის რჩენისათვის.

1. შემოსავალი

შემოსავლის ქვეშ იგულისხმება ყველა ის შემოსავალი, რომელიც მოაქვს მეუღლის შრომით თუ სამენარმეო საქმიანობას. მათ შორის ხელფასი, პრემიები ან სხვაგვარი გრატიფიკაცია.⁶ ეს, მართალია, ნორმის სიტყვასიტყვითი გაგებიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს, თუმცა შეესატყვისება მის მიზანს.⁷

შემოსავალს განეკუთვნება ასევე მოგება ქონებიდან (პროცენტები, ქირა, დივიდენდები), მაშინაც კი, როდესაც მეუღლეს ეს ქონება მხოლოდ განქორწინების შედეგად ქონების გაყოფით ერგო.⁸

მესამე პირების მხრიდან ნებაყოფლობითი შემონირობებები ასევე განეკუთვნება შემოსავალს ზემოთ მოყვანილი გაგებით. ამის ქვეშ მოიაზრება არა მხოლოდ ფულადი საჩუქარი, არამედ ყოველგვარი მატერიალური ღირებულების მქონე შეღავათი, მაგალითად, საცხოვრისი, რომელსაც სთავაზობს პირი, რომელთანაც გადავიდა გაშორებული მეუღლე საცხოვრებლად.⁹ შემოსავალსვე განეკუთვნება სტიპენდიები, მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს მათი გადახდის იძულების წესით განხორციელებადი მოთხოვნა.

სოციალური დახმარებები და სხვა შესრულებები სახელმწიფოს მხრიდან, ზოგადად, ასე-

² BGH NJW 1987, 899.

³ BGH FamRZ 2012, 517.

⁴ BGH FamRZ 2011, 1851.

⁵ OLG Köln FamRZ 2005, 458; BGH FamRZ 2012, 517.

⁶ OLG Brandenburg FamRZ 2012, 8.

⁷ BT-Drs. 7/4361, 32.

⁸ BGH FamRZ 86, 441.

⁹ BGH NJW 1983, 683

ვე განეკუთვნება შემოსავალს.¹⁰ სახელმწიფო დახმარების ქვეშ მოაზრება, მაგალითად, ბინის მიცემა სახელმწიფოს მხრიდან, ბინის ქირის გადახდა და ა. შ.¹¹

2. ფიქტიური შემოსავალი

სარჩენ პირს მხოლოდ მაშინ შეეძლება ფიქტიური შემოსავალი და გამოიქვეითება სარჩოს მიღების მოთხოვნიდან, თუ ის ხელიდან უშვებს მისი მიღების შესაძლებლობას და მას ეს მოეთხოვებოდა (იხ. ზემოთ).¹²

3. ქონება

სარჩენმა პირმა სარჩოს მოთხოვნამდე საკუთარი მატერიალური მოთხოვნილებების დასაფარად უნდა გამოიყენოს თავისი ქონება. ქონების ქვეშ მოაზრება ნებისმიერი ღირებულების მქონე საგანი, რომლის მესაკუთრეც ის არის და რომელიც მის განკარგულებაშია. წვრილმანი ნივთების (ტანსაცმელი, ბიჟუტერია და ა. შ.) რეალიზაცია საჭირო არ არის. ამ გაგებით ქონებაში არ მოიაზრება „შავი დღისთვის“ გადანახული ფული ან სხვა ნივთები. ქონების შემადგენლობა უმნიშვნელოა; შეიძლება საქმე ეხებოდეს ერთ ან რამდენიმე ნივთს ან ნივთთა ერთობას, ფულს ან სხვა, ღირებულების მქონე ნივთებს. უმნიშვნელოა ასევე ქონების მოპოვების წყარო (მემკვიდრეობა, საჩუქრები და ა. შ.).

ქონების რეალიზაცია არ უნდა იყოს ეკონომიკურად წამგებიანი. მაგალითად, სარჩენ პირს არ შეიძლება მოეთხოვოს ფინანსური კრიზისისას, რომელიც მნიშვნელოვანად ამცირებს აქციების ღირებულებას, მათი გასხვისება, თუ სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში მათი ღირებულება გაიზრდება. ასევე ამორიცხებულია კოლექციის დანაწევრებისა და ცალ-ცალკე ნივთებად გაყიდვის მოთხოვნა, თუ კოლექცია ერთიანობაში გაცილებით მეტი ღირებულები-საა, მაგრამ მისი კლიენტი ჯერჯერობით არ ჩანს. ეკონომიკურად მომგებიანი სვლა ყოვე-

ლთვის სარგებლობს უპირატესობით, მაშინაც კი, როდესაც მისი განხორციელება მეტ დროს მოითხოვს.¹³

რეალიზაცია არ უნდა იყოს უსამართლო, რაც იზომება ორმხრივი ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით. სარჩენს რეალიზაცია არ მოეთხოვება, თუ მეორე მეუღლეს მისი რჩენის ხარჯების დაფარვა მარტივად შეუძლია საკუთარი შემოსავლებიდან.¹⁴ იმ საკითხის დასადგენად, თუ რამდენად შეიძლება სარჩოს მოთხოვნის მოეთხოვოს ქონების რეალიზაცია, მნიშვნელობას იძენს ასევე ქონების წარმომავლობა. მაგალითად, ოჯახური რელიკვიები არ უნდა გასხვისდეს, თუ სახეზეა სხვა ქონებრივი ღირებულების მქონე საგნები ან მეორე მეუღლეს მარტივად შეუძლია რჩენის ხარჯების დაფარვა.

ამგვარად, მეორე მეუღლის წინააღმდეგ მიმართული სარჩოს გადახდის მოთხოვნა მცირდება ან საერთოდ გამორიცხულია, თუ სარჩენს საკუთარი ქონებიდან და შემოსავლებიდან შეუძლია თავის რჩენა, რის ქვეშაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოიაზრება მათი რეალიზაცია.

III. სარჩოს მოთხოვნის უფლება სკ-ის 1182 2 ბ) მუხლის მიხედვით

მოცემული დანაწესი თანაბრად გამოიყენება როგორც ქორწინების პერიოდში, ასევე განქორწინების შემდეგ სარჩოს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად, თუმცა ის სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას. მის შესაბამისად, ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში აქვს სასამართლო წესით სარჩოს მოთხოვნის უფლება.

ორსული ცოლისა და სამ წლამდე ასაკის ბავშვის დედისათვის სარჩოს გადახდის მოთხოვნა რანგით ჩამორჩება და უკან იხევს არასრულწლოვანი შვილისათვის სარჩოს გადახდის ვალდებულების წინაშე, თუმცა წინ უსწრებს ყვე-

¹⁰ BGHZ 1983, 278; OLG Stuttgart FamRZ 1996, 415; OLG Hamburg FamRZ 1992, 1308.

¹¹ BGH FamRZ 1980, 771; BGH 1982, 587.

¹² BGH FamRZ 1993, 1304; BGH FamRZ 1988, 927.

¹³ BGH NJW 1992, 1046; BGH NJW 1998, 754.

¹⁴ OLG Hamburg FamRZ 1996, 292; OLG Hamm FamRZ 2012, 1950.

ლა სხვა საოჯახოსამართლებრივ რჩენის მოთხოვნას.

გაუმართლებელია, მეუღლეს დაეკისროს სკ-ის 1182 ბ) მუხლით სარჩოს გადახდა ცოლის სასარგებლოდ, თუ ეს, ყოველთვიურ ხელფასთან ამ ვალდებულების თანაფარდობის მხედველობაში მიღებით, გაართულებს არასრულწლოვანი შვილების საალიმენტო ვალდებულების შესრულებას. მაგალითად, თუ ცოლი მეუღლისგან ითხოვს ორი არასრულწლოვანი შვილის აღსაზრდელად მათ სრულწლოვანებამდე ყოველთვიური ალიმენტისა და უმცროსი შვილის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში სარჩოს გადახდას. მართალია, ის წარმოადგენს სკ-ის 1182 2 ბ) მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის უფლებამოსილ პირს, თუმცა, თუ ცოლის რჩენის ვალდებულება გაართულებდა შვილებისთვის ალიმენტის გადახდას, რომელიც ისედაც მოპასუხის თვიური ხელფასის ნახევარს შეადგენდა,¹⁵ ეს მოთხოვნა მას შეიძლება შემცირებული ოდენობით ან საერთოდ არ დაუკმაყოფილდეს.

1. წინაპირობები

მოთხოვნის გამოყენების წინაპირობებია ცოლის ორსულობა ან მეუღლეთა საერთო შვილის, მათ შორის ნაშვილების, არსებობა, რომელზეც ზრუნავს დედა. არასაკმარისია, წინა ქორწინებიდან თუ ურთიერთობიდან შვილის არსებობა. ამის საპირისპიროდ, უმნიშვნელოა, თუ როდის დაიბადა საერთო შვილი, ქორწინებამდე თუ ქორწინების შემდეგ. ამიტომაც ეს დანაწესი მაშინაც კი გამოიყენება, როდესაც შვილი დაიბადა ქორწინებამდე ან საერთოდ განქორწინების შემდეგ. თუმცა ეს ნორმა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის ჩასახვა მხოლოდ განქორწინების შემდეგ მოხდა.¹⁶ მოცემული დანაწესი გამოიყენება გამოცხადებული უნდა იყოს, თუ შვილი მხოლოდ იმი-

ტომ ითვლება საერთო შვილად, რომ ქმარმა არ განაცხადა მამობის შეცილება.¹⁷

2. სარჩოს გადახდის მოთხოვნის გაგრძელება

სკ-ის 1182 2 ბ) მუხლის ანალოგიითა და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე რჩენის ვალდებულება უნდა გაგრძელდეს, თუ ის ბავშვზე ზრუნვის ხასიათიდან და ქორწინების ხანგრძლივობიდან გამომდინარე სამართლიანობას შეესაბამება. გერმანიაში ეს შემადგენლობა თავად კანონშია მონესრიგებული – გსკ-ის 1570 II პარაგრაფი და მას საფუძველად უდევს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული არგუმენტი, რომ კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ოჯახის დაცვა განაპირობებს იმას, რომ დაქორწინებული ან განქორწინებული მშობელი უფრო უკეთეს მდგომარეობაში ჩავაყენოთ, ვიდრე დაუქორწინებელი მშობელი, საიდანაც გამომდინარეობს ასევე ქორწინების ფარგლებში გაჩენილი შვილების არაპირდაპირი პრივილეგირება.^{18 19}

3. კავშირი სკ-ის 1006-ე მუხლთან

სკ-ის 1182-ე მუხლით მოთხოვნა ექცევა სკ-ის 1006-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების ოდენობაში – გარდაცვლილის მეუღლე და შვილები წარმოადგენდნენ იმ პირებს, რომელთა რჩენაც გარდაცვლილს ევალდებოდა. მეუღლის რჩენის მოვალეობა გამომდინარეობს სკ-ის 1182-ე მუხლიდან. ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მოპასუხებმ (დელიქტის

¹⁷ კერძოდ, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამად მითითებული პირი მისი მამა არ არის (არსებობს მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ბათილობის საფუძველი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად).

¹⁸ BVerfG NJW 2007, 1755.

¹⁹ ეს პრივილეგია ქორწინებას ახალისებს იმიტომ, რომ სამართალმა გარკვეული საკითხები ავტომატურად, ზედმეტი მტკიცების გარეშე გადაწყვიტოს, მაგალითად, ჩართოს საერთო საკუთრების რეჟიმი, მეუღლის მამობის ვარაუდი ქორწინებაში დაბადებული შვილებისთვის და ა.შ.

¹⁵ სუსგ № ას-131-131-2018, 2018 წლის 19 ივლისი, სუსგ № 3კ-1285-02, 2002 წლის 28 ოქტომბერი.

¹⁶ BGH NJW 1998, 1065.

ჩამდენმა) უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ მარჩენალის მეუღლე იყო დაუფლებული რაიმე პროფესიას, ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, აღეზარდა არასრულწლოვანი შვილები და თან ემუშავა.²⁰ ამ კონტექსტში განსახილველ ერთ-ერთ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრით პირი, რომლის წინააღმდეგაც იყო წარდგენილი მოთხოვნა სკ-ის 1006-ე მუხლის მიხედვით, მიუთითებდა, რომ არათანმიმდევრული იყო გარდაცვლილის მეუღლისთვის სიცოცხლის ბოლომდე სარჩოს ვალდებულების დადგენა არასრულწლოვანი შვილების აღზრდის სირთულის მოშველიებით. ამიტომ, მოპასუხის პოზიციით, სარჩოს გადახდის ვალდებულება სულ მცირე შვილების სრულწლოვანების მიღწევით უნდა შემოსაზღვრულიყო. უზენაესმა სასამართლომ უარყო მარჩენალის მეუღლის სასარგებლოდ დანიშნული სარჩოს უვალო ხასიათი, თუმცა ასევე არ გაიზიარა მოსაზრება, რომ ის უნდა შეწყვეტილიყო შვილების სრულწლოვანების მიღწევით. მოპასუხეს წარმოეშობოდა სარჩოს გადახდაზე უარის თქმის უფლება მარჩენალის მეუღლის დასაქმების ან ქორწინების შემდეგ. უზენაესმა სასამართლომ ამ შემთხვევაშიც სარჩენი პირის შრომისუნარიანობის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს დააკისრა.

მტკიცების ტვირთის სასამართლო პრაქტიკით დადგენილი განაწილება გაუმართლებელია. თუკი სარჩოს მომთხოვნს მეუღლესთან დავისას დაეკისრებოდა სკ-ის 1182-ე მუხლის წინაპირობების არსებობის დადასტურების ვალდებულება, ეს შედეგი არ შეიძლება შეიცვალოს სკ-ის 1006-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებული პირის საუარესოდ. მტკიცების ტვირთის განსხვავებული განაწილების აუცილებლობა არ არსებობს: სარჩენი პირის ინტერესები უფრო მეტად არ იმსახურებს დაცვას, თუ ის სარჩოს არ იღებს არა სხვა ნებისმიერი მიზეზის, არამედ მარჩენალის სხვისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით გარდაცვალების გამო.

განქორწინების შემდეგ მეუღლეს, რომელიც შრომისუნარო გახდა განქორწინებამდე ან განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში, მეორე, შემოსავლის მქონე მეუღლემ უნდა გადაუხადოს სარჩო (სკ-ის 1183-ე მუხლი).

IV. რჩენის მოვალეობისაგან განთავისუფლება სასამართლოს მიერ

კანონმდებელი სკ-ის 1184-ე მუხლში დაფიქსირებული პრინციპით აღიარებს, რომ შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც მეორე მეუღლეს უბრალოდ არ შეიძლება მოეთხოვოს სარჩოს გადახდა მეუღლისათვის („გაუმართლებელი შემთხვევები“). აქაც, ისევე, როგორც მთლიან თავში, კანონმდებელი არ ასხვავებს ქორწინებაში და განქორწინების შემდეგ მოსათხოვ სარჩოს შორის, თუმცა სკ-ის 1184 ვარ. 1 მხოლოდ განქორწინების შემდეგ სარჩოს გადახდას ეხება.

სკ-ის 1184-ე მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევები ერთიანდება სარჩოს გადახდის უსამართლობის ცნების ქვეშ.²¹ ეს შემადგენლობები ამომწურავია, თუმცა „უღირსი საქციელის“ ღია ცნების გამოყენებით კანონმდებელი სამართლის შემფარდებელს უტოვებს ასპარეზს ნორმის ფართოდ განმარტებისათვის (იხ. ქვევით).

სამართლებრივი შედეგის სახით დანაწესი ითვალისწინებს სარჩოს გადახდის საერთოდ გამორიცხვას ან მის დროით შეზღუდვას. თუ რომელი შედეგი დგება, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხარისხით სრულდება კონკრეტული შემადგენლობა და გადანყვეტილებას ამასთან დაკავშირებით იღებს მოსამართლე. ამასთან, „გაუმართლებლობის შემადგენლობის“ აღმოფხვრა, ჩვეულებრივ, ყველაზე მსუბუქი საწყისით უნდა მოხდეს.²²

ჩვეულებრივ, საწყისია არის სარჩოს სამომავლოდ დაკარგვა, თუმცა განსაკუთრებით მწვა-

²⁰ სუსგ № ას-786-753-2016, 2016 წლის 12 ოქტომბერი, სუსგ № ას-889-839-2015, 2015 წლის 26 ნოემბერი.

²¹ *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1579, Rn. 1 ff.

²² *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1579, Rn. 1 ff.

ვე შემთხვევებში მას შეიძლება ჰქონდეს უკუ-ქცევითი ძალაც.²³

1. ხანმოკლე ქორწინება, სკ-ის 1184 ვარ. 1

სარჩოს გადახდისაგან გათავისუფლების ან უვადო სარჩოს მაგივრად ვადიანის დანესების სამი საფუძვლიდან, პირველი არის ხანმოკლე ქორწინება. ქორწინების დრო აითვლება დაქორწინებიდან განქორწინებამდე ან განქორწინების დღის დადგინების დღის წამოწყებამდე, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, თუმცა ქორწინების პერიოდს უკვე აღარ განეკუთვნება.²⁴ ქორწინება ხანმოკლეა, თუ ის არ აჭარბებს სამ წელს.²⁵ ეს ზღვარი არ არის აბსოლუტური.²⁶ განსაკუთრებით, ორიდან-ოთხ წლამდე შუალედში, ყოველი ცალკეული შემთხვევის განსჯის შედეგად უნდა დადგინდეს, თუ რამდენად მიენდნენ მეუღლეები თავის ამ სტატუსს და გაითვალისწინეს ის ცხოვრების შემდგომი ეტაპის დაგეგმვისას.²⁷ მნიშვნელობას იძენს ასევე მეუღლეთა ასაკი. თუ დაქორწინება ხდება უკვე ხანშიშესულ ასაკში, ამ შემთხვევაში, ხანმოკლე ქორწინების განმსაზღვრელი ზღვარი შეიძლება სამ წელზე ბევრად ნაკლები იყოს.²⁸ ეს ზღვარი ზევით იწევს იმ შემთხვევაში, როდესაც ქორწინება მხოლოდ რჩენის მიზნით ხდება.

2. უღირსი საქციელი, სკ-ის 1184 ვარ. 2

სკ-ის 1184 ვარ. 2 მუხლში მოცემული უღირსი საქციელი გულისხმობს მარჩენალი მეუღლის მიძიმე შეურაცხყოფას. შეურაცხყოფად არ შეიძლება იყოს მიჩნეული გაუფრთხილებელი ქმედება. გარდა ამისა, ის უნდა აღწევდეს იმ ხარისხს, რომელიც შეესაბამება დანაშაულისას. შეურაცხყოფას განეკუთვნება მრავალგზის ლალატი ქორწინების პერიოდში, მაშინ

ნაც კი, როდესაც მის შედეგად არ წარმოიშობა ხანგრძლივი ურთიერთობა სხვა პირთან.²⁹ ამ უკანასკნელ შემთხვევაში თავისთავად ცხადად არის სახეზე ამ ტიპის შეურაცხყოფა,³⁰ მაშინაც კი, როდესაც ურთიერთობა სექსუალურ ხასიათს არ ატარებს,³¹ მაგრამ მოცემული შემადგენლობის ცენტრალურ შემთხვევად მაინც ქორწინების განმავლობაში ხანგრძლივი დროით სექსუალური პარტნიორის გაჩენა რჩება, რაც მოიცავს ასევე განცალკევებით ცხოვრების პერიოდსაც.³² ქორწინების დამთავრების შემდეგ პარტნიორის გაჩენა უმნიშვნელოა, თუმცა შეიძლება იწვევდეს ფიქტიური შემოსავლების გამოქვითვას (იხ. ზემოთ).

სკ-ის 1184 ვარ. 2 მუხლის ქვეშ ექცევა ასევე უმიზეზო უარი ოჯახურ თანაცხოვრებაზე,³³ სექსუალურ ურთიერთობაზე³⁴, სხვისგან შეძენილი შვილების სარჩოს გადამხდელის შვილებად გასაღება³⁵, მარჩენალზე ან მის ნათესავეზე თავდასხმა, მაშინაც კი, როდესაც ის არაა მოცული მოცემული დანაშაულის მე-4 ვარიანტით. სკ-ის 1184 ვარ. 2 გავებით, უღირს საქციელად ითვლება ასევე მარჩენალის დამცირება მიძიმე ბრალდებებითა და შეურაცხყოფებით.³⁶

უღირსი საქციელი უნდა იყოს ცალმხრივი, რის გამოც დანაშაულის გამოყენება გამორიცხებულია, თუ თავად სარჩოს გადამხდელსაც ზუსტად იმავე ტიპის ქმედება შეეწინააღმდეგება სარჩენის წინაშე ან ეს ქმედება მისი თანაბრალეულობით იყო გამოწვეული (მაგალითად, სხეულის ორმხრივი დაზიანებები).

3. საკუთარი ნებით გამოწვეული სიდუხჭირე, სკ-ის 1184 ვარ. 3

სარჩოზე უარის ან მისი მხოლოდ გარკვეული ვადით მინიჭების საფუძველია საკუთარი ნებით გამოწვეული სიდუხჭირე (სკ-ის 1184

²³ BGH FamRZ 2004, 612.
²⁴ Brüdermüller, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1579, Rn. 7.
²⁵ Brüdermüller, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1579, Rn. 8.
²⁶ BGH NJW 1981, 754; BGH NJW 1982, 2064
²⁷ OLG Celle FamRZ 1979, 708.
²⁸ BGH NJW 1982, 823.

²⁹ BGH FamRZ 1983, 670.
³⁰ OLG Koblenz FPR 2002, 446:
³¹ KG FamRZ 1989, 868; 90, 407
³² BGH NJW 1981, 1214; BGH NJW 82, 2664.
³³ BGH FamRZ 1990, 492.
³⁴ OLG Hamm FamFR 1912, 347.
³⁵ BGH NJW 1912, 1443.
³⁶ OLG Brandenburg NZFam 2015, 1013.

ვარ. 3 მუხლი), კერძოდ, ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გამო, რაც განვრცობაუნარიანია. სარჩოს მოთხოვნის უფლების მქონემ სულ მცირე გაუფრთხილებლობით უნდა ჩაიგდოს თავი ისეთ მდგომარეობაში, როდესაც უკვე აღარ შეუძლია თავის რჩენა და მესამე პირის მხრიდან დახმარებაზე დამოკიდებული. ნებაყოფლობით გამონვევა უნდა ეხებოდეს რჩენას; ის ცალკე აღებული არ გამომდინარეობს იქიდან, რომ მეუღლის საქციელმა გამოიწვია გაყრა ან თავად არის მისი ინიციატორი.

მოცემულ შემადგენლობას განეკუთვნება მოგების მომტანი საქმიანობის საკუთარი ნებით დათმობა,³⁷ არსებული ან განქორწინების შემდეგ მინიჭებული ქონების ნებით გაფლანგვა,³⁸ პროფესიული განათლების მიღებაზე უარის თქმა.³⁹ ამავე კატეგორიაშია განსახილველი ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება⁴⁰, თუ პირი განზრახ არიდებს თავს მკურნალობას. თუმცა ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ სარჩენი პირს შესწევს ამ დამოკიდებულების გაცნობიერების უნარი.

ნორმა ანალოგიით უნდა გავრცელდეს შეგნებულად/გაუფრთხილებლობით დაინფიცირებისა და ავტოავარიების შემთხვევებზე. თუმცა ამ შემთხვევაშიც აუცილებელია, რომ სარჩოს მომთხოვი პირი განზრახ არიდებდეს თავს თერაპიას, თუ ეს შეუმსუბუქებდა დაინფიცირებისგან გამონვეულ უნარშეზღუდულობას და ბრალეული ავტოავარიისგან გამონვეული მატერიალური სიდუხჭირის საფრთხე თავიდანვე გათვლადი იყო. არასაკმარისია ყოფითი რისკები, მაგალითად, სპორტში ან ბრალის გარეშე თუ მსუბუქი გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ავტოსაგზაო შემთხვევებში.

4. დანაშაული, სკ-ის 1184 ვარ. 4

დანაშაულის დეფინიციისათვის აუცილებელია მისი სისხლისსამართლებრივი ცნების მოხმობა. მცდელობა ან თანამონაწილეობა საკმა-

რისია. აუცილებელია ქმედების მთლიანობაში შეფასება და კონკრეტული შემთხვევის ყველა თავისებურების გათვალისწინება. რაც უფრო მჭიდრო კავშირია დანაშაულსა და საოჯახოსამართლებრივ ბმას შორის, მით უფრო მარტივია ამ შემადგენლობის შესრულება. სისხლისსამართლებრივი დანაშაული ჩადენილ უნდა იქნეს მარჩენალის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ და ერთ-ერთი ამ პირთაგან უნდა დაზიანდეს დანაშაულის საფუძველზე. არ არის აუცილებელი, რომ ისინი მთავარი დაზარალებულები იყვნენ; ზიანის სიმძიმე გაითვალისწინება სამართლიანობის მოსაზრებებით ნაკარნახევი შეფასებითი მსჯელობისას. ქმედება უნდა იყოს ბრალეულად ჩადენილი.⁴¹ არ არის აუცილებელი, რომ სარჩოს გადამხდელი უკვე გასამართლებული იყოს მის მიერ ჩადენილი ქმედების გამო. თუმცა თუ სისხლისსამართლებრივი საქმე უკვე განიხილა სასამართლომ, გამოტანილ მსჯავრს მბოჭავი ძალა აქვს. მოყვანილი შემადგენლობის ქვეშ ექცევა: ტყუილი სასამართლოზე, განსაკუთრებით, თავად სარჩოსთან დაკავშირებულ გადანყვეტილებასთან დაკავშირებულ დავისას;⁴² სხეულის დაზიანება,⁴³ სექსუალური ძალადობა პარტნიორის ან მისი შვილების მიმართ, მძიმე ფორმის შეურაცხყოფა ან ბრალდება,⁴⁴ გამოძალვა⁴⁵ და ქურდობა⁴⁶, რომელმაც ზიანი მიაყენა სარჩოს გადახდაზე ვალდებულ პირს. არასაკმარისია სხეულის მსუბუქი დაზიანებები ორმხრივი კამათისას.

V. სარჩოს ოდენობა

როგორც ქორწინების განმავლობაში (სკ-ის 1182 2 ა) მუხლი), ისე განქორწინების შემდეგ (სკ-ის 1183-ე მუხლი) გადასახდელი ყოველთვიური სარჩოს ოდენობა მოიცავს მთლიან ყოფით, ცხოვრებისეულ ხარჯებს. მას არ განეკუთვნება საერთო შვილების რჩენის ხარჯები, რადგან ეს ცალკე საალიმენტო ვალდებულების საგანია. უმნიშვნელოა, წარმოადგენს თუ არა

³⁷ OLG Köln FamRZ 1985, 930.

³⁸ OLG Karlsruhe FamRZ 1983, 506

³⁹ OLG Hamburg FamRZ 1991, 445

⁴⁰ BGH NJW 1981, 2805.

⁴¹ BGH NJW 1982, 100

⁴² BGH NJW 1997, 1439

⁴³ OLG Düsseldorf FamRZ 1983, 585.

⁴⁴ OLG Hamm FamRZ 1995, 808.

⁴⁵ KG FamRZ 1992, 571.

⁴⁶ OLG Hamm FamRZ 94, 168.

ეს ყოფითი ხარჯები ყოველდღიური ხარჯებს თუ განსაკუთრებულ ხარჯებს (მაგ., მოტეხილი ფეხის მკურნალობა).⁴⁷

1. მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა, სკ-ის 1185 I მუხლი

სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მატერიალური და ოჯახური მდგომარეობით. ამაში პირველ რიგში იგულისხმება ქორწინების პერიოდში არსებული მდგომარეობა, მაშინაც კი, როდესაც სარჩო გადახდა განქორწინების შემდეგ ხდება (სკ-ის 1183-ე მუხლი).⁴⁸ ამიტომაც პირველ რიგში სწორედ ეს ქორწინებისას არსებული მატერიალური მდგომარეობა უნდა დადგინდეს, რათა შესაძლებელი იყო ოჯახის ცხოვრების სტანდარტის განსაზღვრა. გადამწყვეტია მსგავსი ტიპის ოჯახის საშუალო სტატისტიკური სტანდარტი. მსგავსების დადგენისას პირველ რიგში აქცენტი კეთდება წევრთა რაოდენობასა და შემოსავალზე. მსგავსების დადგენა კი აუცილებელია იმისათვის, რათა ამოსავალი არ იყოს ოჯახის ინდივიდუალური მოთხოვნები, რომლებიც ყოველგვარ ნორმას აცდენილია. ამ სტანდარტის საფუძველზე უნდა დადგინდეს, თუ რა რაოდენობის თანხა ჰქონდათ მეუღლეებს ყოველთვიურად თავის სარჩენად. სწორედ ეს თანხა წარმოადგენს ამოსავალ კაპიტალს სარჩოს განსაზღვრისათვის გადამწყვეტი ცხოვრების სტანდარტის დასადგენად.

ა) შუაზე გაყოფის პრინციპი

ის, რაც მეუღლეს ეკუთვნის სარჩოს სახით, არის, ჩვეულებრივ, ნახევარი იმ თანხისა, რაც ყოველთვიურად ორივეს განკარგულებაშია, რადგან, ზოგადად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამართული ოჯახური თანაცხოვრების დროს მეუღლეები ერთმანეთს უყოფენ იმას, რაც აქვთ, განსხვავებით ქართული სასამართლო პრაქტიკისგან, რომელიც ყურადღებას მხოლოდ მარჩენალის ფინანსურ შესაძლებლო-

ბაზე ამახვილებს.⁴⁹ თუმცა ამ პრინციპიდან დაიშვება იმდენი გამონაკლისი, რომ საბოლოო ჯამში პრაქტიკაში ის თავად წარმოსდგება გამონაკლისად და მისი მკაცრად დაცვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც არც ერთი მეუღლე არ მუშაობს და არ ფლობს რაიმე შემოსავალს.⁵⁰

ბ) გამონაკლისები შუაზე გაყოფის პრინციპიდან

მთავარი გამონაკლისი შუაზე გაყოფის პრინციპიდან მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო პრაქტიკით აღიარებულია ე. წ. „შემოსავლის მქონის ბონუსი“, რაც მდგომარეობს იმაში, რომ „ფულის შემომტან მარჩენალს“ უნდა დარჩეს იმაზე მნიშვნელოვნად უფრო მეტი, ვიდრე მეორე მეუღლესა თუ ყოფილ მეუღლეს.⁵¹

გარდა ამისა, სარჩოს განსაზღვრისათვის არ გამოიყენება ის შემოსავალი, რასაც მეუღლეები იყენებენ ქონების დაგროვებისათვის. ამ ფულის დაგროვება ხდება სარეზერვოდ და არ პოულობს გამოხატულებას შესაბამის დანახარჯებში. ამის გამო ისინი არ განსაზღვრავენ ქორწინების განმავლობაში. ამგვარი სარეზერვო კაპიტალის ქვეშ მოიაზრება დანაზოგები, აქციებში ან უძრავ ქონებაში დაბანდებული კაპიტალი, ასევე სიცოცხლის დაზღვევა.⁵² თუმცა ეს არ მოქმედებს იმ ფულის მიმართ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისით დროში განგრძობადი სარგებლობა, მაგალითად, დანაზოგი საერთო სახლისათვის, მანქანისათვის ან საოჯახო ტექნიკისათვის. ამ შემთხვევაში დანაზოგი გამოიყენება ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად და უნდა იქნეს გათვალისწინებული ასევე სარჩოს გამოთვლისას.

სარჩოს ოდენობა არ განისაზღვრება ქორწინებაში არსებული მატერიალური და ოჯახური მდგომარეობით და განისაზღვრება იმით, თუ რა შეესატყვისება სარჩენის ყოფით მოთხოვნებს იმ შემთხვევაში, როდესაც ხანგრძლივი

⁴⁷ BGH FamRZ 1983, 29; OLG Hamm FamRZ 1997, 296.
⁴⁸ *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1578, Rn. 3.

⁴⁹ სუსგ № 3კ-1285-02, 2002 წლის 28 ოქტომბერი.
⁵⁰ BGH FamRZ 1981, 1166.
⁵¹ BGH FamRZ 1989, 842; BGH FamRZ 1990, 503; BGH FamRZ 1991, 304.
⁵² *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1578, Rn. 7; BGH NJW 92, 1045.

ორიენტირება ქორწინებაში არსებულ მდგომარეობაზე უსამართლო იქნებოდა, მაგალითად, ხანმოკლე (არა სკ-ის 1184-ე მუხლის გაგებით) ქორწინება ქონებრივად რადიკალურად განსხვავებულ პირებს შორის.

გ) ქორწინებისას განეული დანახარჯების გამოკლება

შუაზე გაყოფის პრინციპიდან შემდეგ გამოინაკლის ნარმოადგენს შემთხვევა, როდესაც განქორწინების შემდეგ გარკვეული დანახარჯების გაღება ზედმეტი ხდება. ეს შეიძლება იყოს ხარჯები საერთო მოგზაურობისათვის, საჩუქრები მეორე მხარის ნათესავებისათვის, ამ ნათესავების რჩენა და ა. შ. ასევე შემთხვევა, როდესაც ყოფილი მეუღლე უფრო ახლოს გადადის თავის სამუშაო ადგილთან და ამით სახლში დაბრუნების ხარჯები უქმდება. ასევე საერთო საცხოვრისად გამოყენებული უძრავი ქონების გადასახადი, რომელიც განქორწინების შემდეგ მხარეებმა გაყიდეს.⁵³ ამ დროს დარჩენილი პოზიტიური სალდო ემატება გასაყოფ თანხას.

დ) მინიმალური სარჩო

სარჩოს მიზმა ქორწინებაში არსებულ ოჯახურ მდგომარეობაზე ნიშნავს იმას, რომ პრინციპულად შეუძლებელია პირველადი ყოფილი მოთხოვნილებების დამფარავი მინიმალური სარჩოს დადგენა განქორწინების შემდეგ.⁵⁴ თუ ქორწინების დროს ოჯახური მდგომარეობა იყო იმგვარი, რომ ამ აუცილებელი მოთხოვნილებების დაფარვა გარანტირებული არ იყო, ეს ძალაში რჩება მისი დამთავრების შემდეგაც.

2. ქორწინების დროს არსებული „ოჯახური მდგომარეობა“

როგორც ზემოთ აღინიშნა, ის, თუ რა განეკუთვნება ქორწინების პერიოდში არსებულ ოჯახურ მდგომარეობას, განისაზღვრება ობიექტური შედარებით მსგავს სოციალურ პირობებში მყოფ სხვა ოჯახებთან. უმნიშვნელოა ოჯახური თანაცხოვრების მონყობის ინდივიდუალური წესი, არამედ გადამწყვეტია, თუ როგორ ფუნქციონირებს მსგავსი შემოსავლის სტრუქტურს მქონე სხვა, საშუალო სტატისტიკური ოჯახი და როგორ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს.⁵⁵ განსაკუთრებით მომჭირნე ან განსაკუთრებით მფლანგველი ცხოვრების სტილი ყურადღების მიღმა უნდა დარჩეს.

ქორწინების დროს არსებული „ოჯახური მდგომარეობა“ განისაზღვრება ერთი მხრივ შემოსავლებით და არსებული ქონებით, რამდენადაც ის უდევს საფუძვლად სარჩოს გამოთვლას (იხ. ზემოთ) და მეორე მხრივ, გაღებული დანახარჯებით. გამომდინარე იქიდან, რომ სარჩოს განსაზღვრის გადანყვეტილება ნარმოადგენს პროექციას იმ ურთიერთობებისა, რომლებიც გადამწყვეტი იყო ქორწინების განმავლობაში, არასაკმარისი მის მტკიცება, რომ ეს ქონებრივი მდგომარეობა იარსებებდა ოდესმე, დროის აბსტრაქტულ მომენტში. ამის საპირისპიროდ აუცილებელია, რომ მათ ოჯახური თანაცხოვრება მნიშვნელოვანწილად განეპირობებინათ.⁵⁶

შემოსავალი, რომლითაც იზომება ქორწინების განმავლობაში არსებული მატერიალური მდგომარეობა, არის ის მთლიანი შემოსავალი, რომელიც მეუღლეების განკარგულებაში ოჯახური თანაცხოვრების პერიოდში მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.⁵⁷ თუ ამ შემოსავალს მხოლოდ ერთი მეუღლე გამოიმუშავებს და მეორე მეუღლე ოჯახური მეურვეობის გაძლოლითაა დაკავებული, მაშინ შემოსავლის გამოსათვლელად გაითვალისწინება არა მხოლოდ გამომმუშავებელი მეუღლის ხელფასი, არამედ ასევე ამ „სახლის საქმეების“ გაძლოლის ღირებულება მეორე მეუღლის მხრიდან, რადგან მასაც შეაქვს წვლილი ცხოვრების არსებული სტანდარტის შენარჩუნებაში. სამეურნეო საქმეების შესრულების ღირებულების

⁵³ OLG Hamm FamRZ 90, 886.

⁵⁴ BGHZ 109, 72; BGH NJW 1995, 963.

⁵⁵ Brödermüller, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1578 Rn. 7; BGH NJW 1983, 1733; BGH FamRZ 1997, 281; BGH FamRZ 07, 1532.

⁵⁶ BGHZ 89, 110; BGH FamRZ 1985, 161.

⁵⁷ BGH NJW 1982, 2439; BGH NJW 1983, 683.

სირთულეებს გერმანული სასამართლო თავიდან ირიდებს იმგვარად, რომ მისი ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, რასაც იღებს ამ მეურნეობის გამძლოლი მეუღლე შემოსავლის სახით ქორწინების შემდეგ წამოწყებული საქმიანობით.⁵⁸ თუ რა წყაროდან ხდება შემოსავლის მიღება, ზოგადად, უმნიშვნელოა (ქონების შემოსავალი, შემოსავალი საქმიანობიდან, შემოსავალი დაზღვევიდან⁵⁹). გამოთვლისას არ გაითვალისწინება შემოსავალი იმ საქმიანობიდან, რომლის წამოწყებაც მეუღლეებს არ შეიძლება მოეთხოვოთ (მაგალითად, ტაქსის მძღოლობა სრულგანაკვეთიანი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, ღამის საათებში⁶⁰), რადგან ისინი ოჯახურ მატერიალურ მდგომარეობის განმაპირობებელი ვერ იქნებიან ხანგრძლივი დროის განმავლობაში, გამომდინარე იქიდან, რომ ის ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს.⁶¹

ასევე ფიქტიური შემოსავალი (იხ. ზემოთ) ვერ იქნება გადამწყვეტი ოჯახური მდგომარეობის განსაზღვრად⁶². განსხვავებით მატერიალური საჭიროებისაგან (იხ. ზემოთ) მატერიალური მდგომარეობის გამოსათვლელად გადამწყვეტია რეალური მდგომარეობა და არა ის, თუ რა იარსებებდა მეუღლეების ჯეროვნად რომ მოქცეულიყვნენ.

მოგების მომტანი საქმიანობიდან შემოსავალს უთანაბრდება სოციალური დახმარებების სახით მიღებული, რომელიც იკავებს მის ადგილს, ასევე მიზნობრივად გადახდილი სოციალური დახმარების თანხა (მაგალითად, ბინის ქირავნობის თანხა). ამის საპირისპიროდ, კერძო მესამე პირების შემოწირულობები უმნიშვნელოა და არ გაითვალისწინება სარჩოს გამოთვლისას, თუ ისინი მხოლოდ შემოწირულობის მი-

მღებს ხმარდება. ამგვარ შემოწირულობებს განკუთვნიება ასევე უპროცენტო სესხი.⁶³

3. მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გამოთვლის მომენტი და მისი ცვლილება, სკ-ის 1185 II

სკ-ის 1185 II მუხლის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლისას თითოეულ მეუღლეს აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს სარჩოს ოდენობის შეცვლის შესახებ.

განქორწინების შემდეგ სარჩოს დანიშნისას გასათვალისწინებელი ოჯახური მდგომარეობის დროით მომენტს წარმოადგენს განქორწინების მომენტი (კანონიერ ძალაში შესვლა),⁶⁴ მაშინაც კი, როდესაც მას წინ უძღოდა განცალკევებით ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი.⁶⁵

დროის ერთ კონკრეტულ მომენტზე მიბმა არადაამაკმაყოფილებელია იმდენად, რამდენადაც ოჯახური მდგომარეობის განმაპირობებელი შეიძლება იყოს ასევე სამომავლო ფაქტორები, რასაც ანგარიშს უწევს სკ-ის 1185 II მუხლი. ასევე გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა ითვალისწინებს იმ სამომავლო გარემოებებს, რომელთა დადგომაც სავარაუდო იყო განქორწინების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის და განაპირობებდა ოჯახურ მდგომარეობას.⁶⁶ შეცვლილ ოჯახურ მდგომარეობას ნებისმიერ შემთხვევაში განეკუთვნიება ბავშვის რჩენის ხარჯების გაუქმება, რადგან ბავშვების გაზრდა და დამოუკიდებლად ქცევა წარმოადგენს ბუნებრივ მოვლენას, რომელსაც ყველა მშობელი იღებს სათვალავში. იგივე წესი მოქმედებს გარკვეული ასაკის მიღწევასთან ერთად მომვლელის საჭიროების შემთხვევაში, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ ეს უკვე გაყრის მომენტისათვის იყო პროგნოზი-

⁵⁸ BGH FamRZ 2004, 1173; BGH FamRZ 2003, 434; BGH NJW 2001, 2254.

⁵⁹ OLG Hamm NJWE-FER 1998, 195.

⁶⁰ შდრ. მაგალითისათვის OLG Schleswig FamRZ 1996, 217; OLG Stuttgart FamRZ 1995, 1487: ბავშვის აღზრდის გვერდით ნაკისრი დროებითი სამუშაო ან სხვა სრულგანაკვეთიანი სამუშაოს, რომელიც სრულად გაითვალისწინება შემოსავლის გამოთვლისას, გვერდით წამოწყებული დროებითი საქმიანობა.

⁶¹ BGH FamRZ 1983, 146; OLG München FamRZ 1996, 169.

⁶² Brüdermüller, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1578, Rn. 6; BGH NJW 97, 735.

⁶³ BGH FamRZ 2005, 967.

⁶⁴ Brüdermüller, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1578, Rn. 13 ff.; BGHZ 89, 108; BGH NJW 1982, 1869; BGH NJW 1987, 1555; OLG Hamm NJWE-FER 1998, 6; დავის გარეშე განქორწინების შემთხვევაში – განქორწინების რეგისტრაციის მომენტი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის 55-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.

⁶⁵ BGH NJW 1981, 753

⁶⁶ BGH NJW 87, 1555; 88, 2034; 90, 3020

რებადი.⁶⁷ მატერიალური მდგომარეობის შეცვლის განმაპირობებელია ასევე კარიერული წინსვლა ან სამეწარმეო საქმიანობის გაფართოება,⁶⁸ მაშინაც კი, როდესაც ის განქორწინების შემდეგ ხდება. წინაპირობაა მხოლოდ ის, რომ ეს წინსვლა შეესატყვისებოდეს გარემოებათა პროგნოზირებად განვითარებას.⁶⁹

გასათვალისწინებელი ცვლილების ზღვარს წარმოადგენს იმგვარი გარემოებით განპირობებული ცვლილება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქორწინებასთან და არა არის მისით განპირობებული. ასეთ გარემოებებს განეკუთვნება მოულოდნელი დანინაურება.⁷⁰

⁶⁷ *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1578, Rn. 20.

⁶⁸ OLG Karlsruhe FamRZ 1988, 507.

⁶⁹ BGH NJW 1986, 720; OLG Nürnberg FamRZ 1985, 393.

⁷⁰ OLG Hamm FamRZ 2008, 1446.



უმაღლესი ფედერალური სასამართლო

ხალხის სახელით

დაუსწრებელი გადაწყვეტილება*

II ZR 176/10

გამოცხადდა:

2013 წლის 14 მაისს

ვონდრასეკი

იურიდიული მუშაკი

ადმინისტრაციის დოკუმენტებზე

პასუხისმგებელი

პირი სამართლებრივ დავებში

საცნობარო გამოცემა: დიახ

უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული სამოქალაქო საქმეებზე: არა
უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მართლმსაჯულება: დიახ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ კანონის 60-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი, № 4, 70-ე და 72-ე პარაგრაფები

პრინციპი, რომ შპს-ისთვის მიყენებული ზიანის შედეგად პარტნიორის წილის ღირებულების (არაპირდაპირ ანუ რეფლექსურად) შემცირების გამო მას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია არა პირადად თავის სასარგებლოდ, არამედ საზოგადოების სასარგებლოდ შესრულების მოთხოვნის გზით, მოქმედებს მაშინაც, როდესაც საზოგადოების ლიკვიდაცია გაკოტრების საქმის წარმოებით ხდება (უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2004 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება – II ZR 14/03, ZIP 2005, 320, დანართი).

უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება - II ZR 176/10 – KG KG LG Berlin

უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა II სენატმა 2013 წლის 14 მაისს მოსამართლე პროფ. დოქ. ბერგმანის თავმჯდომარეობითა და მოსამართლეების დოქ. შტრონის, დოქ. რაიხარის, დოქ. დრემერისა და ბორის მონაწილეობით ზეპირი განხილვით

დაადგინა შემდეგი:

* გადაწყვეტილება გერმანულიდან თარგმნა დავით მაისურაძემ.

1-ლი და მე-3 მოპასუხეების საჩივრების საფუძველზე უქმდება ბერლინის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 23-ე სენატის 2010 წლის 05 აგვისტოს გადაწყვეტილება და იცვლება ბერლინის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 36-ე პალატის 2009 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სარჩელი არ კმაყოფილდება.

პირველ ინსტანციაში სამართლებრივი დავის ხარჯები შემდეგნაირად ნაწილდება: სასამართლო ხარჯების 35 % ეკისრება 1-ელ მოსარჩელეს, 57 % – მე-3 მოსარჩელეს, ხოლო 8 % – 1-ელ მოპასუხეს. მე-3 მოსარჩელის არასასამართლო ხარჯების 12 %-ს იხდის 1-ლი მოპასუხე. 1-ლი მოპასუხის სასამართლო ხარჯების 32 % ეკისრება 1-ელ მოსარჩელეს, 58 % კი – მე-3 მოსარჩელეს. მე-2 მოპასუხის არასასამართლო ხარჯების 36 %-ს იხდის 1-ლი მოსარჩელე, 64 %-ს – მე-3 მოსარჩელე. მე-3 მოპასუხის არასასამართლო ხარჯების 38 % ეკისრება 1-ელ მოსარჩელეს, 62 % კი მე-3 მოსარჩელეს. დარჩენილ არასასამართლო ხარჯებს მხარეები თავად იხდიან.

აპელაციის ხარჯები ეკისრება 1-ელ მოსარჩელეს.

კანონის ძალით

ფაქტობრივი გარემოებები:

- 1 თავდაპირველი მე-2 მოსარჩელე (შემდგომში: მოვალე) იყო შპს, რომელიც სამღებრო სანარმოს წარმოადგენდა. 1-ლი მოსარჩელე (შემდგომში: მოსარჩელე) იყო მოვალის პარტნიორი 53 %-იანი წილით საზოგადოებაში; 1-ლი მოპასუხე ფლობდა მოვალე შპს-ის წილების 47 %-ს და, ამასთანავე, იყო მისი დირექტორი. მის ფუნქციებში ასევე შედიოდა მოვალის მნიშვნელოვან კლიენტებთან კონტაქტის შენარჩუნება. 1-ლი მოპასუხის ვაჟი, მე-2 მოპასუხე, ასევე დასაქმებული იყო მოვალესთან.
- 2 მე-2 მოპასუხემ 2000 წლის 21 დეკემბერს დააფუძნა მოვალის კონკურენტი სანარმო, რომელიც მე-3 მოპასუხეს წარმოადგენს, და 2000 წლის 31 დეკემბერს გავიდა მოვალე შპს-დან. ასევე 2000 წლის 21 დეკემბერს 1-ლმა მოპასუხემ მოსარჩელეს აცნობა, რომ იგი მოვალესთან უვადოდ წყვეტდა მის საქმიანობას დირექტორის პოზიციაზე 2000 წლის 31 დეკემბრისათვის. ამავდროულად, მოვალესთან დასაქმებულმა თორმეტივე მღებავმა მასთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა 2000 წლის 31 დეკემბრიდან და 2001 წლის 1 იანვრიდან საქმიანობა განაგრძო მე-3 მოპასუხესთან. მოვალესთან წილობრივი მონაწილეობა 1-ლმა მოპასუხემ შეწყვიტა 2001 წლის 31 დეკემბერს. 2002 წლის 10 დეკემბრიდან იგი, ხანგრძლივი შრომისუუნარობის შემდეგ, მე-3 მოპასუხესთან საქმიანობს სანარმოს ტექნიკურ ხელმძღვანელად.
- 3 მე-3 მოპასუხე 2001 წლის დასაწყისში ბიზნეს-საქმიანობის წამოწყების შემდეგ იმ კლიენტებსაც ემსახურებოდა, რომლებიც ამ დრომდე მოვალის კლიენტებს წარმოადგენდნენ; კერძოდ, მე-3 მოპასუხე აგრძელებდა მოვალის თანამშრომლების მიერ 2000 წლის დეკემბერში მიღებული შეკვეთების შესრულებას.
- 4 მოსარჩელემ და მოვალემ თავდაპირველად მოითხოვეს იმის დადასტურება, რომ მოპასუხეები სოლიდარულად იყვნენ პასუხისმგებელნი, მათთვის ანაზღაურებინათ მიმდინარე კომერციული საქმიანობის თავის თავზე აღებით გამოწვეული ზიანი. გარდა ამისა, მე-3 მოპასუხისგან ისინი ითხოვდნენ ინფორმაციას, რათა შეძლებოდათ თავიანთი მოთხოვნის ოდენო-

ბის ციფრებში გამოსახვა. მოვალის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ მე-3 მოსარჩელე (შემდგომში: გაკოტრების მმართველი) მოპასუხეებს სასამართლოს მიღმა შეუთანხმდა, რომ თუ ისინი სამართლებრივი დავის მოსაგვარებლად მოვალეს გადაუხდიდნენ 20.000 ევროს, მოვალე შეტანილ სარჩელს უკან გამოიხმობდა. მორიგების შეთანხმების მე-7 პარაგრაფის თანახმად, ამ შეთანხმების დადებისა და მასში განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შემდეგ მოვალესა და მოპასუხეებს შორის არსებული ყველა სამართლებრივი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება. 1-ლმა მოპასუხემაც მორიგების შეთანხმების დადების შემდეგ გამოიხმო მოვალის წინააღმდეგ შეტანილი შეგებებული სარჩელი მოთხოვნის სავარაუდო ოდენობის ციფრებში გამოხატვასთან დაკავშირებით.

- 5 სამხარეო სასამართლომ მე-3 მოპასუხეს ინფორმაციისა და ანგარიშების წარდგენა დაავალა და დაადგინა, რომ 1-ლმა მოპასუხემ მოსარჩელეს ზიანი უნდა აუნაზღაუროს. მე-2 და მე-3 მოპასუხეების მიერ ზიანის ანაზღაურების ნაწილში კი სამხარეო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.
- 6 1-ლმა და მე-3 მოპასუხეებმა სააპელაციო საჩივარი შეიტანეს. სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილება. სენატის მიერ დაშვებული კასაციის შედეგად, 1-ლი და მე-2 მოპასუხე (შემდგომში: მოპასუხეები) აგრძელებენ დავას და ითხოვენ სარჩელის დაუკმაყოფილებლად დატოვებას.

გადაწყვეტილების საფუძვლები:

- 7 ვინაიდან მოსარჩელე, მიუხედავად დადგენილი წესით მოწვევისა, არ გამოცხადებულა საკასაციო განხილვაზე, მოპასუხის კასაციაზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას დაუსწრებლად, თუმცა გადაწყვეტილება შინაარსობრივად არა გამოუცხადებლობას, არამედ განაცხადის საგნობრივ შემონმებას ეფუძნება (უმალესი ფედერალური სასამართლო, 1962 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება – V ZR 110/60, BGHZ 37, 79, 81).
- 8 მოპასუხეების კასაცია წარმატებულია; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებითა და სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით სარჩელი სრულად დაუკმაყოფილებელი რჩება.
- 9 I. სააპელაციო სასამართლომ არსებითად განაცხადა შემდეგი: მოსარჩელე ითხოვს სასამართლოსგან იმის დადასტურებას, რომ 1-ლი მოპასუხე ვალდებულია, სამენარმეოსამართლებრივი ერთგულების ვალდებულების დარღვევის გამო მას აუნაზღაუროს ზიანი. სარჩელი მოსალოდნელი ხანდაზმულობის გამო დასაშვები და ასევე დასაბუთებულია. 1-ლმა მოპასუხემ დაარღვია სამენარმეოსამართლებრივი ერთგულების ვალდებულება იმით, რომ მან სასახურიდან წამოსვლით ბიძგი მისცა მოვალის პერსონალის გადასვლას მისი შვილის მიერ დაფუძნებულ კონკურენტ სანარმოში (მე-3 მოპასუხე) და ამით ირიბად ხელი შეუწყო იმასაც, რომ მოვალის კლიენტების შეკვეთები ამიერიდან შეესრულებინა მე-3 მოპასუხეს და შემდგომი შეკვეთებიც მას მიეღო, ნაცვლად მოვალისა.
- 10 ამის შედეგად მოსარჩელეს პირადად მიადგა ქონებრივი ზიანი, რომლის ანაზღაურების მოთხოვნაც მას საკუთარი სახელითა და საკუთარი ანგარიშით შეუძლია. როგორც წესი, შპს-ის

პარტნიორს მისთვის მიყენებული იმ არაპირდაპირი ზიანის კომპენსაციას, რომელიც საზოგადოების ქონების დაზიანების შედეგად მისი, როგორც საზოგადოების წევრის, უფლებების შემცირებაში მდგომარეობს, იმით შეუძლია მიაღწიოს, რომ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი საზოგადოების მიმართ განხორციელებული ანაზღაურებით აღმოიფხვრას. მაგრამ განსაკუთრებული სამენარმეო თუ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების გამო, საზოგადოების პარტნიორს შეუძლია, საკუთარი სახელითა და ინტერესითაც წამოაყენოს მოთხოვნა. განსაკუთრებით კი სხვა პარტნიორთა წინაშე ერთგულების ვალდებულების დარღვევამ შეიძლება დააფუძნოს საზოგადოების პარტნიორის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მართალია, ამგვარი მოთხოვნები, თუკი პარტნიორის ზიანი საზოგადოების ზიანით გადაიფარება, უპირატესად საზოგადოებამ უნდა დააყენოს, მაგრამ თუკი ორივე მათგანის ზიანი ერთმანეთს ვერ გადაფარავს, საზოგადოების პარტნიორს საკუთარი ზიანის ლიკვიდაცია შეუზღუდავად შეუძლია. როგორც მოსარჩელემ სააპელაციო პროცესზე განმარტა, მისი ზიანი მდგომარეობს 2001 წლიდან მოგების წილის დანაკარგში, რომელსაც იგი მიიღებდა, მოვალის სანარმოს რომ 1-ლი მოპასუხის ბრალეული ქმედებით პერსონალი და კლიენტები არ დაეკარგა. მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩელის პირად ზარალს.

- 11 მოვალის გაკოტრების მმართველის მიერ მოპასუხებთან გაფორმებული მორიგების შეთანხმება არ ეხება მოსარჩელის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მორიგების შეთანხმების მხარეები მხოლოდ საკუთარი მოთხოვნების გათანაბრებაზე უნდა შეთანხმებულიყვნენ და ფაქტობრივად შეთანხმდნენ კიდევც.
- 12 ვინაიდან მოსარჩელე თავისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ციფრებში გამოხატავს მე-3 მოპასუხისგან მოთხოვნილი ინფორმაციის გარეშე ვერ შეძლებდა, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფის თანახმად, უნდა დაეკისროს მე-3 მოპასუხეს, რომელსაც შეერაცხება 1-ლი მოპასუხის თანაამსრულებლობით მე-2 მოპასუხის მიერ ჩადენილი აკრძალული ქმედება.
- 13 II. ეს მოსაზრებები მნიშვნელოვანწილად ვერ უძლებს საკასაციო გადასინჯვას. მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურება 2001 წლიდან მოგების წილის დაკარგვასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების სანინააღმდეგოდ, წარმოადგენს მხოლოდ არაპირდაპირ ზიანს („რეფლექსური ზიანი“), რომელიც გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ მოვალის დაზიანებიდან. ამგვარი ზიანის გამო მოსარჩელეს არ შეუძლია ანაზღაურების პირადად მოთხოვნა. საექვო და გაურკვეველია, 1-ლი მოპასუხე აქამდე დადგენილი ფაქტების საფუძველზე საერთოდ არის თუ არა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი.
- 14 1. მოსარჩელის მიერ სააპელაციო პროცესზე გაცხადებული სურვილი, რომ სასამართლომ დაადასტუროს 1-ლი მოპასუხის ვალდებულება პირადად მისი ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისა, მიმართულია ზიანის ანაზღაურების ისეთი მოთხოვნის დადგენისაკენ, რომელიც მოსარჩელეს საკუთარი სახელით და საკუთარი ანგარიშით შეუძლია განახორციელოს. ამით იგი მხოლოდ პირადად მის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას აყენებს, რასაც დაეფუძნა კიდევაც სააპელაციო სასამართლო.
- 15 2. მოსარჩელეს არ გააჩნია პირადად თავისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

- 16** ა) უმაღლესი ფედერალური სასამართლოს უცვლელი პრაქტიკის თანახმად, კაპიტალის მიღების პრინციპი, საზოგადოების ქონების მიზნობრიობა და საზოგადოების ყველა პარტნიორის მიმართ თანაბარი მოპყრობის მცნება, როგორც წესი, გამორიცხავს პარტნიორის მოთხოვნას მისი წილის ღირებულების შემცირების გამო პირადად მისთვის იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც გამოწვეულია საზოგადოებისთვის ზიანის მიყენებით. ამგვარი არაპირდაპირი ზიანის კომპენსაცია მხოლოდ იმით შეიძლება განხორციელდეს, რომ პარტნიორმა ზიანის ანაზღაურება საზოგადოების სასარგებლოდ მოითხოვოს (ფედერალური სასამართლო, 1986 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება 1986 II ZR 140/85, ZIP 1987, 29, 32 f.; 1987 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება II ZR 173/86, ZIP 1987, 1316, 1319; 1988 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება 1988 II ZR 243/87, BGHZ 105, 121, 130 f.; 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება 2013 III ZR 260/11, ZIP 2013, 781 Rn. 35 იგეგმება გამოქვეყნება ფედერალური სასამართლოს სამოქალაქო საქმეების გადაწყვეტილებების კრებულში (BGHZ); ასევე იხილეთ 1987 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება II ZR 158/86, ZIP 1987, 444, 446). პრინციპი, რომ პარტნიორების, საზოგადოებისა და მისი კრედიტორების ინტერესების დასაცავად სარჩელით შეიძლება მოთხოვნილ იქნას ანაზღაურება მხოლოდ საზოგადოების სასარგებლოდ, მოქმედებს მაშინაც, როდესაც საზოგადოების ლიკვიდაცია გაკოტრების საქმის წარმოებით ხდება (შპს-ის შესახებ კანონის 60-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწ. № 4) და ვალდებულებების შესრულების შემდეგ ჯერ კიდევ დარჩენილი ქონება უნდა გადანაწილდეს საზოგადოების პარტნიორებზე, შპს-ის შესახებ კანონის 70-ე და 72-ე პარაგრაფები (შდრ. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2004 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება II ZR 14/03, ZIP 2005, 320, 321 f.).
- 17** ბ) 2001 წლიდან მოგების წილების დანაკარგი, რომელსაც მოსარჩელე, მისი მტკიცებით, მიიღებდა, მოვალის საწარმო რომ არ დასუსტებულიყო, წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩელის პირად ზიანს. უფრო მეტად აქ სახეზეა საზოგადოების პარტნიორის მიმართ ტიპურად არაპირდაპირ დამდგარი რეფლექსური ზიანი, როდესაც დამაზიანებელი მოვლენა საზოგადოების მოგებას ამცირებს. სააპელაციო სასამართლოს შეხედულების საწინააღმდეგოდ, საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი ვერ იქნება უარყოფილი იმ დასაბუთებით, რომ ჰიპოთეტურად საზოგადოებას ზიანი საერთოდ არ მისდგომია, ვინაიდან მოგების განაწილება პარტნიორთა უწინდელი შეთანხმებისა და ქმედებების გათვალისწინებით დიდი ალბათობით მოსალოდნელი იქნებოდა და, აქედან გამომდინარე, თუ საზოგადოების ქონება საქმიანობის შეჩერების შედეგად საერთოდ არ გაიზრდებოდა, იგი არ აღმოჩნდებოდა იმაზე ცუდ მდგომარეობაში, ვიდრე ქონების დაგროვებისა და შემდეგ გადანაწილების შემთხვევაში.
- 18** გ) ამგვარი არაპირდაპირი ზიანის გამო, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ზიანი გამოწვეულია კორპორაციული ერთეულების ვალდებულების დარღვევით, საზოგადოების პარტნიორს ზიანის მიმყენებლისგან მხოლოდ დაზარალებული საზოგადოების სასარგებლოდ გადახდა შეუძლია მოითხოვოს. სხვა არაფერზე მეტყველებს უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ის გადაწყვეტილებებიც, რომლებსაც სააპელაციო სასამართლო მოიხმობს იმ წინაპირობათა განსასაზღვრად, რომელთა დროსაც საზოგადოების პარტნიორს სხვა პარტნიორისაგან *actio pro socio*-ს გზით საკუთარი სახელითა და საკუთარი ინტერესით შეუძლია მოთხოვნის დაყენება (შდრ. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 1990 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება – II ZR 125/89, WM 1990, 1240, 1241; 1982 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება – II ZR 199/81, ZIP 1982, 1203; 2004 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება – II ZR 50/02, ZIP 2004, 804, 805, პუნქტი 2.b; ასევე უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 1991 წლის 04 თებერვლის

გადაწყვეტილება 1991 II ZR 246/89, ZIP 1991, 582; 1998 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება II ZR 303/96, ZIP 1998, 780, 781; 2004 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება 2004 II ZR 14/03, ZIP 2005, 320, 321). კერძოდ, აქედან არ გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნა პირადად მის მიმართ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დასაბუთებისათვის მოყვანილ 1975 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებაში (II ZR 23/74, BGHZ 65, 15) სენატმა ჩათვალა, რომ ორკაციანი შპს-ის უმცირესი წილის მქონე მოსარჩელე პარტნიორს უდიდესი წილის მქონე მოპასუხე პარტნიორისაგან ამ უკანასკნელის მიერ იმ სხვა საზოგადოებების ხარჯზე დადებული არახელსაყრელი გარიგებების გამო, რომელთა მოწილე მოსარჩელე პარტნიორიც იყო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ საზოგადოებების სასარგებლოდ შეეძლო.

- 19** მოცემულ შემთხვევაში, სხვაგვარი გადაწყვეტა ვერც იმით გამართლდება, რომ გაკოტრების მმართველსა და მოპასუხეს შორის დადებული მორიგების შეთანხმებით საზოგადოების არც ერთი მოთხოვნა აღარ არსებობს და, ამდენად, მოსარჩელე მოთხოვნას *actio pro socio*-ს გზით მათ ველარ დააყენებს. გაკოტრების მმართველს მორიგების დროს ვალდებულების დარღვევითაც რომ ემოქმედა და ამით ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი გამხდარიყო, მოსარჩელე ქონებრივად მაინც არაპირდაპირ დაზარალდებოდა საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის შედეგად. ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო, გაკოტრების შესახებ კანონის 60-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურება მხოლოდ გაკოტრების მასაში გადახდის განხორციელებით ან, შესაბამის შემთხვევაში, საზოგადოების სასარგებლოდ გადახდის განხორციელებით იქნებოდა შეიძლება.
- 20** 3. ვინაიდან მოსარჩელეს არ გააჩნია მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე 1-ლი მოპასუხის მიმართ, მე-3 მოპასუხეც თავისთავად არ იქნება ვალდებული, მას მიაწოდოს ინფორმაცია და ანგარიში მოთხოვნის ციფრებში გამოსახვის მიზნით.

ბერგმანი

შტრონი

რაიხარტი

დრეშერი

ბორნი

წინა ინსტანციები:

ბერლინის სამხარეო სასამართლო, გადაწყვეტილება 02.09.2009 - 36 O 288/04 -

ბერლინის უმაღლესი სამხარეო სასამართლო, გადაწყვეტილება 05.08.2010 - 23 U 227/09

სასამართლო პრაქტიკა

► 1 – 10/2020

მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. დაუშვებელია სკ-ის 1006-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემოსაზღვრა ვალდებული პირის მარჩენალთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადით.

2. პირს, რომლის წინააღმდეგაც წარდგენილია სკ-ის 1006-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, პასუხისმგებლობის გამოსარიცხად ვალდებულია ამტკიცოს, რომ სარჩოს მომთხოვნს აქვს შრომის უნარი და პროფესია.

3. სკ-ის 1006-ე მუხლით ვალდებულ პირს არ აქვს გარდაცვლილის მეუღლისთვის სარჩოს გადახდაზე უარის თქმის უფლება შვილების სრულწლოვანების მიღწევის გამო. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

სკ-ის 1006, 1182-ე მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინება № ას-889-839-2015

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა გარდაცვლილი მეუღლის დამსაქმებლის წინააღმდეგ მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული ანაზღაურების მოთხოვნით, რომელსაც უნდა მოეცვა მისი, როგორც შრომისუუნარო მეუღლის, და არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ გადასახდელი სარჩო. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ (მოთხოვნისთან შედარებით

ნაკლები ოდენობით) დააკმაყოფილა, მიუთითა რა არასრულწლოვანი შვილების გაზრდისთვის აუცილებელ დანახარჯებზე, რომელთა გადახდაც მარჩენალის მეუღლეს მოუწევდა. გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა, რომელმაც მიუთითა, რომ გარდაცვლილთან დადებული შრომითი ხელშეკრულება მხოლოდ სამთვიანი იყო და ის ანაზღაურებას მხოლოდ ამ ვადაში შესრულებული სამუშაოსთვის მიიღებდა. სააპელაციო სასამართლომ უარყო შრომითი ურთიერთობის ვადის მნიშვნელობა და საჩივარი არ დააკმაყოფილა. განჩინება მოპასუხემ გაასაჩივრა. მისი დასაბუთებით, თუ მარჩენალის მეუღლის სასარგებლოდ რჩენის ვალდებულება ეყრდნობოდა არასრულწლოვანი შვილების აღზრდის სირთულეებს, დაუშვებელი იყო სარჩოს გადახდის უვადო ვალდებულების დადგენა და ის, სულ მცირე, შვილების სრულწლოვანების მომენტიც უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული. უზენაესმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო და განმარტა, რომ მარჩენალის მეუღლის შრომისუუნარიანობა მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა. გარდა ამისა, მისი პოზიციით, სკ-ის 1006-ე მუხლით ვალდებულ პირს აქვს უფლება, უარი თქვას მარჩენალის მეუღლის სასარგებლოდ სარჩოს გადახდაზე არა შვილების სრულწლოვანების, არამედ მისი დასაქმების ან ქორწინების მომენტიდან.

III. კომენტარი

სასამართლომ მართებულად უარყო მოპასუხის არგუმენტი შრომითი ურთიერთობის ვადის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობას წარმოადგენს ის თანხები, რომლებიც გარდაცვლილს უნდა ეხადა მთელი ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სახეზე იქნებოდა სკ-ის 1182 ა) მუხლის წინაპირობები (სკ-ის 1006 | 2 მუხლი). შრომითი ურთიერთობის ვადის ამოწურვის შემდეგ მარჩენალს სარჩოს გადახდა ამ გარემოების მიუხედავად მოუწევდა.

არასწორია მტკიცების ტვირთის სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განაწილება მარჩენალის მეუღლის შრომისუუნარობის დადასტურებასთან დაკავშირებით. სკ-ის 1006-ე მუხლით განსაზღვრული შედეგის დადგომისთვის შესრულებული უნდა ყოფილიყო სკ-ის 1182 ა) მუხლის წინაპირობები, რომლებზეც, როგორც ფაქტობრივ გარემოებებზე, სწორედ მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და მასვე დაემტკიცებინა (სკ-ის 102 I მუხლი). მეუღლესთან სკ-ის 1182 ა) მუხლის საფუძველზე დავისას სარჩოს მომთხოვნს მოუწევდა საკუთარი შრომისუუნარობისა და მატერიალური სიდუხჭირის დადასტურება. გაუგებარია, რატომაა მისი ინტერესი უფრო მეტად დასაცავი, როდესაც ეს მოთხოვნა უბრალოდ ადრესატს იცვლის და მარჩენალის გარდაცვალებაზე პასუხისმგებელ პირს მიემართება.

სკ-ის 1218 II მუხლი სრულწლოვან შრომისუუნარიან შვილებს აკისრებს შრომისუუნარო მშობლის რჩენის ვალდებულებას, რისი დანიშნულებაც სწორედ იმგვარი შემთხვევების მონესრიგებაა, როცა მშობელი სარჩოს მეუღლისგან სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ იღებს. ერთი შეხედვით, სკ-ის 1006-ე მუხლი საგამონაკლისოდ აფუძნებს პირის ვალდებულებას იმ შემადგენლობისთვის, როდესაც მოთხოვნის მფლობელის სამართლებრივი სიკეთე ხელყოფილი არაა. ამ ნორმის გარეშე მარჩენალის მეუღლის ქონებრივი დანაკლისი მართლსაწინააღმდეგო არ იქნებოდა.¹ ამიტომ სამართალპოლიტიკურად გამართლებული უნდა იყოს საგამონაკლისოდ წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამორიცხვა მაშინ, როდესაც პირის რჩენის ვალდებულება უკვე სხვას ევალება. ამ გაგებით სკ-ის 1218 II მუხლის მიზნად შეიძლება ჩაითვალოს რჩენის ვალდებულების სრულწლოვან შრომისუუნარიან შვილებზე დაკისრება მაშინაც კი, როდესაც შრომისუუნარო მშობელი სარჩოს ვერ იღებს სხვისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების გამო. თუმცა ამ არგუმენტაციითა და სკ-ის 1218 II მუხლის მოშველიებით სკ-ის 1006-ე მუხლით ანაზღაურე-

ბადი სარჩოს შვილების სრულწლოვანების მომენტით შემოსაზღვრა მარჩენალის გარდაცვალებისთვის პასუხისმგებელი პირის პრივილეგია იქნებოდა. კანონმდებლის სკ-ის 1006 I 2 მუხლში გამოხატული პოზიცია ამგვარი გადაწყვეტის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

ნინო ქავშაია

► 2 - 10/2020

პირობით დადებული გარიგება

ბათილია ხელშეკრულების პირობა, რომლითაც მხარე ვალდებულებას კისრულობს განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობას საჭიროებს.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სკ-ის 91-ე მუხლი

უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება № ას-1154-1109-2016

I. ფაქტობრივი გარემოებები

მხარეთა შორის დაიდო უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება. დამქირავებელმა სრულად არ გადაიხადა დათქმული ქირა, რის გამოც მესაკუთრემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ქირის დავალიანების ანაზღაურება. თავის მხრივ, მოპასუხე დამქირავებელმა შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელის წინააღმდეგ და მოითხოვა უკვე გადახდილი ქირის და სარემონტო სამუშაოებზე გაწეული თანხის დაბრუნება. მოპასუხე მიუთითებდა ფართის ნაკლზე, მათ შორის კი იმაზე, რომ დამქირავებელმა ვერ უზრუნველყო სარეკლამო ბანერის განსათავსებლად აუცილებელი ნებართვის მოპოვება, რაც ხელშეკრულების თანახმად დამქირავებლის ვალდებულებას წარმოადგენდა. პირველი ინსტანციის სასამარ-

¹ რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, 199.

რთლომ გამქირავებლის მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა; ხოლო, დამქირავებლის მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ, მხოლოდ, სარემონტო ხარჯების ნაწილში და უარი თქვა გადახდილი ქირის დაბრუნებაზე. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ შეცვალა მიღებული გადაწვეტილება და მოპასუხეს მთლიანად უარი უთხრა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა სამუშაოების საჭიროება მესაკუთრისათვის, არ იყო დადასტურებული სამუშაოების შესაბამისობა მესაკუთრის ინტერესსა და ნებასთან.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ არსებითად იმსჯელა საკასაციო საჩივარზე, თუმცა არ დააკმაყოფილა იგი. საყურადღებოა სასამართლოს პოზიცია გარე რეკლამის განთავსების ნებართვის კუთხით. მოპასუხე აპელირებდა იმაზე, რომ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოპოვების ვალდებულება ხელშეკრულებით იკისრა გამქირავებელმა. აღნიშნულთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ გარე რეკლამის განთავსების ნებართვას გასცემს ადმინისტრაციული ორგანო (მერიის არქიტექტურის სამსახური). ასევე, აღნიშნული რეკლამის განთავსებლად საჭიროა გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური ნებართვის მქონე პირის თანხმობა. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების ამგვარი პირობა ბათილია სკ-ის 91-ე მუხლის შესაბამისად („ბათილია პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება“), რამდენადაც მისი შესრულება შეუძლებელია მხარისათვის. სასამართლომ არ იმსჯელა იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ეს გარიგება პირობაზე დამოკიდებული.

III. კომენტარი

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მხარე ხელშეკრულებით კისრულობს რაიმე ისეთი ვალდებულების შესრულებას, რომელიც დამოკიდებულია მესამე პირის ნებაზე. მაგალითად, არის შემთხვევები, როცა ამხანაგობის წევრი ვალდებულებად იღებს გაზრდილი სამშენებლო კოეფიციენტის მოპოვებას (№2/17577-15, №2ბ/2793-19) ან მხარე კისრულობს სხვა ტიპის სარეგისტრაციო წარმოების წარმატებით დასრულებას. უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების შემდეგ მხარეებს ორი კუთხით მოუწევთ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა: (ა) შესაძლოა, მხარეები ფიქრობენ, რომ დათქმა არის ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა, რომელიც ხელშეკრულებას არ აქცევს პირობაზე დამოკიდებულ გარიგებად. განსხვავება მნიშვნელოვანია, ვინაიდან უკანონო პირობაზე დამოკიდებული გარიგება მთლიანად ბათილია (სკ-ის 91-ე მუხლი), ხოლო ხელშეკრულება მისი ბათილი პირობის გარეშეც შეიძლება არსებობდეს (სკ-ის 62-ე მუხლი); (ბ) მხარეები ყველა ხელშეკრულებაში იღებენ რაიმე ისეთ ვალდებულებას, რომლის შესრულებაც სრულად მათზე დამოკიდებული არ არის და მოითხოვს მესამე პირთა ჩართულობას. მაგალითად, გამყიდველი მყიდველს პირდება, რომ გაზაფხულზე მოიპოვებს თევზჭერის ლიცენზიას და მიანოდებს მყიდველს შეთანხმებული რაოდენობის თევზს. ამგვარი შეთანხმებები პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული. უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებით, ამ ტიპის ხელშეკრულებების ნამდვილობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

გონა ოყრეშიძე

▶ 3 - 10/2020

ამკარა წარმომადგენლობა გარიგებაში (apparent authority)

თუკი კომპანია კლიენტთან ურთიერთობას ამყარებს მესამე პირის მეშვეობით, მაშინ დადებული გარიგების მხარე ხდება კომპანია, თუკი მისმა მოქმედებებმა კლიენტს კეთილსინდისიერად შეუქმნა ამგვარი მოლოდინი, მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირი არც კომპანიის თანამშრომელია და მასზე არც სპეციალური მინდობილობაა გაცემული.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სკ-ის 104 II მუხლი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 ივლისის განჩინება № ას-1145-1065-2017

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ საკუთარ სახლში ჩაატარა გადახურვის სამუშაოები, რაშიც მოპასუხეს გადაუხადა შესაბამისი ანაზღაურება. თუმცა, გარკვეული დროის გასვლის შემდგომ აღმოჩნდა, რომ სამუშაოები ნაკლოვანი იყო, რამდენადაც გადახურვაში მაინც აღწევდა ატმოსფერული ნალექი (წვიმა). მოსარჩელემ მოპასუხისგან მოითხოვა ნაკლის აღმოფხვრა, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული. შესაბამისად, მოსარჩელემ თავად გამოასწორა ნაკლი, თავიდან გააკეთა გადახურვა და მოპასუხისგან მოითხოვა ნაკლის გამოსწორებაზე განუელი ხარჯების ანაზღაურება. მოპასუხემ (კომპანია) სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მას მოსარჩელესთან სახელშეკრულებო ურთიერთობა არ დაუმყარებია. მოპასუხის მითითებით სახელშეკრულებო ურთიერთობა დამყარდა მოსარჩელესა და ფიზიკურ პირს შორის, რომელთანაც, მართალია, მოპასუხე თანამშრომლობს (პერიოდულად იღებს მისგან მომსახურებას ტექნიკური ნახაზების შედგენის, სამუშაოების დაგეგმვის და მათი შესრულების სფეროში), თუმცა მის

მაგივრად პასუხს არ აგებს დადებულ ხელშეკრულებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა, რაც ძალაში იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს მიერაც. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ სახელშეკრულებო ურთიერთობა დაამყარა კომპანიასთან (რაც დასტურდებოდა ზედნადებით); ასევე, ფიზიკური პირი, რომელზეც მოპასუხე მიუთითებდა, თანამშრომლობდა მოპასუხე კომპანიასთან და მასალის მოსარჩელისათვის მიწოდება, სწორედ, აღნიშნულმა პირმა განახორციელა მოპასუხისვე კუთვნილი ავტომანქანით. შესაბამისად, ჩაითვალა, რომ მოსარჩელემ მოპასუხესთან სახელშეკრულებო ურთიერთობა დაამყარა მოპასუხის თანამშრომლის/წარმომადგენლის მეშვეობით.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო და ძირითადად დაეთანხმა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა განმარტებებს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დამყარდა. აღნიშნულ ურთიერთობაში მოპასუხე წარმოდგენილი იყო სწორედ იმ ფიზიკური პირით, რომელსაც მოპასუხე ხელშეკრულების მხარედ ასახელებდა (მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა მასზე გაცემული მინდობილობა ან უფლებამოსილების მიმნიჭებელი სხვა დოკუმენტი). უზენაესმა სასამართლომ მიუთითა სკ-ის 104 II მუხლზე და განმარტა, რომ მოპასუხისა და მის მიერ დასახელებული ფიზიკური პირის მოქმედებებმა მოსარჩელეს კეთილსინდისიერად აფიქრებინა, რომ მას ურთიერთობა ჰქონდა კომპანიასთან და არა უშუალოდ სამუშაოების განმახორციელებელ ფიზიკურ პირთან.

გონა ოყრეშიძე

► 4 - 10/2020

სუბნარმომადგენლობა

საკუთარ თავთან გარიგების დადებას უთანაბრდება ისეთი შემთხვევები, როცა კომპანიას გარიგებაში წარმოადგენს პირი კომპანიის დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, ხოლო მეორე მხარეს წარმოადგენს კომპანიის დირექტორი ან მეორე მხარე არის კომპანიის დირექტორის ახლო ნათესავი.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სკ-ის 114-ე მუხლი

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება №2/8248-15

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელე კომპანიამ გაასხვისა თავის საკუთრებაში არსებული ხუთი კომერციული ფართი. საქმეში სადავო იყო ორი გარიგება. ორივე შემთხვევაში ფართების შემძენი იყო მოსარჩელე კომპანიის ყოფილი დირექტორის ოჯახის წევრი (დედა). ერთი ხელშეკრულების დადებასას კომპანიას წარმოადგენდა ფიზიკური პირი (დირექტორის მოადგილე), რომელსაც წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიანიჭა კომპანიის ყოფილმა დირექტორმა, ხოლო შემძენს წარმოადგენდა კომპანიის ყოფილი დირექტორი. მეორე გარიგებაც დაიდო ანალოგიურად, თუმცა იმ განსხვავებით, რომ შემძენი წარმომადგენლის გარეშე, თავად აწერდა ხელს ხელშეკრულებას. კომპანია მიუთითებდა, რომ ყოფილმა დირექტორმა კომპანიის ინტერესების სანინააღმდეგოდ და პარტნიორებთან შეუთანხმებლად, მოჩვენებითად გააფორმა ხელშეკრულება საკუთარი ოჯახის წევრთან და საბაზროზე დაბალ ფასად მიითვისა კომპანიის ქონება. ერთ-ერთ არგუმენტად მოსარჩელე იმასაც ასახელებდა, რომ, ფაქტობრივად, მოპასუხემ საკუთარ თავთან დადო გარიგება, ვინაიდან მოქმედებდა, როგორც მყიდველის წარმო-

მადგენელი და, ასევე, გამყიდველის წარმომადგენელსაც თავად მიანიჭა უფლებამოსილება. შესაბამისად, კომპანია ითხოვდა ფართების ნაყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, მათ ვინდიკაციას და მზაობას გამოთქვამდა თავადაც უკან დაებრუნებინა მიღებული თანხა. მოპასუხემ მოთხოვნა არ ცნო და განმარტა, რომ გარიგება არც მოჩვენებითი ყოფილა და არც საკუთარ თავთან დადებული: შემძენმა მართლაც გადაიხადა ქონების საფასური (რაც უდავო იყო) და, ასევე, გამყიდველს წარმოადგენდა არა მოპასუხე, არამედ სხვა პირი, ხოლო, მეორე გარიგებისას ყოფილი დირექტორი არც მყიდველის წარმომადგენელი ყოფილა.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოპასუხემ (მოსარჩელის კომპანიის ყოფილი დირექტორი) გარიგება დადო საკუთარ თავთან, რისი სპეციალური უფლებამოსილებაც მას არ გააჩნდა. სასამართლომ მიუთითა სკ-ის 114-ე მუხლზე, რომელიც თანხმობის გარეშე კრძალავს წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი პირის სახელით გარიგების დადებას საკუთარ თავთან თავისი ან მესამე პირის სახელით. სადავო შემთხვევაში კომპანიის ყოფილი დირექტორი წარმოადგენდა მყიდველს, თუმცა არც თავად იყო გამყიდველი და არც სადავო გარიგებაში მონაწილეობდა, როგორც გამყიდველის წარმომადგენელი, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი მყიდველის წარმომადგენელიც არ ყოფილა. აღნიშნული შემთხვევა საინტერესოდ შეაფასა თბილისის საქალაქო სასამართლომ და განმარტა, რომ სადავო გარიგების დადებისას ადგილი ქონდა „სუბნარმომადგენლობას“ - გამყიდველს გარიგებაში წარმოადგენდა ყოფილი დირექტორის მოადგილე, თუმცა ყოფილი დირექტორის მიერვე გაცემული მინდობილობის საფუძველზე, რაც, სასამართლოს შეფასებით, ნიშნავდა იმას, რომ, ფაქტობრივად, კომპანიას წარმოადგენდა ყოფილი დირექტორი. შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ ამგვარი შემთხვევა უთანაბრდება გარიგების საკუთარ თავთან დადებას. იგივე შეფასება გააკეთა სასამართლომ მეორე

შემთხვევაშიც, სადაც მყიდველი თავად (ნარმომადგენლის გარეშე) მონაწილეობდა გარიგებაში. სასამართლოს შეფასებით საკუთარ თავთან დადებულ გარიგებებს უტოლდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გარიგებაში მონაწილეობას იღებენ დირექტორის ახლო ნათესავები. შესაბამისად, სასამართლომ ბათილად ცნო სადავო გარიგებები და დააკმაყოფილა მოთხოვნა. ამავე გადაწყვეტილებით, ისე, რომ ეს მოპასუხეს არ მოუთხოვია (არ წარუდგენია შეგებებული სარჩელი), სასამართლომ მოსარჩელეს დაავალა ფართების შესაძენად მიღებული თანხის (დაახლოებით 500,000 აშშ დოლარი და 200,000 ევრო) მოპასუხეთათვის დაბრუნება.

გოჩა ოყრემიძე

► 5 - 10/2020

არქიტექტურული ნაწარმოების შეცვლის უფლება

არქიტექტურული ნაწარმოების ყოველგვარი ცვლილება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ავტორის უფლებების შელახვად, არამედ სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცვლილებების მოცულობისა და ხასიათის მხედველობაში მიღებით, უნდა დაადგინოს, არსებითად შეილახა თუ არა ავტორის არაქონებრივი უფლებები.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის 17 I დ) მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება № ას-277-602-05

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ, საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის თანაავტორმა, მოი-

თხოვა სახლზე განხორციელებული სამუშაოების დემონტაჟი და მისთვის პირვანდელი იერსახის დაბრუნება. კერძოდ, მოსარჩელის განმარტებით მოპასუხემ ბინა შელება ქუჩის მხარეს, ასევე, თეთრად შელება დარაბები და აივანზე დაამონტაჟა გისოსები. მოსარჩელის განმარტებით, ამით დაირღვა სახლის პროექტის მთლიანობა და შეილახა ავტორის ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. მოპასუხემ მოთხოვნა არ ცნო და განმარტა, რომ ცვლილებები (კონკრეტულად საუბარია გისოსების მოწყობაზე) განპირობებული იყო მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობით და მან აღნიშნული ნაბიჯი ქურდობის საფრთხის გასაწინააღმდეგებლად გადადგა. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა მოთხოვნა დააკმაყოფილეს და მოსარჩელეს დაავალეს საცხოვრებელი ბინის თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა: ბინის შელბვა და გისოსების დემონტაჟი.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, გააუქმა მიღებული გადაწყვეტილება და საქმე უკან დააბრუნა ხელახლა განსახილველად. საკასაციო სასამართლომ რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სადავო საკითხებთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, უზენაესმა სასამართლომ არასწორად მიიჩნია ქვედა ინსტანციების მიერ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 17 I დ) მუხლის (ნაწარმოებში ცვლილებების შეტანა) თაობაზე გაკეთებული განმარტებები. სასამართლოს მითითებით, განხორციელებული ქმედება წარმოადგენს თუ არა ცვლილებას კანონის დასახელებული ნორმის საფუძველზე, დავის სპეციფიკის და კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს. ამასთან, სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა ცვლილებების შეტანა არქიტექტურულ პროექტსა და თავად პროექტის საფუძველზე შექმნილ ნაგებობაში. განსახილველ შემთხვევაში ყურადსაღებია, ასევე, საკუთრების უფლებაც და მისი მოქმედების ფარგლები. სასამართლოს განმარტებით, მესაკუთრე უფლებამოსილია ფლო-

ბდეს და სარგებლობდეს ქონებით ისე, რომ არ შელახოს მესამე პირების უფლებები. უზენაესი სასამართლოს განმარტებით ავტორის არაქონებრივი და მესაკუთრის ქონებრივი უფლებები ერთმანეთს უპირისპირდება. შესაბამისად, დასადგენია არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ არქიტექტურულ ნაწარმოებში გარკვეული ცვლილება განხორციელდა, არამედ ასევე ისიც, ცვლილება არის თუ არა იმ მასშტაბისა და ხასიათის, რომ არსებითად შეცვალოს ნაწარმოები და ამით შელახოს არქიტექტორის საავტორო უფლებები.

გონა ოყრეშიძე

► 6 - 10/2020

თვითდახმარების ფარგლები

თვითდახმარებად არ მიიჩნევა კრედიტორის მიერ მოვალის ქონების უნებართვო დაუფლება მაშინ, როცა მოვალე გადახდისუნარიანია და კრედიტორს შეუძლია მოთხოვნის განსახორციელებლად მიმართოს სასამართლოს.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სკ-ის 118-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება № ას-159-867-03

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა საბანკო დაწესებულების წინააღმდეგ და მოითხოვა ბანკის მიერ მოსარჩელის კუთვნილი ანგარიშიდან თანხმობის გარეშე ჩამოჭრილი თანხის ანაზღაურება. კერძოდ, მოპასუხე საბანკო დაწესებულებაში მოსარჩელის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა 700,000 ლარი. აღნიშნული თანხა წარმოადგენდა მოსარჩელესა და მის კონტრაქტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მისაღებ ოდენო-

ბას. მოპასუხე საბანკო დაწესებულებამ მოსარჩელის ნებართვის გარეშე ანგარიშიდან ჩამოჭრა თანხის ნაწილი (დაახლოებით 600,000 ლარი) იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელეს ადრე გაცემული საგარანტიო წერილის საფუძველზე ბანკის მიმართ გააჩნდა გარკვეული დავალიანება. მოსარჩელე დავალიანებას არ ეთანხმებოდა რამდენიმე საფუძველით, მათ შორის, ხანდაზმულობასა და იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბანკს ჯერ ძირითადი მოვალისგან უნდა ეცადა დაკმაყოფილება (მისი, როგორც თავდების, ვალდებულება იყო სუბსიდიური). თავის მხრივ, ბანკმა სარჩელი არ ცნო, თანხის დაკისრების მოთხოვნით შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ თანხის ანგარიშიდან ჩამოჭრისას იგი მოქმედებდა თვითდახმარების პირობებში. ქვედა ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, ხოლო ბანკის შეგებებული სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

საკასაციო სასამართლომ გააუქმა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება და უარი თქვა ბანკის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბანკის მიმართ მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო რამდენიმე საფუძველით, მათ შორის, მისი ხანდაზმულობის გამო. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა თავად ბანკის მხრიდან საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხების მესაკუთრის თანხმობის გარეშე ჩამოჭრასთან დაკავშირებით. კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ეს მოქმედება ვერ შეფასდება სკ-ის 118-ე მუხლით გათვალისწინებულ თვითდახმარებად, რამდენადაც ბანკს ყოველთვის შეეძლო მოთხოვნის განსახორციელებლად მიემართა სასამართლოსთვის. არ არსებობდა გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საფრთხეც, ვინაიდან მოსარჩელე იყო სოლიდური ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნდა ვალდებულების შესასრულებლად საჭირო ქონება. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, ასევე იმაზეც, რომ თანხის თანხმობის გარეშე ჩამოჭრის უფლება ბანკს არ

ქონდა საანაბრო ხელშეკრულების საფუძველზეც, რომელშიც ამგვარი მითითება გათვალისწინებული არ ყოფილა.

III. კომენტარი

სასამართლოს მსჯელობა მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო ურთიერთობებში თვითდახმარების ფარგლების დასადგენად. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ მოთხოვნის არსებობა არ აძლევს კრედიტორს მოვალის ქონების (თუნდაც მისთვის მიბარებული) მისაკუთრების უფლებას. ამისათვის, სასამართლოს განმარტებით, უნდა არსებობდეს მხარეთა შორის შეთანხმება (როგორც არის ბანკისათვის თანხების უაქცეპტოდ ჩამოჭრის უფლების მინიჭება), ან უნდა არსებობდეს იმის საფრთხე, რომ თუ არა კონკრეტული ქონება, მოვალე გადახდისუუნარო იქნება და დავის მოგების შემთხვევაშიც კი კრედიტორი ვერ შეძლებს აღსრულებას.

გორჩა ოყრეშიძე

▶ 7 - 10/2020

სხვის მიწის ნაკვეთზე გადასული მშენებლობის დემონტაჟი

1. სხვის ნაკვეთზე მშენებლობის გადასვლისას გადამწყვეტია სადავო მიწის ნაკვეთი მოსარჩელეს ეკუთვნოდა თუ არა უშუალოდ მშენებლობის განხორციელების მომენტში.

2. მშენებლობის დემონტაჟისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დემონტაჟის შედეგები, რათა თავიდან იქნას აცილებული უფლების ბოროტად გამოყენება.

3. კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს, სხვისი საკუთრების „ჩაუხედავობის ზოგადი პრინციპი“ და ფანჯრების მოწყობის კანონიერების დასადგენად საკმარისია, თუ-

კი დაცული იქნება სამშენებლო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

სკ-ის 115-ე და 179 | მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება № ას-442-414-2010

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ბინათმშენებლობის ამხანაგობის მიმართ და მოითხოვა ამხანაგობის მიერ აშენებული საყრდენი კედლის დემონტაჟი იმ დასაბუთებით, რომ კედელი გადასულია მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ამასთან, მოსარჩელემ მოითხოვა ყველა იმ ფანჯრის ამოქოლვა, რომლებიც განთავსებულია მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის მხარეს. მოპასუხე ამხანაგობამ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მშენებლობა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით არის განხორციელებული. პირველმა ინსტანციის სასამართლომ მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომაც. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სადავო მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა მოსარჩელეს; ასევე, დადგენილად იქნა მიჩნეული მშენებლობის მოსარჩელის ნაკვეთზე გადასვლის ფაქტი. მოსარჩელის პოზიციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სადავო შენობაზე დამონტაჟებული ფანჯრები უყურებდა მოსარჩელის ეზოს და შეუძლებელს ხდიდა ეზოში თავისუფლად, გარეშე პირთა დაკვირვების გარეშე გადაადგილებას, სასამართლომ განმარტა, რომ ფანჯრების არსებობის ირლვევა სხვისი საკუთრების „ჩაუხედავობის პრინციპი.“ სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი მშენებლობის კანონიერებასთან დაკავშირებით, ვინაიდან თუნდაც მშენებლობა შეესაბამებოდა ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, ეს ვერ გახდება მოსარჩელის კონსტიტუციითა და სამოქალაქო კოდექსით დაცული საკუთრების უფლების დარღვევის საფუძველი.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

საქართველოს უზენაესი სასამართლომ, რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და საქმე თავიდან განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს, პრობლემური საკითხები განსხვავებულად განმარტა. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ არასათანადოდ გამოკვლეულად მიიჩნია მოსარჩელის საკუთრების უფლების საკითხი. მოპასუხე აპელირებდა იმაზე, რომ მოსარჩელეს არ ეკუთვნოდა სადავო მიწის ნაკვეთი და იგი შემდგომში მიიერთა უკანონოდ. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამ კატეგორიის დავებში მნიშვნელოვანია მოსარჩელის მეზობელ ნაკვეთზე საკუთრების უფლება არსებობდეს მშენებლობის დაწყების მომენტში, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ თუნდაც მოსარჩელის საკუთრების უფლება პრობლემური არ იყოს, დემონტაჟის გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ, ასევე, უნდა იმსჯელოს შესაძლო შედეგებზე. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მითითებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებს უნდა ემსჯელათ, რა შედეგს გამოიწვევს საყრდენი კედლის დემონტაჟი და ხომ არ წარმოადგენს ამგვარი მოთხოვნა უფლების ბოროტად გამოყენებას სკ-ის 115-ე მუხლის შესაბამისად. დამატებით, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს ის გარემოება, იყო თუ არა მოსარჩელე მშენებლობის წინააღმდეგი თავიდანვე, რამდენადაც სკ-ის 179 I მუხლის თანახმად, „თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის წინააღმდეგ წინასწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა.“ რაც შეეხება ფანჯრების ამოქოლების ნაწილს, უზენაესმა სასამართლომ უარყო ქვედა ინსტანციის განმარტებები და მიუთითა, რომ კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს სხვისი საკუთრების „ჩაუხედავობის პრინციპი“ და ამ ნაწილში სასამართლომ უნდა იხელმძღვანე-

ლოს სამშენებლო რეგულაციებით - მოხდა თუ არა სასაზღვრო ზოლზე ფანჯრების დამონტაჟება კანონის დაცვით.

გონა ოყრეშიძე

► 8 - 10/2020

ერთობლივი საქმიანობა

1. ამხანაგობის ვალდებულებები, უპირველესად, გასტუმრებულ უნდა იქნას ამხანაგობის საერთო ქონებიდან. ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობა არის სუბსიდიური.

2. როდესაც სადავოა ამხანაგობის წევრის შენატანის უკან დაბრუნების ვალდებულება, იგი უნდა დაკმაყოფილდეს ამხანაგობის საერთო ქონებით, ხოლო როცა საერთო ქონების დაკარგვაში ბრალი მიუძღვის ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს, რესტიტუციაზე პასუხისმგებლობაც მხოლოდ ამ წევრს ეკისრება.

3. ერთობლივი საქმიანობის მიზანი არ შეიძლება იყოს არსებითად კომერციული საქმიანობის განხორციელება.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

სკ-ის 930-ე მუხლი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება № 2ბ/167-15

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელესა და მოპასუხე ბინათმშენებლობის ამხანაგობას შორის დაიდო უფლების გადაცემისა და ფართის გამოყოფის შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც ამხანაგობა მოსარჩელეს დაპირდა აშენებულ კორპუსში საცხოვრებელი ბინის გადაცემას. ხელშეკრულების თანახმად მოსარჩელემ ამხანაგობას გადაუხადა ბინის საფასური. საბოლოო ჯამში მშენებლობა ვერ განხორციელდა და მოსარჩელემ

ამხანაგობის წევრებისგან სოლიდარულად მოითხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. პირველი ინსტანციის სასამართომ ურთიერთობა ნარდობად შეაფასა. სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას, ამიტომ ეს უნდა განიმარტოს, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლა და მისი თანმდევი რესტიტუცია. ამასთან, სასამართლოს მითითებით გასვლის უფლებაზე და მისგან მომდინარე რესტიტუციაზე, განსხვავებით მოთხოვნის უფლებისგან, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. სასამართლომ გამოიციხა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებაც იმ საფუძვლით, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება იყო ნამდვილი და არ მომხდარა მისი ბათილად ცნობა. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ ამხანაგობის წევრთა ვალდებულება მესამე პირების წინაშე არის სოლიდარული და ყველა წევრის პასუხისმგებლობას ვერ გამოიციხავს ის ფაქტი, რომ ვალდებულების დარღვევაში ბრალი მხოლოდ წევრთა ნაწილს მიუძღვის. ამ დასაბუთებით პირველი ინსტანციის სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

სააპელაციო სასამართლოში საქმის განმხილველ მოსამართლეთა პოზიციები ორად გაიყო, რის გამოც კოლეგიის ერთმა წევრმა განსხვავებული მოსაზრება დაწერა. კერძოდ, უმრავლესობის პოზიციით მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით მოსარჩელე გახდა ამხანაგობის წევრი, რის გამოც ურთიერთობა უნდა მოწესრიგებულიყო ამხანაგობისა და არა ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით. ეს ეხება ასევე ხელშეკრულებიდან გასვლასაც, ვინაიდან ამხანაგობის ხელშეკრულების მიმართ გასვლის შემდგომი სპეციალური დანაწესები მოქმედებს. ამასთან, პალატის უმრავლესობა არ დაეთანხმა რესტიტუციის ვალდებულების ამხანაგობის ყველა წევრისათვის სოლიდარულად დაკისრებას. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამხანაგობის შექმნის მიზანი შეიძლება იყოს იდეალური და მატერიალური, რაც იმას ნიშნავს, რომ ამხანაგო-

ბას აქვს მოგების მიღების უფლება. ამხანაგობა ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს საკუთარი ქონებით და წევრთა პირადი პასუხისმგებლობა სუბსიდიურ ხასიათს ატარებს. პალატის განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის უკან დაბრუნებას, ამიტომ ეს ვალდებულება ამხანაგობის ქონებიდან უნდა იქნას დაკმაყოფილებული. ხოლო, ვინაიდან ამხანაგობას ქონება აღარ აქვს დარჩენილი მისი ერთ-ერთი წევრის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, რესტიტუციაზეც აღნიშნული პირია პასუხისმგებელი. მეორეს მხრივ, სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო საქმეში წარდგენილ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ გამამტყუნებელ განაჩენს, რომლითაც დადგინდა, რომ ამხანაგობა თავიდანვე ფიქტიურად შეიქმნა, თანხების მოზიდვისა და მათი მისაკუთრების მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ამხანაგობის ხელშეკრულება არც კი დადებულია და იგი ფიქტიურ, მოჩვენებით და კანონსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებდა. აქედან გამომდინარე, თანხის რესტიტუციის სამართლებრივი საფუძველი ასევე იყო უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები.

საქმეზე განსხვავებული აზრი დაწერა კოლეგიის ერთმა წევრმა. განსხვავებული მოსაზრების თანახმად, ამხანაგობასა და მოსარჩელეს შორის დამყარდა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის თანახმადაც ამხანაგობას ანაზღაურების სანაცვლოდ უნდა ეწარმოებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო და შემძენისათვის გადაეცა აშენებული საცხოვრებელი ბინა. ამასთან, ამხანაგობის ხელშეკრულების არსებობა მესამე პირებისათვის (როგორც იყო მოსარჩელე) ქმნის იმის მოლოდინს, რომ მესამე პირს სახელშეკრულებო ურთიერთობა გააჩნია პირთა გაერთიანებასთან და, შესაბამისად, გაერთიანების სახელით ნაკისრ ვალდებულებაზე პასუხისმგებლობა გაერთიანების ყველა წევრმა უნდა აიღოს.

III. კომენტარი

სააპელაციო სასამართლოს უმრავლესობის მსჯელობა საყურადღებოა რამდენიმე მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, უმრავლესობა მიუთითებს, რომ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამხანაგობის ე.წ. „დამფუძნებელ“ და „ჩვეულებრივ“ წევრებს ერთმანეთისაგან არ განასხვავებს.“ აღნიშნული განსხვავება მნიშვნელოვანია, სწორედ, იმის დასადგენად, თუ ვინ არის ვალდებულებებზე პასუხისმგებელი. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს გადაწყვეტილებები, რომლებიც ერთმანეთისგან ასხვავებენ ამხანაგობის ჩვეულებრივ და ინვესტორ წევრებს და მშენებლობის ვალდებულების დარღვევისგან წარმომდგარ პასუხისმგებლობას, მხოლოდ, ინვესტორ წევრებს აკისრებს. [იხ. სუსგ №ას-482-458-2013, 16/01/2014, სუსგ №ას-3-3-2017, 06/02/2017, სუსგ №ას-132-124-2017, 31/07/2017, სუსგ №ას-190-179-2017, 30/04/2018]. ყველა მითითებულ საქმეში პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა მშენებელი და არა ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი, რომელმაც მხოლოდ ქონება გადასცა მშენებელს და მოსარჩელის მსგავსად ელოდა მისთვის აშენებული ფართის გადაცემას. შესაბამისად, თუკი სააპელაციო სასამართლო ერთმანეთისგან არ განასხვავებს ამხანაგობის ჩვეულებრივ და ინვესტორ წევრებს, მაშინ უცნაურია შედეგი - რესტიტუციის ვალდებულების, მხოლოდ, მშენებელი წევრისათვის დაკისრება.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ამხანაგობა ვალდებულებებზე პასუხისმგებელია საკუთარი ქონებით, ხოლო წევრთა პასუხისმგებლობა სუბსიდიურია. დამატებით, სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან რესტიტუციის მოთხოვნა მიემართება შენატანის უკან დაბრუნებას, ამიტომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ამხანაგობის საერთო ქონებიდან. ხოლო ვინაიდან ამხანაგობის საერთო ქონება მისმა ერთ-ერთმა წევრმა მიითვისა, სწორედ მას ეკისრება ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა. სააპელაციო სასამართლოს ეს მსჯელობა ბევრ კითხვას ბადებს. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, თუ რატომ განმარტა სასამართლომ, რომ

ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის მიერ ქონების მითვისება ავტომატურად ნიშნავს უშუალოდ მხოლოდ ამ წევრის პასუხისმგებლობას. ზოგადი წესის თანახმად, სოლიდარული მოვალეობის შიდა ურთიერთობები გავლენას ვერ უნდა ახდენდეს კრედიტორის მოთხოვნაზე - თუკი ამხანაგობის წევრმა მიითვისა ქონება და ამით ზიანი მიაყენა ამხანაგობის წევრებს, ამხანაგობის წევრებს გააჩნიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ამასთან, კითხვებს ბადებს სასამართლოს მსჯელობა ამხანაგობის ხელშეკრულების ფიქტიურობასთან დაკავშირებითაც. სასამართლო დამხმარე არგუმენტად იყენებს სისხლის სამართლის საქმეზე ამხანაგობის ფიქტიურობის საკითხს, მაშინ, როცა ამას არსებითი და უმთავრესი მნიშვნელობა აქვს დავის გადაწყვეტისათვის. თუკი ამხანაგობა არ არსებობდა, მაშინ არც მისი წევრობა არსებობს და სასამართლოს საერთოდ არ უნდა გამოეყენებინა ამხანაგობის მარეგულირებელი დანაწესები. ამასთან, მხოლოდ ის ფაქტი, რომ გამოძიების ეტაპზე გამოიკვეთა ამხანაგობის წევრთა მხრიდან თანხების მითვისების მიზანი, ამხანაგობის ხელშეკრულებას ავტომატურად მოჩვენებითად და ფიქტიურად არ აქცევს. მოჩვენებითი გარიგებისას აუცილებელია ამის განზრახვა გარიგების უკლებლივ ყველა წევრის მხრიდან [სუსგ №ას-134-126-2017, 22/03/2019, სუსგ №ას-1043-2019, 17/10/2019, სუსგ №ას-154-2020, 08/07/2020] და მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამხანაგობის ინვესტორი წევრები თავიდანვე არ გეგმავდნენ მშენებლობის განხორციელებას და მათი მიზანი თანხების მოზიდვა და მითვისება იყო, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებას მოჩვენებითად ვერ აქცევს.

ამასთან, საყურადღებოა სასამართლოს განმარტება ამხანაგობის სამეწარმეო მიზანთან დაკავშირებითაც. ეს მითითება გაკეთებულია სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლის ახალ კომენტარშიც.¹ აღნიშნულმა არ უნდა გამოიწვიოს დაბნეულობა. უპირველეს ყოვლისა, ცალსახად უნდა ითქვას ის, რომ ამხანაგობას გააჩნია მოგების მიღების უფლება. ამ

¹ რობაქიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 930 ველი 7, <http://www.gccc.ge/> (16.10.2020).

დასკვნის საფუძველს იძლევა სკ-ის 930-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ამხანაგობას შესაძლოა გააჩნდეს სამეურნეო მიზანი. მაგალითად, ამხანაგობის წევრთა შეთანხმება, რომ ისინი გააერთიანებენ მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, მასზე აღმართავენ მრავალსართულიან კორპუსს, ფართების ნაწილს ერთმანეთში გაინაწილებენ ხოლო დარჩენილ ნაწილს მესამე პირებზე გაასხვისებენ, კანონიერი შეთანხმებაა, რომლის მსგავსიც მრავლად იდება პრაქტიკაში. სამენარმეო საქმიანობის აკრძალვა გულისხმობს იმას, რომ ამხანაგობა არ უნდა გადაიქცეს არსებითად მენარმე სუბიექტად. ამას რამდენიმე დასაბუთება შეიძლება ჰქონდეს: (ა) ამხანაგობა, მენარმე სუბიექტისგან განსხვავებით, იქმნება კონკრეტული მიზნით. თუკი იურიდიულ პირს გააჩნია გენერალური უფლებაუნარიანობა და შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი, მათ შორის, წესდებით პირდაპირ გაუთვალისწინებელი საქმიანობა, ამხანაგობა ავტომატურად წყვეტს საქმიანობას იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია მისი მიზნების განხორციელება (სკ-ის 939 I დ) მუხლი); (ბ) ამასთან, მართალია, შესაძლოა ამხანაგობას ჰქონდეს მოგების მიღების მიზანი, თუმცა მას არ გააჩნია სამენარმეო საქმიანობის მახასიათებელი ყველა ნიშანი. ეს ნიშნები მოცემულია „მენარმეთა შესახებ“ კანონის 1 II მუხლში: „მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.“ კანონმდებლის მიზანია, დასახელებული ხუთივე ნიშანის არსებობის პირობებში სუბიექტი წარმოადგენდეს მენარმეს, რომელსაც დაწესებული აქვს სპეციალური რეგულაციები (მათ შორის, საგადასახადო). შესაბამისი მუხლის კომენტარში სწორად არის მითითებული, რომ „აღნიშნული არ გამოორიცხავს ამხანაგობის უფლებას, საკუთარი მიზნის მისაღწევად განახორციელოს სამენარმეო საქმიანობა“.¹ (გ) ამასთან, ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს უკანონო და კანონსაწინააღმდეგო გარიგებასთან, რანდენადაც სამენარმეო საქმიანობის მიზნის

დადგენა ავტომატურად გულისხმობს საქმიანობის მართლზომიერებას „მენარმეთა შესახებ“ კანონის 1 II მუხლის თანახმად. ხოლო, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხარეებმა შეთანხმებას სხვა სახელი უწოდეს, მას უკანონოდ ვერ აქცევს. მუხლის კომენტარში სწორად არის მითითებული, რომ თუკი ამხანაგობა არსებითად სამენარმეო საქმიანობაზე გადავა, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნას არა ერთობლივი საქმიანობის, არამედ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები. შესაბამისად, მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს შეთანხმებასთან ყველაზე ახლოს მდგარი სამართლის დანაწესებით.

გოჩა ოყრეშიძე

► 9 - 10/2020

ავტომანქანაზე საკუთრების უფლების შექმნა

ავტომანქანაზე საკუთრების უფლების გადაცემა ექვემდებარება სსკ 186-ე მუხლის რეგულაციას და შსს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაცია მნიშვნელოვანი არ არის.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სკ-ის 186-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბერი გადაწყვეტილება № ას-658-625-2014

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის 4,000 ლარის დაკისრება. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხისგან შეიძინა ავტომანქანა, თუმცა შეძენის შემდგომ ავტომანქანა ჩამოართვა შემოსავლების სამსახურმა მოპასუხის საგადასახადო ვალდებულებების გამო. შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა გადახდილი ნასყიდობის საფა-

¹ რობაქიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 930 ველი 7, <http://www.gccc.ge/> (16.10.2020).

სურის ანაზღაურება. მოპასუხემ მოთხოვნა არ ცნო და მიუთითა, რომ ავტომანქანის გადაცემის მომენტში იგი უფლებრივად უნაკლო იყო. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლომაც. სასამართლომ უფლებრივ ნაკლად მიიჩნია შემოსავლების სამსახურის მხრიდან ავტომობილის დაყადაღება და, შემდგომში მისი მფლობელობის ჩამორთმევა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს გააჩნდა ხელშეკრულებიდან გასვლისა და რესტიტუციის მოთხოვნის უფლება.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ გააუქმა მიღებული გადაწყვეტილება და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. სასამართლომ განმარტა, რომ ავტომანქანა, როგორც მოძრავი ნივთი, ემორჩილება მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასვლის ზოგად პრინციპს, რაც დადგენილია სკ-ის 186-ე მუხლში. დავის გადაწყვეტისათვის უზენაესმა სასამართლომ არსებითად მიიჩნია პასუხი გაეცა კითხვაზე შემოსავლების სამსახურის ყადაღის წარმოშობის მომენტისათვის წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელე ავტომანქანის მესაკუთრეს. აღნიშნული მნიშვნელოვანი იყო უფლებრივი ნაკლის დასადგენად - თუკი შემოსავლების სამსახურმა მოპასუხის ვალის გამო მოსარჩელის ავტომანქანა დააყადაღა, ეს შეიძლება გახდეს ყადაღის გაუქმების საფუძველი, თუმცა ვერ ჩაითვლება უფლებრივ ნაკლად. შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებას საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ შსს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო ბაზაში ავტომანქანის მესაკუთრედ კვლავ მოპასუხე იყო რეგისტრირებული. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონსა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონებზე („საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონი მოქმედებდა 28/05/1999-01/03/2014 წლებში, შემდგომ იგი ჩანაცვლდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონით). სასამართლომ განმარტა, რომ კანონით

გათვალისწინებული ავტომობილის რეგისტრაციის განხორციელება არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ აქტს, არამედ, განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის სფეროს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ავტომანქანაზე, როგორც მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა ექვემდებარება სკ-ის 186-ე მუხლის დანაწესებს.

III. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

გარდა ზემოთ აღნიშნული კანონისა, საქართველოში მოქმედებს „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 04/04/1995 წელს და დღესაც მოქმედია. 17/07/2009 წელს კანონში განხორციელდა ცვლილება და მას დაემატა 9¹ მუხლი (სახელწოდებით „მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების წარმოშობა“), რომლის თანახმადაც „საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.“ მეტიც, კანონპროექტის განმარტებით ბარათში მისი მიღების მიზეზად მითითებულია შემდეგი: „კანონპროექტით მექანიკური სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების შექმნა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან, რითაც მაქსიმალურად აღმოიფხვრება ისეთი შემთხვევები, როდესაც ხორციელდება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გასხვისება, თუმცა ეს არ არისახება თავად მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ჩანაწერებში, რაც ხშირ შემთხვევაში წარმოშობს მრავალ სამართლებრივ სირთულეებს, როგორც ახალი, ისე ძველი მესაკუთრისათვის.“ [https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/83660?]. „ნორმატიული აქტების შესახებ“

კანონის 7 VIII და სკ-ის 2 II მუხლების თანახმად ისე ჩანს, რომ „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონის მე-9¹ მუხლს უპირატესობა უნდა მინიჭებოდა სკ-ის 186-ე მუხლთან შედარებით (როგორც უფრო ახალ და სპეციალურ კანონს). თუმცა, უზენაესმა სასამართლომ „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონი საერთოდ არ გამოიყენა და არც ის დაასაბუთა, თუ რატომ არ გაითვალისწინა კანონის მე-9¹ მუხლის დანაწესი.

გოჩა ოყრეშიძე

► 10 - 10/2020

კანონის უკუქცევის ძალა

საჯარო სამართალში შესაძლებელია ახალი კანონის მოქმედება გავრცელდეს ძველი კანონის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებზე, რომლებიც არ დასრულებულა და კვლავ გრძელდება.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 24-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება № ბს-21-21(კ-07)

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელეს (ყოფილი პროკურორი) დანიშნული ჰქონდა სამიდლეშიო პენსია, რომელიც უთანაბრდებოდა მოქმედი პროკურორის ხელფასს. 23/12/2005 წელს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად მოსარჩელეს სამიდლეშიო პენსია შეეცვალა ყოველთვიური კომპენსაციით, რამაც შეამცირა თვიური საპენსიო ოდენობა. მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ და მოითხოვა პენსიის თავდაპირველი ოდენობის დაკისრება. მოსარჩელის განმარტებით მოხდა კა-

ნონისათვის უკუძალის უკანონოდ მინიჭება, რამაც გააუარესა მისი სამართლებრივი მდგომარეობა. მოპასუხემ მოთხოვნა არ ცნო. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონისთვის უკუძალის მინიჭების აკრძალვა, როგორც ეს გათვალისწინებულია სკ-ის მე-6 მუხლში, მოქმედებს მხოლოდ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში და მისი გავრცელება საჯარო სამართლის - ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე არ იყო დაშვებული. თუმცა მოთხოვნა დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის ცვლილება არ მიემართებოდა უკვე დანიშნულ საპენსიო ანაზღაურებას და იგი მხოლოდ მომავალში ცვლიდა მისაღები კომპენსაციის ოდენობას.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საკასაციო საჩივარი დიდი პალატის შემადგენლობით განიხილა და დააკმაყოფილა. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 17 V მუხლის თანახმად გადაწყვეტილებით დადენილ ნორმათა სამართლებრივ შეფასებას სავალდებულო ძალა აქვს საერთო სასამართლოებისათვის. სასამართლომ განმარტა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 47-ე მუხლით პარლამენტი უფლებამოსილია კანონს მიანიჭოს უკუძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონი „ამძიმებს პასუხისმგებლობას“ („ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 01/01/2010 წლიდან, როცა ძალაში შევიდა კანონის ახალი რედაქცია. მოქმედი კანონი კანონის უკუძალის საკითხს აწესრიგებს 24-ე მუხლში). საკასაციო სასამართლოს განმარტებით საპენსიო ოდენობის ზედა ზღვარის შეზღუდვა არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამძიმებას. სასამართლომ განმარტა, რომ ერთმანეთისგან განსხვავდება საჯარო და კერძო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი კი

საჯარო სამართლის შემადგენელი ნაწილია. სა-სამართლოს განმარტებით საპენსიო გასაცემის შემცირება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კანონისათვის უკუძალის მინიჭებად, არამედ, ეს არის „შესაბამისი სოციალური უფლების ლეგალური ტრანსფორმაცია.“ ამ შემთხვევაში სახეზე არ არის წარსულში მომხდარი და წარსულშივე დასრულებული მოქმედება, რომლის გამოც ახალმა კანონმა პასუხისმგებლობა დაუმძიმა მოსარჩელეს. სოციალური დახმარების ოდენობას განსაზღვრავს სახელმწიფოს კეთილდღეობა, შესაბამისად მას განგრძობადი ხასიათი აქვს და ექვემდებარება ცვლილებას იმის მიხედვით, თუ რა ეკონომიკური და სოციალური რეალობის წინაშე დგას ქვეყანა. შესაბამისად, საჯარო სამართალში არ მოქმედებს პრინციპი, რომ ახალი კანონი არ მოქმედებს ძველი კანონის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებზე, რომლებიც არ დასრულებულა და კვლავ გრძელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პალატის მოსაზრებით, შეუძლებელი იქნება, თუნდაც, საგადასახადო ახალი რეგულაციების შემოღება. ამის გათვალისწინებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

III. კომენტარი

პრაქტიკაში განსაკუთრებით აქტუალური შეიძლება გახდეს დიდი პალატის შემდეგი სიტყვები: „მოსაზრება იმის შესახებ, რომ ახალი კანონი არ მოქმედებს ძველი კანონის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებზე, რომლებიც არ დასრულებულა და კვლავ გრძელდება, არ ვრცელდება საჯარო სამართლის სფეროზე.“ პრაქტიკაში ყოფილა მცდელობები აღნიშნული სიტყვები განმარტებულიყო იმგვარად, რომ, თითქოს, კანონის უკუძალა საერთოდ არ მოქმედებს საჯარო სამართალში. [თბილისის საქალაქო სასამართლოს 29/11/2018 წლის №3/7786-17 გადაწყვეტილება] რაც, ცხადია, მცდარია. კანონის უკუძალის აკრძალვა სათავეს სწორედ საჯარო სამართალში იღებს (მეტწილად სისხლის სამართალში). კანონის უკუძალის თაობაზე საინტერესო მსჯელობაა განვითარებული აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში *Stogner v. California*, 539

U.S. 607. ზოგადად, სახელმწიფოს უფლებამოსილება საგადასახადო და სოციალური დახმარების სფეროში ფართოა. დიდი პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საპენსიო გასაცემს აქვს განგრძობადი ხასიათი - იგი არ არის წარსულში მომხდარი და უკვე დასრულებული აქტი. აქედან გამომდინარე, საპენსიო გასაცემის ოდენობის დადგენა სახელმწიფოსთვის არ არის წარსულის საკითხი, იგი ყოველწლიურად იქნეს ახალ მნიშვნელობას და აიძულებს სახელმწიფოს მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური გარემოებების გათვალისწინებით თავიდან დაადგინოს, თუ ბიუჯეტის რა ნაწილის გამოყოფა შეუძლია მას სოციალურ დახმარებაზე. სწორედ ამიტომ, უზენაესმა სასამართლომ თავი შეიკავა სახელმწიფოსთვის შეეზღუდა საპენსიო ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილება და განმარტა, რომ ამ კატეგორიის საკითხებზე ახალი კანონით განსხვავებული რეგულაციის შემოღება არ ნიშნავს მისთვის უკუძალის მინიჭებას. სავარაუდოდ, უკუძალა იქნებოდა, თუკი პარლამენტი ცვლილებასთან ერთად წარსული დროისათვისაც შეამცირებდა საპენსიო ოდენობას და სოციალური დახმარების მიმღებ პირებს სხვაობის სახელმწიფოსთვის დაბრუნების ვალდებულებას დააკისრებდა.

გორჩა ოყრეშიძე

► 11 - 10/2020

სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება

დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია სკოლაში პირის ფორმალურად დასაქმება (როცა ის ხელფასს იღებს, თუმცა ფაქტობრივად სამუშაოს ასრულებს სხვა სუბიექტი) და სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის დამატებითი ფასიანი მომსახურების განწევა.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

შრომის კოდექსის 37 I ზ) მუხლი
ზოგადი განათლების შესახებ კანონის 33 III,
43 I ვ), 49 VI¹, IX მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 21 თებერვლის განჩინება № ას-1581-2019

I. ფაქტობრივი გარემოებები

სკოლაში ჩატარდა ინსპექტირება, რა დროსაც დადგინდა სხვადასხვა გადაცდომების არსებობა (პირის ფორმალურად დასაქმება (დოკუმენტების მიხედვით დასაქმებული სუბიექტი იღებდა ხელფასს, თუმცა სამუშაოს ფაქტობრივად სხვა პირი ასრულებდა) და სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის მიერ მოსწავლეების სასარგებლოდ დამატებითი ფასიანი მომსახურების განწვევა). მინისტრის ბრძანებით, სკოლის დირექტორი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რის გამოც მან აღძრა სარჩელი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინააღმდეგ გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და განმარტა, რომ სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის მიერ მოსწავლეების დამატებით მომზადება ეწინააღმდეგებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 33 III მუხლს. ამასთან, სკოლის პერსონალის ერთ-ერთი წევრი ფორმალურად იყო დასაქმებული, მიუხედავად იმისა, რომ იმავე აქტის 43 I ვ) მუხლი ავალდებულებს დირექტორს, უზრუნველყოს სკოლის თანამშრომლებთან შრომის ხელშეკრულების დადება და შესრულება. მოსარჩელემ გადანყვეტილება გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომელიც მოსარჩელემ სადავო გახადა იმაზე მითითებით, რომ დასახელებული გარემოებები არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო მისი ვალდებულებე-

ბის უხეშ დარღვევად იმ პირობებში, როდესაც სკოლა წარმატებით უმკლავდებოდა სწავლების პროცესის სხვა სირთულეებს. საკასაციო სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო. მისი პოზიციით, დადგენილი ფაქტები ადასტურებდა დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების მართლზომიერებას.

III. კომენტარი

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 33 III მუხლის მიხედვით, საჯარო სკოლას მხოლოდ მაშინ შეუძლია მოსწავლეებს მიაწოდოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება, თუ შესაბამისი მოსწავლე ამ მომსახურებას არ იღებს ამავე სკოლაში დასაქმებული მასწავლებლისგან, მომსახურებას არ აქვს გაკვეთილის სახე და ის არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესის პარალელურად, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აუცილებელი დატვირთვის ფარგლებში.

დასახელებული დანაწესით დადგენილი ვალდებულების ადრესატი **საჯარო სკოლაა**, რომელსაც ეკისრება აღწერილი მომსახურების მხოლოდ დადგენილი პირობებით განხორციელების ვალდებულება. შეუძლებელია იმგვარი კონსტრუქციის აგება, რომლითაც დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდეს მასწავლებლის მიერ საჯარო სკოლისთვის წაყენებული მოთხოვნების „დარღვევის“ გამო. ერთმანეთისგან უნდა იმიჯნებოდეს შემთხვევა, როდესაც სკოლა (დირექციის ხელმძღვანელობით) გეგმავს და უძღვება ამგვარი დამატებითი ფასიანი მომსახურების მოსწავლეებისთვის მიწოდებას და შემადგენლობა, როდესაც მასწავლებელი ახორციელებს საკუთარი მოსწავლეების დამატებით მომზადებას მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, სამივე ინსტანციის სასამართლოს პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 33 III მუხლის გაუმართლებელი განმარტებაა.

ნინო ქავშბაია

► 12 - 10/2020

გათავისუფლება დასაქმებულის პირადი განცხადებით

1. დასაქმებულის მიერ ორი ნების გამოვლენის პირობებში, რომლებითაც ჯერ გამოხატულია სამუშაო ადგილის დატოვების, ხოლო შემდეგ - შვებულების უფლების გამოყენების სურვილი, უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება და დასაქმებულის გათავისუფლება უკანონოა.

2. პირადი განცხადებით სამსახურის დატოვებისას, დასაქმებულის გათავისუფლების შესახებ ბრძანება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელმა შეამოწმა დასაქმებულის გამოვლენილი ნების შესაბამისობა მის ნამდვილ ნებასთან.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

სკ-ის 52-ე მუხლი

შრომის კოდექსის 37 I დ) მუხლი

უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 21 თებერვლის განჩინება № ას-1551-2019

I. ფაქტობრივი გარემოებები

დასაქმებულმა ელექტრონული მიმოწერით თანამშრომლებსა და დასაქმებულს აცნობა სამუშაო ადგილის დატოვების სურვილის შესახებ. მოგვიანებით (2 საათის ფარგლებში) იმავე ხერხით დასაქმებულმა გამოხატა შვებულების უფლების გამოყენების ნება, რაც მანვე ახსნა იმით, რომ შვებულების უფლების გამოუყენებლობამ თანამდებობის დატოვება გადააფიქრებინა. დამსაქმებელმა შეწყვიტა ურთიერთობა შრომის კოდექსის 37 I დ) მუხლის საფუძველზე. დასაქმებულმა სარჩელი აღძრა დამსაქმებლის წინააღმდეგ გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ შეცვალა შედეგი და აღნიშნა, რომ უნდა შეფასებულიყო დასაქმებულის მუდმივ სამუშაო ადგილზე უარის შესაძლებლობა იმ პირობებში, როდესაც კომპანიაში აპელანტი დასაქმებული იყო 2006 წლიდან, ხოლო მისი თანამდებობრივი სარგო დამაკმაყოფილებლად უნდა ჩათვლილიყო. მეორე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ორი ნების გამოვლენის პირობებში უპირატესობა უნდა მინიჭებოდა იმ შეტყობინებას, რომელშიც დასაქმებული გამოხატავდა შვებულების უფლების გამოყენების სურვილს. მეორე ინსტანციის სასამართლოს პოზიციით, დამსაქმებელი ვალდებული იყო, დაედგინა პირის ნამდვილი ნება, მით უმეტეს, ორი ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის შეტყობინების მიღებისას. გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტება დამსაქმებლის ვალდებულების შესახებ, დაედგინა დასაქმებულის ნამდვილი ნება, საქმის გარემოებების მიხედვით, უადგილო იყო, რადგან დასაქმებულთან სწორედ ამ მიზნით გაიმართა შეხვედრა, სადაც დადასტურდა მისი თანამდებობის დატოვების სურვილი. მოპასუხის განმარტებით, კომპანიაში მოქმედი სტანდარტის მიხედვით, აუცილებელი იყო შვებულების მოთხოვნის დაფიქსირება, რაც მოსარჩელემ გააკეთა კიდევ, ხოლო დამსაქმებლის წარმომადგენელმა, დაპირებისამებრ, დაადასტურა მოთხოვნა. საკასაციო სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო და სრულად გაიზიარა მეორე ინსტანციის სასამართლოს პოზიცია.

III. კომენტარი

სასამართლო საკითხის გადაწყვეტას დასაქმებულის ნების გამოვლენის განმარტებასთან აკავშირებს, რისი აუცილებლობის დასაბუთებაც ძალიან რთულია. განმარტების გამოყენების საკითხი წყდება განმარტების გამოყენე-

ბით,¹ თუმცა ნათლად გამონატული ნების გამოვლენის განმარტება, როგორც წესი, დოგმატურად გამორიცხული თუ არა, სულ მცირე აზრსმოკლებულია.² მით უფრო, არანაირი მნიშვნელობა არ უნდა ენიჭებოდეს იმ საკითხების კვლევას, რომელი წლიდან იკავებს პირი თანამდებობას და არის თუ არა მისი ანაზღაურება დამაკმაყოფილებელი. ასეთი მსჯელობა აუცილებლად დაიყვანება იმის განხილვამდე, იქნებოდა თუ არა დასაქმებულისთვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა მომგებიანი, რაც მხოლოდ დამსაქმებლის მხრიდან ნების გამოვლენაში დაუშვებელი ჩარევის ეჭვის შემთხვევაში იქნებოდა აქტუალური, ისიც, მხოლოდ დასაქმებულის მიერ ამ ფაქტზე მითითებისა და სხვა გარემოებებთან ერთობლიობისას.

პირადი განცხადება, რომლითაც დასაქმებულს სურს შრომითი ურთიერთობის დასრულება, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა (სკ-ის 51 I მუხლი). ამიტომ ამოცანა, რომლის გადაწყვეტაზე სასამართლოს უნდა ემსჯელა, არა პირის ნამდვილი ნების დადგენა, არამედ მოცემულ შემთხვევაში ნების გამოხმობის არსებობა-არარსებობა უნდა ყოფილიყო. სკ-ის 51 II მუხლის მიხედვით, ნების გამოხმობა გამორიცხავს მის ნამდვილობას. იქიდან გამომდინარე, რომ შვებულების უფლების გამოყენების უფლება თავისთავად გულისხმობს შრომით ურთიერთობაში დარჩენის სურვილს, მეორე შეტყობინება უნდა ჩაითვალოს გამოხმობის ნების გამოვლენად,³ თუმცა ამისთვის ადრესატს (დამსაქმებელს) ორივე შეტყობინება, სულ

მცირე, ერთდროულად უნდა მიეღო.⁴ მნიშვნელობა არ ენიჭება, გაეცნობა თუ არა მიმღები ჯერ ნების გამოვლენის გაუქმების შეტყობინებას.⁵ ნების გამოვლენა მიღებულად ითვლება, თუ ის მოხვედრა მიმღების ძალაუფლების სფეროში და მას აქვს მისი შინაარსის გაცნობის რეალური შესაძლებლობა.⁶ საქმის გარემოებების მიხედვით, ორ შეტყობინებას შორის დროის მონაკვეთი რამდენიმე საათს შეადგენდა. ელექტრონული მიმონერა მყისიერია, ამიტომ მის გაგზავნასა და მიმღების ძალაუფლების სფეროში მოხვედრას ერთმანეთისგან რამდენიმე წამი გამოყოფს. იქიდან გამომდინარე, რომ წერილი, რომელშიც დასაქმებული გამოხატავდა თანამდებობის დატოვების ნებას, უფრო ადრე იყო გაგზავნილი, ვიდრე შვებულების დადასტურების მოთხოვნის შემცველი წერილი, მისი გაცნობის შესაძლებლობა ადრესატს მეორე შეტყობინებამდე მიენიჭა. აქედან გამომდინარე, ნების გამოხმობა ადრესატს თავდაპირველი ნების გამოვლენის თანადროულად არ მისვლია.

ამდენად, დასაქმებულს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ნება არ გამოუხმია, რაც დამსაქმებელს აძლევდა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს, შრომის კოდექსის 37 I დ) მუხლის მიხედვით.

ნინო ქავშაია

¹ Busche, in Münchener Kommentar zum BGB, 8. Aufl. 2018, § 133 Rn. 51.

² ასეთ შემთხვევაში განმარტების შესაძლებლობას გამორიცხავს ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, 52-ე მუხლი, მე-2 ველი, შდრ. Busche, in Münchener Kommentar zum BGB, 8. Aufl. 2018, § 133 Rn. 54.

³ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადასტურებდა მოპასუხის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებას მეორე შეტყობინების რეალური დანიშნულების შესახებ, ამგვარი განმარტება დაუშვებელი იქნებოდა და ნების გამოხმობის არსებობა-არარსებობის კვლევას არააუცილებელი გახდებოდა.

⁴ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 249, შდრ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, 51-ე მუხლი, 24-ე ველი.

⁵ მაისურაძე, დარჯანია, პაპუაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, 2017, 82.

⁶ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 247.

► 13 - 10/2020

საზოგადოების ქონების მითვისებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

მსესხებელი კომპანიის პარტნიორების მიერ სესხის თანხის მითვისება აფუძნებს გამსესხებლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას კომპანიის პარტნიორების მიმართ.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი სკ-ის 408, 992-ე მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 24 თებერვლის განჩინება № ას-1790-2019

I. ფაქტობრივი გარემოებები

კომპანიამ მიიღო სესხი მოსარჩელისგან, რომელიც პარტნიორებმა პირად ინტერესებს მოახმარეს. კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით პარტნიორები ცნობილი იყვნენ დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში. გამსესხებელმა სარჩელი აღძრა კომპანიის პარტნიორების წინააღმდეგ სესხის თანხის დაკისრების მოთხოვნით. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, რაც გაასაჩივრა ერთ-ერთმა მოპასუხემ. სააპელაციო სასამართლომ შედეგი უცვლელი დატოვა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა და განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა განეხილა პასუხისმგებლობის გაჭოლვის საკითხი და დელიქტურ პასუხისმგებლობაზე მსჯელობა დაუსაბუთებელი იყო. საკასაციო სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო და მიუთითა, რომ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი წარმოადგენს არა პრეიუდიციული ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტს, არამედ ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომელიც სასამართლომ კანონით დადგენილი

ზოგადი წესით უნდა შეამოწმოს. საქმის გარემოებების მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენი შეუდავებელ მტკიცებულებად უნდა მიჩნეულიყო. საკასაციო სასამართლოს დასაბუთებით, მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებული იყო და გამომდინარეობდა სკ-ის 408, 992-ე მუხლებიდან.

III. კომენტარი

სასამართლო საქმეს მართებულად წყვეტს მოსარჩელის სასარგებლოდ, თუმცა ამას არასწორად ასაბუთებს. კომპანიის თანხების მითვისების გარე კრედიტორისთვის ზიანის მიყენებელ ფაქტად მიჩნევა ეწინააღმდეგება როგორც სასესხო, ისე საზოგადოებასა და მის პარტნიორებს შორის არსებული ურთიერთობის რეალურ შინაარსს. სესხის ხელშეკრულებით ნივთი მსესხებელს საკუთრებაში გადაეცემა და ამ უკანასკნელს არ ევალება ზუსტად იმავე ნივთის (ამ შემთხვევაში - იმავე კუპიურების) დაბრუნება. ამასთან, ის, თუ როგორ დაიხარჯება მენარმე სუბიექტისთვის სესხად გაცემული თანხა, სცდება გარე კრედიტორის ინტერესის სფეროს - სასამართლოს ამავე დასაბუთებით შეუძლია მსჯელობა იმაზეც, რომ, თუ კომპანია გაუმართლებლად რისკავს ინვესტიციებით, გამსესხებელი აღიჭურვება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით იმ პირებისადმი, ვინც არამოგებიან გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა. ეს გაუმართლებელი შედეგია, რომელიც შლის ზღვარს საზოგადოების შიდა და გარე ურთიერთობებს შორის. მენარმე სუბიექტის პარტნიორთა არამართლზომიერი ქმედება (ამ შემთხვევაში - კომპანიის თანხების მითვისება) ზიანს აყენებს საზოგადოებას, ხოლო გარე კრედიტორს სამართლებრივი ბმა აკავშირებს მხოლოდ კომპანიასთან და არა მის პარტნიორებთან. ნებისმიერი სხვა გადაწყვეტა ეჭვქვეშ დააყენებდა კომპანიის სუბიექტუნარიანობას, რაც ქართული კანონმდებლობით ცალსახადაა გადაწყვეტილი მენარმე სუბიექტის ყველა ტიპის (ინდივიდუალური მენარმის გარდა) იურიდიულ პირად მიჩნევით (მენარმეთა შესახებ კანონის 2 III მუხლი). ის, რომ სისხლის სამართლის საქმეში, რომლითაც პარტნიორები

დამნაშავედ იქნენ ცნობილი, დაზარალებულად გამსესხებელი დასახელდა, არაფრის მთქმელია მოთხოვნის რეალური შინაარსისა და ადრესატის დადგენის მიზნებისთვის.

ერთადერთი ხერხი, რომლითაც შესაძლებელია გამსესხებლის პარტნიორების წინააღმდეგ მოთხოვნით აღჭურვა, მათი პასუხისმგებლობის შემზღვეველი საფარველის გაჭოლვაა, მოპასუხის მართებული პოზიციის მიხედვით, რაზედაც სასამართლოს არც ერთი ინსტანციის ფარგლებში არ უმსჯელია. საქმის გარემოებების მიხედვით, უნდა გამოყენებულიყო დაუშვებელი ხელყოფის (Existenzvernichtender Eingriff) ან სამართლებრივი ფორმის ბოროტად სარგებლობის კონსტრუქციები.¹ კომპანიის პარტნიორები დამნაშავედ იყვნენ ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში. მითვისების შემადგენლობა გულისხმობს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ქონებაზე დაუფლებას, რაც გამორიცხავს სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების კონსტრუქციის გამოყენებას, რადგან ამ შემთხვევაში პარტნიორებს საზოგადოების სახელით სესხი უნდა აეღოთ მისი დაუბრუნებლობის განზრახვით და შეზღუდული პასუხისმგებლობა გამოეყენებინათ ფარად გარე კრედიტორების მოთხოვნების წინააღმდეგ. ეს რომ ასე ყოფილიყო, სისხლის სამართლის საქმეში საზოგადოების პარტნიორთა ქმედება არ დაკვალიფიცირდებოდა მითვისებად, რადგან დაზარალებულის ნდობის მოპოვება მოტყუებით და მისივე ხელით ქონების დამნაშავეთა ფონდებში გადანაცვლება თაღლითობის შემადგენლობაა (სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი).² ამდენად, მოცემულ გარემოებებში პასუხისმგებლობის საფუძველი იქნებოდა გაუმართლებელი ჩარევა საზოგადოების საქმეებში, რის შედეგადაც გარე კრედიტორთა მოთხოვნა წარმოდგებოდა სკ-ის 992-ე მუხლიდან, თუმცა იმ აუცილებელი დასაბუთებით, რომ ქონების საზოგადოებიდან

პარტნიორების პირად ფონდებში მიზანმიმართულმა გადადინებამ შეუძლებელი გახადა კრედიტორების დაკმაყოფილება კომპანიის ქონებიდან.³ ამ დოგმატური კონსტრუქციის გამოყენების სფერო დავინროებულია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საფუძველი გამოეცლებოდა შპს-ის დაარსების მოტივაციას (პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და ინვესტიციის რისკის მინიმალიზაციის სურვილს), ამიტომ კრედიტორების მოთხოვნის საზოგადოების პარტნიორების წინააღმდეგ დაუსაბუთებლად მიმართვა როგორც დოგმატურად, ისე სამართალპოლიტიკურად გაუმართლებელი მიდგომაა.

ნინო ქავშაია

► 14 - 10/2020

სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

1. პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების გამოყენება არ ატარებს შეუზღუდავ ხასიათს, არამედ იგი შემოსაზღვრულია სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოების არსითა და მიზნებით (საქმისწარმოების თავისებურებით).

2. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაზე საერთო წესების გავრცელება შეუძლებელია იმ ნორმებისაგან იზოლირებულად, რომლებიც განსაზღვრავენ სააპელაციო სასამართლოს არსსა და თავისებურებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დადგენილი ნორმების ფართოდ გამოყენებას, შესაძლებელია, სააპელაციო ინსტანციის თავისებურების უგულებელყოფა მოჰყვეს. ეს კი ეწინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელის არსს (არასრული აპელაცია).

¹ Schulz, Wasmeier, The Law of Business Organizations, 2012, 106.

² ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ნიგნი I), 2019, 498-ე და შემდგომი გვერდები.

³ Schulz, Wasmeier, The Law of Business Organizations, 2012, 106-107.

3. სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევაზეც თუ, სააპელაციო სასამართლო სათანადო პროცესუალური საფუძველით დაუშვებს აპელანტის მიერ ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე მითითებას. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

სსსკ-ის 201-ე, 232¹ -ე, 372-ე, 387-ე მუხლები

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება № ას-121-117-2016

I. ფაქტობრივი გარემოებები

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მონინალმდეგე მხარის (მოსარჩელის) მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობის გამო, რომლითაც სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე აპელანტმა შეიტანა საჩივარი, რომელიც ასევე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება მოსარჩელემ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

დიდი პალატა განმარტავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთება ეკისრებათ თავად მხარეებს. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს და

რა კონკრეტულ გარემოებებს დაემყარება მათი შესაგებელი. შეჯიბრებითობის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა სსსკ-ის 232¹ მუხლიც, რომლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სასამართლოს განმარტებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტიან ფუნქციონირებას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ან/და არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სსსკ-ის 232¹ მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მან დაკარგა ინტერესი, შეენიანაღმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს. ასეთ შემთხვევაში, საერთო წესების მიხედვით საქმის განხილვის დროს მტკიცებულებათა გამოკვლევა არ ხდება, არამედ, კანონის ძალით სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევა.

სასამართლოს აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცებითი საქმიანობა სააპელაციო სასამართლოში შეზღუდულია, შესაბამისად, შესაგებელი, რომელიც წარმოადგენს მტკიცებითი საქმიანობის განხორციელების პროცესუალურ შესაძლებლობას, სააპელაციო სასამართლოში პოულობს შესაბამის ასახვას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებითი საქმიანობის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ წარსადგენი შესაგებლის არსებობა ნაკარნახევია სააპელაციო საჩივრის ინსტიტუტით, რომელიც დამახასიათებელია სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს არასრულ აპელაციას, რაც

თავისი არსით გულისხმობს არა პირველი ინსტანციის გამეორებას, არამედ მის გაგრძელებას.

სააპელაციო საჩივარი უკავშირდება პირველი ინსტანციის სასამართლოში განხორციელებულ მტკიცებულებით საქმიანობას, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ კვალიფიკაციას. შესაგებლის ზოგადი სახეები ასევე ეხება სააპელაციო შესაგებელსაც. სააპელაციო საჩივრის უარყოფა (არცნობა) წარმოადგენს სააპელაციო შესაგებლის ერთ-ერთ სახეს, რომლის გარეშეც არ არსებობს ზოგადად შესაგებელი, როგორც თავდაცვის პროცესუალური საშუალება. სსსკ-ის 373-ე მუხლი, რომლითაც მოწესრიგებულია სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის მომზადებასთან დაკავშირებული საპროცესო ურთიერთობები, ადგენს სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარდგენის წესს. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ მიმართული შესაგებელი უკავშირდება პირველი ინსტანციის სასამართლოში განხორციელებულ მტკიცებულებით საქმიანობას - ე. ი. წარსულში უკვე შედავებულ და გამოკვლეულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობას არ მოჰყვება პირველ ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები - დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოქმედებს პრეზუმფცია, რომელიც ეხება ფაქტს, მტკიცების წესს და არა სამართალს.

შესაბამისად, სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოქმედების გვრცელება ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უცხოა სააპელაციო სამართალწარმოებისათვის, დაუშვებელია.

ამდენად, თუკი პირველ ინსტანციაში სარჩელის უარყოფის (არცნობის) არარსებობის შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მოსარჩელემ სარჩელში მითითებული ფაქტები აღიარა, ასეთს ადგილი არა აქვს სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობისას (ეს ფაქტები

უკვე შედავებულია), ხოლო საქმის არსებითი განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ (არგამოცხადებულმა მხარემ) ვერ დაადასტურა საპირისპირო. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს არა მარტო უარყოფას, არამედ - ამ უარყოფის დადასტურებას, რაც შეიძლება მხოლოდ საქმის არსებითი განხილვისას და არა სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილის მოქმედების სტადიაზე, რაც განასხვავებს ერთმანეთისაგან ამ ორ პრეზუმფციას.

III. კომენტარი

განსახილველი გადაწყვეტილება წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის დამდგენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომელშიც საკასაციო პალატამ სსსკ-ის 372-ე და 387-ე მუხლები განმარტა სისტემურად. სასამართლომ ხაზი გაუსვა თავად საპროცესო კანონმდებლობის მიდგომას სააპელაციო სამართალწარმოების თავისებურებებთან დაკავშირებით, რაც განასხვავებს მას პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის წესებისაგან.

გასაზიარებელია საკასაციო პალატის განმარტება იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც, მხარე პირველ ინსტანციაში შესაგებლის წარდგენით უკვე ახდენს გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების შედავებას. რისი განმეორებით განხორციელების საჭიროებაც სააპელაციო სამართალწარმოებისას არ დგას. თუმცა, საკასაციო პალატის მსჯელობაში ვხვდებით ისეთი შემთხვევის გადაწყვეტაზე მითითებას, როდესაც სააპელაციო სასამართლოში საპატიო მიზეზით ხდება ახალი ფაქტისა თუ მტკიცებულების წარდგენა. ასეთ შემთხვევაში მხარის მიერ სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი არ გახდება. პალატა ამის საფუძვლად მიუთითებს იმას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სათანადო პროცესუალური საფუძვლით დაშვებული ახალი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს სხდომას, რომელზედაც მოწინააღმდეგე მხარისაგან

მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მხოლოდ მის სამართლებრივ მოსაზრებებს ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებთან დაკავშირებით.

მართალია, სასამართლოს მიდგომა გასაზიარებელია, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა განხილულ მაგალითთან დაკავშირებით უფრო ვრცელი განმარტების გაკეთება არასწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ, ერთი შეხედვით, თითქოს პროცესუალური საფუძვლით დაშვებული ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შემთხვევაში შესაგებლის წარდგენა არც თუ ისე მიზანშეუწონელია. ვინაიდან ხსენებულ ფაქტებსა თუ მტკიცებულებებს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე საქმის პირველი ინსტანციით განხილვის ფარგლებში არ შედავებია. ამდენად, თითქოს შესაგებლის წარდგენას შენარჩუნებული აქვს ის არსი და ფუნქცია, რაც პირველ ინსტანციაში. შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აკრძალვა ემყარება არა იმდენად სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებას, რამდენადაც ერთხელ უკვე შედავებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე ხელმეორედ შესაგებლის წარდგენის უსარგებლობას. ვინაიდან მხოლოდ სამართლის, და არა ფაქტის, საკითხი შეიძლება სასამართლომ შეაფასოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ შედავების წარმოდგენის თუ წარმოდგენლობის მიუხედავად.

სწორედ ამიტომ, სასამართლოს მიერ აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ სააპელაციო ინსტანციაში ახალ ფაქტებთან და მტკიცებულებებთან მიმართებით შესაგებლის წარუდგენლობა აზრს კი არ კარგავს, არამედ ასეთ შემთხვევაში თავად კოდექსი განსაზღვრავს ზეპირი სხდომის ჩატარების აუცილებლობას (სსსკ-ის 376¹, 380-ე, 382-ე, 387-ე მუხლები), რადროსაც სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შედავებულ ფაქტებზე მოსაზრებას მოისმენს (ე.ი. მხარეს უზრუნველყოფილი აქვს ფაქტების შედავების შესაძლებლობა), ხოლო გამოუცხადებლობის შემთხვევაში - დაუსწრებელ გადაწყვეტილებას გამოიტანს.

ასევე აღსანიშნავია, რომ უმჯობესი იქნებოდა, სასამართლოს ვრცლად და მკაფიოდ ემსჯელა სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგებზე - დაუსწრებელ გადაწყვეტილების გამოტანაზე. კერძოდ, სასამართლო ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე გამოუცხადებლობისა და შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მიზანი ერთმანეთისაგან განსხვავდება. თუმცა, ამგვარი განმარტება აზრს მოკლებულია, ვინაიდან გადაწყვეტილებაში შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის დასასაბუთებლად თავად სასამართლო მიუთითებს, რომ აპელაციის ქართული მოდელი არასრულია და რომ ის, მეტწილად ფაქტების დამდგენი არაა. შესაბამისად, თუკი ზეპირი სხდომა მხოლოდ სამართლის საკითხის დასადგენად იმართება,¹ მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა დაკმაყოფილდეს სააპელაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო. სწორედ ამიტომ, სსსკ-ის 387-ე მუხლიც (სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები) უნდა განიმარტოს ზემოხსენებული პრინციპებისა და თავისებურებების შუქზე. სხვაგვარად საფუძველი ეცლება თავად სასამართლოს მიერვე განსახილველ გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობას, რომ შესაგებლის წარუდგენლობა ფაქტების არდამდგენ სასამართლოში ვერ იქნება იმავე ფუნქციის მატარებელი, რისიც პირველ ინსტანციაში. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თუკი გადაწყვეტილება აპელანტის მიერ მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისითაა გასაჩივრებული, მეორე მხარემ სულაც რომ გაიზიაროს მოწინააღმდეგის სამართლებრივი პოზიცია, სასამართლო ვერ დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. მიზეზი კი

¹ სსსკ-ის 376¹ მუხლი მოსამართლეს უფლებას აძლევს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების შემთხვევაში, საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს. ეს კი არ გამოორიცხავს, გადაწყვეტილების სამართლებრივი შემოწმებისას ზეპირი მოსმენის ჩატარებას.

ისაა, რომ სამართლის შეფარდება სწორედაც მოსამართლის საქმეა. მონინალმდეგე მხარის პოზიციის მოსმენა კი მხოლოდ დამხმარე (და არა რაიმე გადამწყვეტი შედეგის მომტანი) შეიძლება იყოს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე გამოუცხადებლობის ყველა შემთხვევაში დაუსწრებელი გადამწყვეტილების გამოტანა ეწინააღმდეგება სააპელაციო ინსტანციის ფუნქციას.

სალომე დარასელია